



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სტუ

*ცოდნა ძალაა...*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ცხოველთა კვება

ლექციების კურსი

**Jurgens and Bregendahl**

**Nutrition 11-th Ed. Kendaii/Hunt Publishing Company**

მეცხოველეობის, სპეციალობის III კურსის

სტუდენტებისთვის

თბილისი 2015

ლექციების კურსი მომზადდა

**Jurgens and Bregendahl**

**Nutrition 11-th Ed. Kendall/Hunt Publishing Company**

მეცხოველეობის სპეციალობის III კურსის

სტუდენტებისთვის

## სარჩევი

სალექციო თემა	გვერდები
1.ცხოველთა და ფრინველთა კვების საფუძვლები	4
2.ცხოველთა საზრდოობაში პროტეინის, ცალკეული ამინომჟავების მნიშვნელობა	14
3.ნახშირწყლების შემცველობა საკვებში.	30
4.საკვებში ლიპიდების შემცველობა და კლასიფიკაცია	41
5.ცხოველთა ვიტამინოვანი საზრდოობა.	58
6.ცხოველთა მინერალური საზრდოობა.	66
7 .ნივთიერებათა მიმოცვლის რეგულაცია ცხოველის ორგანიზმში და საკვები ფაქტორების როლი ამ პროცესში	69
8.სხვადასხვა სახის ცხოველთა ნორმირებული კვება.	84
9.მეწველი, მაკე, მშრალი ფურის და კუროს კვება.	118
10.ცხვრის , თხის და ღორის ნორმირებული კვება	126
11.ცხენის, კატის, ძაღლის, თევზის ნორმირებული კვება.	170
12-13-14 ფრინველის კვება (მეკვერცხული, მეხორცული, სარემონტო მოზარდის, წიწილა -ბროილერის, ინდაურის, იხვოს, ბატის კვება.)	197
15.დეკორატიული და ეგზოტიკური ფრინველების კვება	210

## 1. ცხოველთა და ფრინველთა კვების საფუძვლები

### საკვები ნივთიერებებისა და საჭმლის მონელების მიმოხილვა

საკვები ნივთიერებები მორისონის მიერ განსაზღვრულია, როგორც საკვების შემადგენელი ნაწილები ან საკვების შემადგენელი ნაწილების ჯგუფი, მსგავსი, ძირითადი ქიმიური კომპოზიციით, რაც ცხოველს სიცოცხლის განმავლობაში ეხმარება და მის მთავარ საყრდენს წარმოადგენს. ჩვენ ეს განმარტება უნდა გავაფართოვოთ, რადგან ახლა უნდა ჩამოვთვალოთ ის ნივთიერებები, რომლებიც არაა საკვები წარმოშობის. იმისდა მიუხედავად რომ, საკვები, ჩვეულებრივ, არის არამკვებავ მასალასთან შერეული მკვებავი ნივთიერებების გროვა, მთლიანი რაციონი შეიძლება იყოს მეტი, ვიდრე კომბინაცია. ის შეიძლება შეიცავდეს სინთეზურად დამზადებულ ვიტამინებს, ქიმიურად მომზადებულ არაორგანულ მარილებს ან ორგანულად სინთეზირებულ ამინომჟავებს. ის თუ რას იღებს ცხოველი საკვებად უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ საკვებში შემავალი მკვებავი ნივთიერებების რაოდენობა და ასორტიმენტი.

ცალკეული ორგანიზმების (ან იმ ორგანიზმების, რომლებსაც ფიზიოლოგიურად სპეციფიკური ფუნქცია აქვთ) საკვები ნივთიერებებისა და მათზე საჭიროების აღწერა საკმაოდ ადვილია. სხვამხრივ, ნებისმიერი საკვები ნივთიერება, რომელიც ემსახურება ენერგიით მომარაგებას (რომელიც არ შეიძლება იყოს კლასიფიცირებული, როგორც მკვებავი), ან მეტაბოლური პროცესის დროს ენერგიის გათავისუფლებისა და გამოყენების მრავალგვარ ფუნქციას, შეიძლება გახდეს გაუგებარი შესწავლის პროცესისას. ამგვარად, საკვები ნივთიერებების დადგენის ნებისმიერი სქემა, ზედმეტად გამარტივებული უნდა იყოს. ამიტომ ჩვენ, ძირითადად საკვების ქიმიურ შემადგენლობას გთავაზობთ შემდეგ სქემას:

საკვები შედგება: წყალი და მშრალი ნივთიერებისაგან.

მშრალი ნივთიერება თავის მხრივ შედგება: ორგანული და არაორგანული ნივთიერებებისაგან;

ორგანული ნივთიერება შედგება- აზოტოვანი ნაერთებისგან, ცხიმებისაგან (ლიპიდები) და ნახშირწყლებისაგან.

აზოშემცველი ნაერთები თავის მხრივ შედგება პროტეინისგან და უაზოტო ნაერთებისგან;

პროტეინი თავის მხრივ შედგება;1 არაძირითადი ამინოჟავები (გლუტამინი მჟავა,ასპარაგინის მჟავა, ალანინი, სერინი, პროლანი, ჰიდროპროლანი. 2.ნახევრად ძირითადი ამინომჟავები-გლიცინი, თიროზინი, ცისტინი, 3. მთავარი ამინომჟავები- არგინინი, ჰისტიდინი, ლიზინი, ტრიფტოფანი, ლეიცინი, ფენილალანინი, მეთიონინი, ტრეონინი, იზოლეიცინი,ვალინი.

უაზოტო ნაერთებში შედის თავისუფალი ამინომჟავები, ამინები, ურეაზა და სხვა.

ცხიმებში (ლიპიდი) შედის: მარტივი, შედგენილი ნაერთებისგან და ფსევდო ნაერთებისაგან.

მარტივში შედის-ეთეროვანი ცხიმოვანი მჟავები;

შედგენილი ცხიმი- ნეიტრალური ცხიმი, სტეროლები

ფსევდოში (რთული ცხიმები) - ვიტამინები A, D<sub>2</sub>, D<sub>3</sub>, E, K, კაროტინი

მომდევნო მონახაზი მოკლედ განიხილავს ექვს ძირითად მკვებავს ( წყალი, ლიპიდები, ცილები, ვიტამინები და მინერალები).

არსებობს ასევე წყალში ხსნადი ვიტამინებიც, თიამინი, რობოფლაფინი, ასკორბინის მჟავა, ნიაცინი, პირიდოქსინი, პანტოტენის მჟავა, კობალამინი, ბიოტინი, ფოლის მჟავა, ქლორი.

ნახშირწყლები-შედგება ოლოგოსაქარიდებისაგან და პოლისაქარიდებისაგან.

პირველში შედის მარტივი ჰექსოზები და პენტოზები, მეორესი- შაქრის რთული ნაერთები. ხოლო ბოლოში შედის სახამებელი, ჰემიცელულუზა , ცელულუზა და ხვა.

**არაორგანულ ნაერთებში (მინერალები) შედის:** ძირითადი მაკრო და მიკრო ელემენტები, ასევე ნაკლებად ძირითადი, ასევე ტოკსიური და არა ძირითადი ელემენტები.

ძირითად მაკროელემენტებად მიჩნეულია: კალციუმი, ფოსფორი, ქლორი, მაგნიუმი, კალიუმი, გოგირდი.

ძირითად მიკროელემენტებად მიჩნეულია; სპილენძი, იოდი, კობალტი, თუთუა, მანგანუმი, რკინა, მოლიბდენი, ფტორი.

ნაკლებ ძირითად ელემენტად მიჩნეულია: ბარიუმი, ბრომი, სელენი, სტრონციუმი.

ტოკსიურ ელემენტებად მიჩნეული: ასპარკამი, სპილენძი, მოლიბდენი, სელენი.

არ არის მიჩნეული ძირითად ელემენტად: ალუმინი, ბორი, ტყვია, ნიკელი. სილიციუმი. რუდიუმი.

ცალკე თავად არის გაერთიანებული **უაზოტო ექსტრაქტული ნივთიერებები** (უნენ) საერთაშორისო ანიშვნით არის- NFE (Nitrogen-free extract).

## 1. წყალი

ყველა ქიმიური და ფიზიკურ-ქიმიური რეაქცია მცენარეულულსა და ცხოველურ ორგანიზმში წყლიან არეში მმდინარეობს, გარდა ამისა, წყალი აქტიურ მონაწილეობას იღებს მიმოცვლის მრავალ რეაქციაში-ჰიდროლიზის, ჟანგვის, ჰიდრეტაციის, კოლოიდის გაჯირჯვების და .შ. პროცესებში. ძირითადად წყალი ყველაზე იაფი და უხვად არსებული საკვებია და ასევე ყველაზე მნიშვნელოვანი.

წყალის პროცენტული შემადგენლობა ცხოველის სხეულში დაბადებისას და ახალგაზრდულ ასაკში დაახლოებით 65-85 % აღენმატება, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად წყლის პროცენტული შემადგენლობა კლებულობს და დაახლოებით 45-60 %-მდეა.

1. სხეულის წყლის პროცენტულობა მცირდება ცხოველის ასაკთან ერთად (სხეულის მასა) და აქვს უკუ დამოკიდებულება სხეულის ცხიმთან .

2. შეადგენს სისხლის 90-95 პროცენტს. ბევრი ქსოვილი შეიცავს 70-90 პროცენტ წყალს.
3. ცხოველის ორგანიზმში წყალი გვხვდება:
  - ა. უჯრედშორისი წყალი - უმთავრესად კუნთებსა და კანში.
  - ბ. უჯრეთ გარე წყალი - უმთავრესად შუალედურ სითხეებში, სისხლის პლაზმა, ლიმფა, სინოვიალური და ტვინთან და ხერხემალთან დაკავშირებული სითხეები.
  - გ. წყალი გვხვდება საშარდე და კუჭ-ნაწლავთან დაკავშირებულ ტრაქტში.

*ბ. წყლის ფუნქციები და მისი ნაკლებობა ცხოველში*

1. ფუნქციები

- ა. საკვები და ნარჩენი პროდუქტების ტრანსპორტირება.
- ბ. ქიმიური რეაქციები და გამხსნელი საკუთრებები.
- გ. სხეულის ტემპერატურის რეგულაცია. 580 კალორია გამოთავისუფლდება ერთი გალონი წყლის აორთქლების დროს.
- დ. ამყარებს სხეულის უჯრედების მოხაზულობას.
- ე. ზეთავს და არბილებს ორგანოებსა და სახსრებს სხეულის ღრუში.

2. წყლის ნაკლებობის შემთხვევაში ხდება:

- ა. საკვების შემცირებული მოხმარება რაც სირდაპირ კავშირშია პროდუქტიულობის შემცირებასთან . ეს სიმპტომი არის პირველი, რაც თავს იჩენს წყლის შეზღუდვიდან 24 საათის შემდეგ.
- ბ. წონაში დაკლება დეჰიდრატაციის გამო.
- გ. აზოტისა და ელექტროლიტების, როგორცაა ნატრიუმი და კალიუმი, გაზრდილი გამოყოფა.
- დ. სიკვდილი (წყლის შეზღუდვის გამო, რამოდენიმე დღეში)

*გ. წყლის წყარო ცხოველისთვის*

1. წყლის სმა

ა. ფაქტორები, რაც ზემოქმედებს სასმელი წყლის მოხმარებაზე.

(1) გარემო ტემპერატურა და ტენიანობა (გაზრდილი წყლის მოხმარება სიცხით გამოწვეული სტრესის გამო)

(2) მშრალი მასალის მოხმარება (წყლის მოხმარება უშუალოდ მოდის თანაფარდობაში საშუალო ტემპერატურასთან.)

(3) ულუფის ფაქტორები

ა) საკვებში წყლის მაღალი შემცველობა, ამცირებს სმის მოთხოვნილებას.

ბ) მარილის, ცილების დაუჯრედანის შემადგენლობა ულუფაში ზრდის სმის მოთხოვნილებას.

(4) წყლის მისადგომები (წყლის სადინარების მდებარეობა და რიცხვი და სხვა).

(5) ცხოველის ფუნქცია (მაგ. ლაქტაციაში მყოფი ძროხები, ან მშრალი ძროხები).

(6) საშარდე სისტემის სახეები (მუშუმწორვრები ან ფრინველების მსგავსნი).

(7) წყლის ხარისხი.

(ა) კარგ წყალში უნდა იყოს მთლიანი დაშლილი მყარი სხეულების 2.5გ/ლიტრზე ნაკლებ ორგანულ მასალას (ფიგურა 1-3).

(ბ) სასურველია 0.5 გ/ლიტრ სულფატებზე ნაკლები.

1) წყლის შემადგენლობა 1გ/ლიტრ სულფატს შეიძლება გამოიწვიოს დეარეა, თუმცა ცხოველებს შეუძლიათ სულფატის მაღალი რაოდენობის შემცველობის წყალთან ადაპტირება.

2) წყალში სულფატის მაღალმა შემცველობამ შეიძლება გაუჩინოს წყალს ლაყე კვერცხის სუნი.

(გ) 0.1-0.2გ/ლიტრზე მეტი ნიტრატების შემცველობა ტოქსიკურია. ბაქტერიის გარდაქმნის ნიტრატს ( $\text{NO}_3^-$ ) ნიტრიტად ( $\text{NO}_2^-$ ), რომელიც მტკიცედ ეკვრის ჰემოგლობინს, წარმოქმნის მეტჰემოგლობინს, რომელსაც არ შეუძლია ჟანგბადის გადატანა.

დ. წყლის მოხმარება დაახლოებით (ზრდასრული და არასტრესურებული ცხოველი)

(1) ღორი– 2½-5 ( 2წილი წყალი ყოველ ერთ წილ მშრალ საკვებზე)

(2) ცხვარი– 1-4

(3) მსხვილრქოსანი საქონელი– 8-16

(4) ცხენები– 10-14

(5) შინაური ფრინველები– 2 წილი წყალი ყოველ ერთ წილ მშრალ საკვებზე

2. საკვებში წყლის შემადგენლობა

ა. მაღალცვალებადი კომბინირებული საკვები.

(1) მარცვლეულში შეიძლება იყოს 8%-ზე ნაკლებიდან 30%-ზე მეტი წყალი

(2) მშრალი თივაში შეიძლება იყოს 5%-ზე ნაკლებიდან 90%-ზე მეტი (წვნიანი) ახალგაზრდა ბალახი.

(3) სილოსის საკვებში შეიძლება იყოს 30-დან 50% წყალი.

ბ. საკვებში არსებულმა ნალექმა და ცვარმა , შეიძლება შეამციროს წყლის მოხმარება.

3. მეტაბოლური წყალი

ა. ორგანული საკვები ნივთიერებების ქსოვილებში დაჟანგვის პროცესის შედეგია.

(მაგ.  $C_6H_{12}O_6 + 6O_2 \rightarrow 6CO_2 + 6H_2O$ ).

ბ. შეიძლება შეადგინოს მთლიანი წყლის მოხმარების 5-10 %

დ. ცხოველის სხეულიდან წყლის დაკარგვა

1. შარდი.

2. განავალი.

3. ფილტვებიდან აორთქლება და კანიდან დისიპაცია

4. ოფლის გამოყოფა ჯირკვლებიდან

5. რძე და კვერცხები.

ე. წყლის შთანთქმა.

1. წყალი ადვილად შთანთქმება გასტროინტესტინალური ტრაქტის ყველაზე მეტი სექციებიდან.

ა. მცოხნელებში- ფაშვიდან და წიგნარა.

ბ. ყველა სივრციდან-მსხვილი ნაწლავი და სხვს მისთ.

2. შთანთქმული წყლის რაოდენობა.

ა. იცვლება სივრცეების და ულუფის მიხედვით.

ბ. საკვების პექსტინები წარმოქმნის ჟელეს, რომელიც ამცირებს წყლის შთანთქმას.

გ. საკვების ბოჭკოებს შეუძლიათ წყლის შთანთქმის შემცირება.

დ. ზოგიერთი ტოქსინები და სტრესფაქტორები რაც ახდენს ნაწლავის სტიმულირებას.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის, მეცხოველეობის მთავარი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მზარდი რაოდენობით აწარმოოს კვების პროდუქტები მოსახლეობისათვის და ნედლეული მრეწველობისათვის. ამის უზრუნველსაყოფად ყველაზე მნიშვნელოვან როლდ თამაშობს მეცხოველეობაში სწორი ორგანიზაცია მოშენება-შენახვის და ასევე მათი კვება, სადაც გათვალისწინებულია ცხოველთა მოთხოვნილება ენერგიაზე, საზრდო და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებზე, რის საფუძველზეც დამუშავდა თვითოეული სახის ცხოველისათვის სქესობრივ -ასაკობრივი ჯგუფების და დათვირთვის მიხედვით კვების ნორმები.

დაბალანსებული საზრდოობის თეორიიდან გამომდინარე ადამიანი დღე-ღამესი უნდა ღებულობდეს: წყალს-2ლ, სხვადასხვა ცილებს-80-100 გ(მათ შორის დაახლოებით 50% უნდა მოდიოდეს ცხოველურ ცილებზე), ნახშირწყლებს-400-500 გ, ცხიმებს-80-100გ(მათ შორის 90% უნდა მოდიოდეს ცხოველურ ცხიმებზე), ვიტამინებს-0,1გ, მარილებს 20 გრამამდე (მ.შ. სუფრის მარილს-10 გ).

სამწუხაროდ მსოფლიოს სტატისტიკური მონაცემები გვამცნობს, რომ პლანეტის მცხოვრებთა მხოლოდ გარკვეული ნაწილია უზრუნველყოფილი კვების იმ რაოდენობის პროდუქტებით, რაც მეცნიერულად დასაბუთებული ნორმითაა გათვალისწინებული. ამის მიზეზება მრავალი ფაქტორი არსებობს, კერძოდ ყველაზე მთავრია შემდეგი:

1. განვითარებად ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დაბალი დონე;

2. არასაკმარისი ყურადღება, რომელსაც მსოფლიო მეცნიერება უთმობს საკვები რესურსების გადიდების პრობლემას;

3. ჩვენ პლანეტაზე მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპი-იგივე დემოგრაფი-ული აფეთქება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, რომ გადაწყდეს, საჭიროა მეცხოველეობის დარგის შემდგომი ამაღლება, სადაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საკვები ბაზის განვითარების ღონისძიებას და ცხოველთა სწორი კვების ორგანიზაციას. კვება კი თავისთავად წარმოადგენს ადამიანის მიერ ორგანიზებულ, კონტროლირებულ და რეგულირებულ სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა საზრდოობას.

მეცნიერება-სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვების შესახებ დაკავშირებულია ისეთ დისციპლინებთან, როგორცაა ბიოქიმია და ფიზიოლოგია, აგრეთვე მომშენებლობა, მეძროხეობა, მეცხვარეობა, მეფრინველეობა და ა.შ..

საგნის დანიშნულებას ძირითადად კვების ულუფებისა და სქემების ამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ცხოველთა პროდუქტიულობის გენეტიკური პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზაციას და კანმრთელობას, რაც შეიძლება მეტი ხნის განმავლობაში.

სადღეისოდ

დადგენილია, რომ ცხოველის არაგადამდები დაავადებების ნახევარზე მეტი გამოწვეულია ნივთიერებათა ცვლის დარღვევით, რომელიც არაბალანსირებული საზრდოობის შედეგს წარმოადგენს, ასევე ცხოველის დაავადება შეიძლება გამოწვეული იყოს არა სწორი ტექნიკითაც.

არაბალანსირებული კვების შედეგად ცხოველის ორგანიზმში ირღვევა ცილოვანი, ნახშირწყლოვანი-ცხიმოვანი, მინერალური ვიტამინოვანი მიმოცვლის ნორმალური მსვლელობა და ამ ნიადაგზე ვითარდება დაავადება .

ძროხას, ღორს ცხვარს და ასევე საბეწვე ნადირს ბაგურ პერიოდში უჩნდება დაავადება კეტოზი . მისი მიზეზები შემდეგია: ულუფაში შაქრის, სახამებლისა და უჯრედისის არასაკმარისი რაოდენობა და კეტოგენური მოქმედების მქონე საკვების ჭარბი ოდენობა, არასრულფასოვანი და ერთფეროვანი კვება, მჟავე ნიადაგზე მოყვანილი საკვების გამოყენება, მაღალკონცენტრირებული კვების ტიპი ადვილად ხსნადი

ნახშირწყლების არასაკმარისი შემცველობით; ერბომჟავას და 30%-ზე მეტი ძმარმჟავას შემცველი სილოსით ხანგრძლივი კვება, უხარისხო სენაჟით კვება, ასევე გადამჟავებული ჟენჟოსა და ბუყის დიდი რაოდენობით გამოყენება.. თანამგზავრ მიზეზებს წარმოადგენს შენახვის ზოოჰიგიენური პირობების დარღვევა და მოციონის უქონლობა.

კეტოზით დაავადებული ფურის სისხლსა და შარდში არსებითად იცვლება ნახშირწყლოვან-ცხიმოვანი და ენერგეტიკული მიმოცვლის მეტაბოლიტების შემცველობა, იცვლება რძის შედგენილობაც.

კეტოზის აღმოჩენისას აუცილებელია ყველა ცხოველს შეუმცირდეს ცილით და ცხიმით მდიდარი საკვები და შეიცვალოს იგი ნახშირწყლოვანი საკვებით. ავადმყოფი ცხოველის ულუფაში უნდა ჩაირთოს 5-10 კგ ჭარხალი, კარტოფილი, სტაფილო, კოპტონი და შროტი უნდა შეიცვალოს შვრიით ან ქერით, სასურველია 1-2 კგ ბადაგი. აუცილებელია აქტიური მოციონი და ცურის ულტრაიისფერი დასხივება.

**ვიტამინების ნაკლებობით გამოწვეული დაავადებანი.** კმარისობის ხარისხის მიხედვით ამ დაავადებებს უწოდებენ ჰიპოვიტამინოზს (ნაწილობრივ უკმარისობა) ან ავიტამინოზს (ორგანიზმში სრულყოფილი უქონლობის).

ჰიპოვიტამინოზი ძალიან ხელს ვიტრდება და მისი დიაგნოზირება პრაქტიკულად შეუძლებელია. ერთი ან რამდენიმე ვიტამინების ნაწილობრივი ნაკლებობა გავლენას ახდენს ცხოველის პროდუქტიულობასა და ორგანიზმის რეზისტენტობაზე. ჰიპოვიტამინოზი უარყოფით გავლენას ახდენს ნაყოფის განვითარებაზე მაკე ცხოველში და შეიძლება აბორტის ან სუსტი ნამატის მიზეზიც გახდეს.

A-ავიტამინოზი-ქსეროფტამია ყველა სახის ცხოველში ვითარდება კაროტის უკმარისი შემცველობის დროს, ერტფეროვანი კვების ნიადაგზე. მის განვითარებას ხელს უწყობს ულუფაში ცხიმის დაბალი დონე, ხოლო მცოხნავებში-ნიტრატების გადიდებული შემცველობა საკვებში. A-ავიტამინის უკმარისობა უარყოფით გავლენას ახდენს მიმოცვლის ბევრი სხვა პროცესის მსვლელობაზეც, რის შედეგადაც ცხოველი დაბეჩავებულ, შეწუხებულ სახეს იღებს და წინასწარგანწყობილია სხვადასხვა დაავადებებისადმი.

A-ავიტამინოზის განვითარების ნიშნებია: „ქათმის სიბრძავე“-საღამო ჟამს

მხედველობის გაუარესება, ბეწვის ან ბუმბულის აბურძგნა, განაყოფიერების უნარის დაქვეითება, მოზარდულში სახსრების შესიება.

D-ავიტამინოზი (რაქიტი) ყველა სახის ცხოველში ვითარდება ზამთრის პერიოდში. D ვიტამინის საკვების წყაროს წარმოადგენს მზეზე გამშრალი თივა. ცხოველში მისი ძირითადი მარაგი იქმნება გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში. D-ავიტამინოზის განვითარების მიზეზი არის არასაკმარისი ინსოლაცია და ულუფაში თივის შეუტანლობა. რაქიტის განვითარებას ხელს უწყობს ულუფაში ცხიმის ნაკლებობა, კალციუმის და ფოსფორის უკმარისობა ან მათ შორის შეფარდების დარღვევა.

რაქიტი ნიშნები ასეთია: მუხლისა და სახტომი სახსრების გამსხვილება, ტკივილები მოძრაობისას, შესაძლოა ნეკნების შესივება გულმკერდის ძვალტან შეერთების ადგილებსი, ძვლების დარბილება და გამრუდება. რაქითიტ ავადდება მოზარდული ზამთარში და ადრე გაზაფხულზე დაბადებულნი, რადგან დედის ორგანიზმში არ შეუძლია განვითარებად ნაყოფში D--ვიტამინის მარაგი შექმნას.

რაქიტის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ცხოველი გვყავდეს მოციონზე და მიეცეს ამ ვიტამინით მდიდარი საკვები ან შემცველი პრეპარატები.

E-ავიტამინოზი-გამომწვევი მ იზეზებია: დარღვევები ცხოველის საზრდოობაში მისი ინტენსიური ზრდისას, მცენარეებში ნიტრიტების შემცველობის გაზრდა აზოტოვანი სასუქების მაღალი დოზების გამოყენების შედეგად. ნიადაგში სელენის დაბალი დონე. მოზარდულში მჟავნდება კუნთების სითეთრის დაავადება, რომელიც გულის უკმარისობით, პარალეჩითა და კუნთების დისტროფიით ხასიათდება . ამ ვიტამინის ნაკლებობა ზრდასრულ ცხოველებში იწვევს სასქესო ფუნქციების დენორმალიზებას და შეიძლება უნაყოფობის მიზეზიც გახდეს. უნდა

გვახსივდეს, რომ ცხოველბში ავიტამინოზის გა განვითარებას ხელს უწყობს უხარისხო, განსაკუთრებით ცხოველური წარმოშობის საკვების გამოყენება, ულუფაში შაქრის ჭარხლის და ჭარხლის ფოჩის , აგრეთვე მისგან დამზადებული სილოსის დიდ ხვედრითი წილი, განასაკუთრებით, საშიშია უხარისხო, დამძაღებული კომბინირებული საკვებოის მიღება.

**მინერალური ნივთიერებატა მიმოცვლის დარღვევით გამოწვეულის დაავადებები:** ცხოველებსი ფართოდ გავრცელებული დაავადების-ოსტეოდისტროფიის მიზეზს წარმოადგენს ყლყფაში კალციუმის და ფოსფორის უკმარისობა და მათ შორის დარღვეული ბალანსი..იგი მჟღავნდება ძლოვანი ქსოვილის დისტროფიული ცვლილებებით ოსტეომალაციის, ოსტეოპოროზის ან ფიბროზული ოსტეოდისტროფიის ფორმით

## **2.ცხოველთა საზრდოობაში პროტეინის, ცალკეული ამინომჟავების მნიშვნელობა.**

ცილები ცხოველის ორგანიზმში სპეციფიკურ ფუნქციებს ასრულებენ და არავითარ შემთხვევაში ვერ შეიცვლებიან რომელიმე სხვა საზრდო ნივთიერებებით. თუ რაციონში ცილა მინიმალურ მოთხოვნილებაზე მეტია, მაშინ ნაჭარბი გამოიყენება პროდუქტის შესაქმნელად.

ამ შემთხვევაში ძირეულად განხვავდებიან ზრდასრული და მოზარდი ცხოველები. ზრდასრული ცხოველები ჭარბ ცილოვან ნივთიერებებს მათი დეზამინირების შემდეგ იყენებენ ენერგიის წყაროდ და ცხიმის დასაგროვებლად.

ცილა შედგება: შედგენა (%-ით მოლი წონა) ნახშირბადი -53 %, წყალბადი- 7 %, ჟანგბადი- 23 %,აზოტი- 16 %, ~გოგირდს და პოსპორს 1%-ზე ნაკლებს.

ცილაზე გვაქვს რიგი ჩამონათვალი რომლის აუცილობასაც განსაზღვრავს მისი ორგანიზმში არსებობა:

1.ცილა არის ცხოველის სხეულის ორგანოების და რბილი სტრუქტურების ძირითადი კომპონენტი.

3. საკვების მოთხოვნილებებში პროტეინის პროცენტული მოთხოვნა უმაღლეს დონეზეა ახალგაზრდა, მზარდ ცხოველში და სიმწიფესთან ერთად თანდათანობით იკლებს

პროტეინის მოთხოვნილება.

4. ცილები არის დიდი მოლეკულები, მოლეკულური წონის დიაპაზონით დაახლოებით 5000 მრავალ მილიონზე. მათი დიდი ზომის გამო, ისინი ფართოდ იცვლება ქიმიურ კომპოზიციაში, ფიზიკური საკუთრებებით, გამოსახულებით, ხსანადობით და ბიოლოგიური ფუნქციებით.

ბ. ცილების სტრუქტურა ანუ აღნაგობა:

1. ყველა ცილას აქვს ერთი საერთო საკუთრება: მათი საბაზო სტრუქტურა შედგენილია მარტივი კავშირებისგან, ამინო მჟავებისგან (AA). ძირითადი სტრუქტურა, რომელიც წარმოადგენს ამინო მჟავებს ( პროლინის და ჰიდროქსიპროლინის გარდა) ნაჩვენებია ქვემოთ:

ძირითადი კომპონენტი არის ამინო ჯგუფი ( $\text{NH}_2$ ) ალფა( $\alpha$ ) C ატომზე მოსაზღვრე კარბოქსილ ჯგუფი ( $-\text{COOH}$ ). R წარმოადგენს მოლეკულის ნარჩენს მიკრობილია C ატომთან, დაკავშირებულია ამინო მჟავების  $\alpha$ -ამინო ჯგუფთან.

2. საშუალოდ, ოცდაორი ამინომჟავა ნაპოვნი ცილებში: ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულია პეპტიდების კავშირებით, რომელიც უერთდება  $\alpha$ -კარბოქსილ ჯგუფს, ერთი ამინომჟავების ნარჩენით, სხვა ნარჩენების  $\alpha$ -ამინო ჯგუფზე, რომლის ილუსტრაციაც მოცემულია ქვემოთ.

3.ჯაჭვზე ამინომჟავების განლაგება და ჯაჭვის სიგრძე არის ორი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ცილის ფუნქციას.

4. ამინომჟავების ჩვეულებრივი კლასიფიკაცია დამოკიდებულია, მჟავების რაოდენობაზე და საბაზო ჯგუფის არსებობაზე. თუმცა, ნეიტრალური ამინომჟავები შედგება ერთი ამინო და ერთი კარბოქსილ ჯგუფისაგან. მჟავე ამინო მჟავებს, მთელს ამინო ჯგუფზე გადაჭარბებული კარბოქსილი აქვთ. ორი ამინო მჟავა არის იმინო მჟავა, ვიდრე მთავარი  $\alpha$ - ამინო მჟავები.

5. ქიმიური შედგენილობა ამინო მჟავების არის შემდეგი:

ა. ნეიტრალური ამინო მჟავები

6. ცილების სტრუქტურის დონეები

ა) ძირითადი სტრუქტურა

1) თანმიმდებრობა იდნდივიდუალური AA-ს მიმდინარეობს ერთობლივად, პეპტიდების კავშირით, პოლიპეპტიდების ჯაჭვზე.

2) განსაზღვრულია გენეტიკით.

ბ) მეორადი სტრუქტურა

(1) ტალღოვანი პოლიპეპტიდების ჯაჭვები, დამახასიათებელი ხვეული სტრუქტურით: ალფა- სპირალი (ჰელიქსი) ან ბეტა შრე.

ა) ალფა სპირალი ჯაჭვის შიგნითაა.

ბ) ბეტა შრე ჯაჭვებს შორისაა.

(2) ჰიდროგენული კავშირები.

გ) მესამეული სტრუქტურა.

(1) ალფა სპირალი ან ბეტა შრის რგოლები ან შეკვრა რომელიც წარმოქმნის მყარი შრეების სტრუქტურას.

(2) წყალბადის და დისულფიდის კავშირი.

დ. მეოთხეული სტრუქტურა.

(1) რამოდენიმე ერთმანეთთან შეკავშირებული სამეული სტრუქტურა.

(2) დიდი ცილები.

ე. ცილის სტრუქტურის მნიშვნელობა.

(1) ცილების ბიოლოგიური აქტივობები დაკავშირებულია სტრუქტურის დონესთან.

(2) დენატურაცია.

ა) ორეული, სამეული, ოთხეული სტრუქტურების დანაკარგები.

ბ) სითბოსგან, UV სინათლე, მჟავები, ორგანული გამხსნელები.

დ) იწვევს ბიოლოგიური აქტივობების დაკარგვას: შეიძლება გაუმჯობესდეს შეთვისებადობა.

(3) მეილარდის რეაქცია (ბრაუნინგი)

ა) გამოწვეულია ჭარბი სითბოთი, ხარშვით, გამოშრობით, არასწორი შენახვით.

ბ) ცილები- CHO კომპლექსი, NH<sub>2</sub> - ლიზინის ჯგუფის CHO-თან შეკავშირების გზით წარმოქმნილი.

გ) სითბოთი დაზიანებული ცილები შეიძლება გაჩნდეს, თივის ან სილოსის არასწორი შენახვის დროს; გაანალიზებულია ლაბორატორიულად, როგორც მჟავის საწმენდი უხსნადი აზოტი (ADIN).

დ) ცილების კლასიფიკაცია

1. მარტივი ( სფერული)ცილები-ისიდი რომლებიც მიიღება მხოლოდ ამინო მჟავებისგა ან ჰიდროლიზით წარმოებული; უხვადაა ბუნებაში.

ა. ალბუმინები, ჰისტონები, პროტამინები- წყალში ხსნადი;

ბ. გლობულინები-იხსნება მარილების ნეიტრალურ ნაზავში;

გ. გლუტელინი- იხსნება მჟავების ნაზავში;

დ. პროლამინები- იხსნება 80% ეთანოლში;

2. ბოჭკოვანი ცილები- ცხოველის სხეული მთელი ცილების რაოდენობის 30%-ს შეადგენს; დამაკავშირებელი ქსოვილები;

ა. კოლაგენები- წყალში უხსნადი ; შეთვისებადი ხდება გლუტეინად გარდაქმის შემდეგ მჟავების ნაზავში.

ბ. ელასტინები - კოლაგენების მსგავსია, მაგრამ არ შეუძლიათ ჟელატინად გარდაქმნა.

გ. კერატინები-ძალიან უხსნადი შეუთავსებადი.

3. გაერთიანებული ცილები- ისინი, რომელთა მარტივი ცილებიც კომბინირებულია არაცილოვან რადიკალებთან.

ა. ნუკლეოპროტეინები(ბირთვული ცილები)- შეიცავს ბირთვულ მჟავას.

ბ. გლიკოპროტეინები (მუკოპროტეინები)- შეიცავს ნახშირწყლებს.

დ. ფოსფორპროტეინები- შეიცავს ფოსპორს.

ე.ჰემოპროტეინები- შეიცავს ჰემატინს.

ვ. ლეციტოპროტეინები- შეიცავს ლეციტინს.

ზ.ლიპოპროტეინები-შეიცავს ლიპიდებს.

თ. მეტალოპროტეინები- მეტალის კომპლექსით.

დ. ცილების ტერმინოლოგია

1. ნამდვილი ცილები-მხოლოდ ამინო მჟავების ცილოვანი კომპლექსები.

2.არაცილოვანი აზოტი(NPN)-შედგენილი, რომლებიც ბუნებაში არ არიან ნამდვილი ცილები, მაგრამ შეიცავს აზოტს და ბაქტერიალური ზემოქმედებით შეიძლება გარდაიქმნეს ცილად ( მაგალითად ურეაზი).

3. ნედლი ცილები ( ან მთლიანი რაოდენობა ცილების)- ცილები, რომლებიც შედგენილია ნამდვილი ცილებისგან და ყველა ააზოტის პროდუქტი.

$$\text{ნედლი ცილა} = N \% \times 6.25$$

4. შესათვისებელი ცილები- ისინი რომელიც საქონელს შეუძლია შეითვისოს.

ა.ცხოველის მიერ მიღებული ცილები, როგორც წყარო ამინო მჟავების, მაშასადამე ეს არის ამინო მჟავები, არა ისეთი როგორიც არის, ის რაც ჭირდება საქონელს.

5. ძირითადი ამინო მჟავები (EAA)- ის ამინო მჟავები, რომლებიც თავმოყრილია უნდა იყოს საკვებში, რადგანაც ცხოველის სხეულს არ შეუძლია მისი საკმარისი სისწრაფით სინთეზირება. ქვემოთ მოცემულია ძირითადი ამინო მჟავები, რაც აუცილებელია ცხოველის ნორმალური ზრდისთვის ( ნახეთ გოგირდის ამინო მჟავების ჩამონათვალი). მათი შემოკლებული ფორმები აღებულია, მათი დასახელების პირველი ასოებიდან. მაგ. PVT TIM HALL.

ფენილანინი                      ტრიპოფანი      ჰისტიდინი      (ფრინველებისათვის)

ვალინი                            იზოლეიცინი    არგინი            გლიცინი

ტრეონინი                      მეთიონინი      ლეიცინი            პროლინი

PVT                                    TIM                                    HALL

6. არაძირითადი ამინო მჟავები-ის ამინო მჟავები, რომლებიც შეიძლება სინთეზირებული იყოს დამაკმაყოფილებელი რაოდენობით, სხეულისთვის საკმარისი მოთხოვნილებისთვის და რომლებიც უნდა დაემატოს ცხოველის საკვებს:

ალანინი	ციტინი	ჰიდროქსიპროლინი
ასპარაგინი	გლუტამინ მჟავა	პროლინი
ასპარტატული მჟავა	გლუტამინი	სერინი
ციტეინი	გლიცინი	ტიროზინი

ა) უნდა დაემატოს სხვა ამინო მჟავები ან ცილები. თანაფარდობა ძირითად და არა ძირითად AA( ამინო მჟავები) -ს გოჭებისა და ფრინველის საკვებში უნდა იყოს დაახლოებით 50 : 50.

ბ) კეტონმჟავა ( ეს არის ნახშირბად სკელეტონი) შეიძლება გამოყენებული იყოს არაძრითად ამინო მჟავებში.

გ. მცოხნელ ცხოველებს შესაძლებელია ისე არ ესაჭიროებოდეს საკვები ამინო მჟავები, როგორც ერთკამერიანი კუჭის ცხოველებს.

7.ცილების ხარისხი-წარმოადგენს ცილების ძირითადი ამინო მჟავების რაოდენობას და თანაფარდობას. ძალიან მნიშვნელოვანია გავანალიზოთ რომ, როდესაც ჩვენ ვკვებავთ ცხოველებს ცილებით , ეს არის ამინომჟავები, რომლებიც ძალიან საჭიროა ცხოველებისათვის. ცილების ხარისხის შეფასება მოცემულია ქვემოთ:

ა. შეთვისებადობა- ყველა ცილა არაა ( ამინო მჟავების) შეთავსებადი ან შთანთქმული, მაგრამ ეს შესაძლებელია განხორციელდეს კუჭ-ნაწლავის მიერ და გამოიყოფა ფეკალური მასებით.

ბ. ამინო მჟავების მოხაზულობა-ინდივიდუალური ამინო მჟავების შემადგენლობა ( შეთავსებადობის ბაზაზე) შედარებულია იმ ცილებთან, რომლებიც საჭიროა ცხოველებისათვის(“მოთხოვნილება“). ჩვეულებრივ შემადგენლობა გამოიხატება ლიზინთან თანაფარდობის 100%-ით.

გ. ხელმისაწვდომობა- თუმცა შესაძლებელია ამინომჟავები შეთვისებადი იყოს, ისინი შეიძლება მიუწვდომელი იყოს ცილის სინთეზისათვის და გამოიყოს შარდიდან. მაგალითია ამინომჟავა, ლიზინი, რომლებიც ჯაჭვზე, მაღალი რეაქტიულობის ამინო მჟავების ჯგუფს ეკუთვნის. გათბობის დროს, ეს ეპსილონ ( ε ) ამინო ჯგუფი რეაქციას ახდენს თავისუფალ შაქარზე, წარმოქმნის ბრაუნინგის( ჟანგვა) პროდუქტებს. ესენი

შესაძლებელია შეთვისებადი იყოს , მაგრამ მასზე მიკრული შაქარი ლიზინს გამოუყენებელს ხდის, ცილების სინთეზში, ამის ნაცვლად ის გამოიყოფა შარდიდან.

დ. ბიოლოგიური ღირებულება (BV)- ცილების ურთიერთქმედების საზომი (ან N) ცილების შეთვისების შეკავების. აგრეთვე, შესაძლებელია განსაზღვრული იყოს როგორც პროცენტი, ნაღდად ათვისებული ცილების, რომლებიც კუჭ-მაწლავიდან გადამუშავების შედეგად ხელმისაწვდომი ხდება ცხოველის სხეულის პროდუქტიული ფუნქციონირებისათვის.

8. ცილის ხარისხის მნიშვნელობა მცოხნელებისათვის.

ა. მცოხნელი ცხოველების დიეტოლოგები დიდი ხნის განმავლობაში ვარაუდობდნენ რომ, ცილის გამოსვლა ფაშვიდან და მისი შესვლა უფრო დაბალ მომწელებელ ტრაქტში კარგი და ადეკვატური იყო იმისათვის, რომ თანხვედრა მოხდეს ცხოველის ორგანიზმში ძირითადი ამინო მჟავების, რომელიც საჭიროა.

დაახლოებით 60 % სხვადასხვა სახის საკვებში, ცილები დაშლილია (დეგრადირებული) ფაშვში ბაქტერიის მიერ და სხვა მიკროორგანიზმებით თავიანთი ამინო მჟავების კომპონენტებით და შემდეგ ამონიით. დანარჩენი 40 % არ არის დაშლილი და მარტივად გაივლის ფაშვს და გადადის საჭმლის მომწელებელ ტრაქტში. არაცილოვანი აზოტის წყაროები, როგორცაა ურეაზი და უწყლო ამონია, ძალიან ხსნადია და გარდაიქმნება ამონიად. არახსნადი ცილები ფაქტორებიც დეგრადირებულია ფაშვში მაგრამ, დაბალი სიხშირით, ვიდრე ხსნადი.

მცოხნელ ცხოველებს აქვთ იმის შესაძლებლობა, რომ დაბალი ხარისხის საკვების ცილები გარდაქმნან უფრო მაღალი ხარისხის მიკრობულ ცილად, რაც უკეთესად პასუხობს ცხოველის საჭიროებას.

როცა გადაჭარბებული რაოდენობის ხსნადი ცილები NPN მიეცათ საკვებად, იმაზე მეტი ამონია არის წარმოქმნილი, ვიდრე ბაქტერიას შეუძლია მოიხმაროს. დიდი რაოდენობით ამონია არის შთაინთქმული ფაშვის მიერ, ურეაზად დარდაქმნილი ღვიძლის მიერ უბრუნდება ფაშვს ნერწყვით ან გამოყოფილი თირმლებით. ექსტრემალურ შემთხვევაში,

ურეაზის გადაჭარბებული მოხმარებით ან NPN, ამონიას გადიდება, შეიძლება დაავადოს მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და გამოიწვიოს სიკვდილი.

რამოდენიმე მეთოდი არსებობს მაღალი ხარისხის კომბინირებული საკვების ცილების „დასაცავად“ ან ძალიან მნიშვნელოვანი ამინო მჟავების ,რაც გამოწვეულია ფაშვის გადაჭარბებული დეგრადაციით. მათ შორის არის:

1. თერმული დამუშავება.

2. ფორმალდეჰიდითა და ტანინით დამუშავება.

3 .ამინო მჟავების ინკაფსულაცია.

4, ამინო მჟავების ანალოგების გამოყენება.

5. ფაშვში მიკრობული მეტაბოლიზმის კონტროლი.

ბ. მეტაბოლიზირებადი ცილა ( ან ამინო მჟავები)- ცილების ხარისხისა და რაოდენობის გამომანგარიშება (ან ამინო მჟავები), რომლებიც გადიან ფაშვიდან, კონცეპცია ცილებით კვებაზე შემოთავაზებული იყო აიოვას შტატის უნივერსიტეტის კვლევებით. გამოთქმა „მეტაბოლიზირებადი ცილები“ ან „ მეტაბოლიზირებადი ამინო მჟავები“ ( აგრეთვე უწოდებენ შემწვოვ ცილებს“ შეიძლება განისაზღვროს, როგორც შეთვისებული ცილების ან, ამინო მჟავების რაოდენობა, რომლებიც შთანთქმულია მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ან სხვა მცოხნელების საჭმლის მომწელებელი ტრაქტის მიერ.

ფ. ფუნქციები და განსაზღვრებები

1. ფუნქციები

ა. საქონლის სხეულიში სრტუქრურულად დამაკავშირებელი ძირითადი ცილებია:

1 . კოლაგენი.

2.ელასტინი.

3. შემოკლებადი ცილა.

4. კერატინ ცილები.

5. სისხლის ცილები.

ბ. სხეულის მეტაბოლიზმი

1. ენზიმები.

ა შეთვისებადობის პროცესი.

ბ დეგრადაციული პროცესი.

გ სინთეზის პროცესი.

2. ჰორმონები.

3. იმუნური ანტისხეულები.

4. მემკვიდრეობით გადაცემა.

გ. ენერჯის წყარო დეამინირების შემდეგ.

2. დეფიციტი და პათოლოგიები

ა. ცილების ნაკლებობის სიმპტომებია: შემცრებული ზრდის ტემპი და კვების ნაკლებობა, ანორექსია, შემცირებული აზოტბალანსი, და შრატის ცილოვანი შემადგენლობა, ანემია, ღვიძლის გაცხიმოვნება, უნაყოფობა, ახალშობილის შემცირებული წონა და ნაადრევი შობადობა, შემცირებული რძის პროდუქტიულობა და რამოდენიმე ჰორმონისა და ენზიმის შემცირებული სინთეზი.

ბ. ამინო მჟავების დეფიციტი-ყველა ამინო მჟავა საჭიროა ცილის სინთეზის უჯრედოვად დონეზე, ამიტომაც, თუ მარტოდენ ერთი ამინომჟავაა დეფიციტური, სხვა ამინომჟავები გადაჭარბებულადაა და ინდივიდუალური ამინო მჟავის დეფიციტი იწვევს სხვა ამინო მჟავების დეამინაციას და გამოიყენება ნახშირბადის ჯაჭვები ენერჯისთვის. დეფიციტის სიმპტომები შესაძლებელია გავდეს იმას, რაც აღწერილი იყო ცილის დეფიციტისთვის, ზოგი ამინო მჟავის დეფიციტებით გამოწვეული განსაკუთრებული დაზიანებების წარმოქმნით.

გ. ამინო მჟავების დისბალანსი-თანაბრად მნიშვნელოვანია ყველა ამინო მჟავების წარმოდგენით სხეულის ცილის სინთეზისთვის, უჯრედის ხელმისაწვდომი ამინო მჟავების ბალანსია. იმ პირობების დროს, როდესაც საკვები ნაკლებ ცილოვანია, მაშინ ამინო მჟავა ,რომელიც ზღუდავს ზრდას, დამატებულია გადაჭარბებულად და სახეზეა დაქვეითებული ზრდის დონე, რაც გამოწვეულია დაუბალანსებელი საკვებით.

დ. ამინო მჟავების წინააღმდეგობები - ამინო მჟავების წინააღმდეგობები, არის ის რაც განსხვავებულია უბრალო დაუბალანსებლობისგან. მაშინ როდესაც ზრდის დეპრესიული ხასიათი, გამოწვეული ამინო მჟავების დაუბალანსებლობით, შესაძლებელია შემსუბუქებული იყოს, ზრდის შემზღვეველი მჟავების საკვებზე დამატებით.

ე. ამინო მჟავების ტოქსიკურობა- ზოგიერთი ამინო მჟავა, ჩანს რომ არის კატეგორიულად ტოქსიკური, როდესაც ცხოველს მაღალი დონით ეძლევა. ეს ტოქსიკურობა, ნაწილობრივ შეიძლება შემსუბუქდეს სხვა ამინო მჟავებით, მაგრამ სრულყოფილად არა. მეტიონინი, განსაკუთრებით მძიმდება მაღალ დოზებზე

ვ. ბუნებრივი წყაროები - ჩვეულებრივი საკვების უმეტესობა შეიცავს ცილებს, თუმცა მისი რაოდენობა და ხარისხი შეიძლება შეიცვალოს და შეზღუდოს ცხოველის ზრდა და პროდუქტიულობა. წესით, ცილის სათანადო მიღებისას, აუცილებელია ცილის მინიმალური საჭიროების რაოდენობისა და პლუს EAA-ზე მინიმალური საჭიროების ცოდნა, აგრეთვე მათი ადეკვატური რაოდენობითა და სწორი ბალანსით მოხმარება. ეს შეიძლება განხორციელდეს ცილის შერჩევით, მისი კომბინირებით ან ცილის ინდივიდუალურ ამინო მჟავებზე დამატება, ისეთი გზით რომ დაკმაყოფილდეს საჭიროება. ამ ტექსტის მესამე თავში დეტალურადაა კომბინირებული საკვების წყაროების განხილვა.

ზ. მონელება და მეტაბოლიზმი.

1. საკვები ცილები ძალიან დიდია ენტეროციტებში შესასვლელად ( წვრილი ნაწლავის შემწოვი უჯრედები). ამგვარად , ცილები აუცილებლად უნდა დაიშალოს ამინო მჟავების

ფრაგმენტებად, მომწელებელი სისტემიდან შეწოვისთვის. გამონაკლისია ძუძუმწოვრების დაბადების შემდეგი ცხოვრება ( უმეტეს სახეობებში, პირველი 24-დან 72 საათის განმავლობაში), როდესაც ხელუხლებელი ცილა შეწოვილია ინტესტინალური ეპითელიუმის გასწვრივ.

საკვები ცილების ჰიდროლიზი, განსაზღვრულია გასტრიტული უჯრედების, ინტესტინალური ტრაქტის ლუმენში განლაგებული ეპითელიური უჯრედების პროტეოლიზური ენზიმებისა და პანკრეასის მიერ.

ა. პროტეოლიზური ენზიმები:(1.კუჭი.

HCl

პეპსინოგენი  $\longrightarrow$  პეპსინი

2. წვრილი ნაწლავი:

ა პანკრეასიდან:

ტრიპსინოგენი  $\longrightarrow$  ტრიპსინი

ქიმოტრიპსინოგენი  $\longrightarrow$  ქიმოტრიპსინი

პროკარბოქსიპეპტიდაზა  $\longrightarrow$  კარბოქსიპეპტიდაზა

3. თითოეულ ენზიმის ჰიდროლიზის პეპტიდი მაგრდება სპეციფიკურ AA-ს შორის.

ა ტრიფსინი: ლიზინი დ არგენინი.

ბ ქიმოტრიპსინოგენი: არომატული AA – ტრიპტოფანი, ფენილალანინი, ტიროზინი.

გ კარბოქსიპეპტიდაზა: ტერმინალურად თავისუფალი კარბოქსილის ჯგუფი.

4. ცილები ხდება:

დ დიპეპტიდი.

ზ ტრიპეპტიდები.

გ თავისუფალი ამინო მჟავები (FAA).

5. წვრილი ნაწლავი

ა. შედგება დიპეპტიდებისა და ტრიპეპტიდებისაგან.

ბ). ათავისუფლებს მეტ თავისუფალ ამინო მჟავებს.

2. აბსორტრინი.

ა). თავისუფალი ამინო მჟავები.

1. FAA შთანთქმება აქტიური გადამტანისა მიერ (ითხოვს ენერჯიას)

2. ოთხი სხვადასხვა სატრანსპორტო სისტემა არსებობს:

ა ნეიტრალური AA- შთანთქმულია ყველაზე სწრაფად.

ბორფუმიანი AA-Lys, Arg

დ) მჟავე AA-ყველაზე ნელი.

ე) ამინო მჟავები, ჰიდრიქსიპროლინი

3) მას შემდეგ, რაც შთანთქმის სიჩქარე განსხვავებულია, სხეულის ცილების სინთეზი შეიძლება მოხდეს, რადგანაც ყველა ამინომჟავები უჯრედში წარმოდგენილი უნდა იყოს იმავე დროს.

ბ) დიპეპტიდები და ტრიპეპტიდები.

1. ბაიპასი ხდება FAA შთანთქმის მექანიზმებით და აქტიურად შეიწოვება ენტეროციტებში პეპტიდების გადამტანით (PEPTI).

2. ენტეროციტებში ჰიდროლიზებულია FAA და შედის სისხლის პორტალში, როგორც FAA.

3. უფრო სწრაზად უშვებს FAA-ს სუფთა პროდუქციას.

(4) დიპეპტიდებისა და ტრიპეპტიდების შთანთქმა უფრო ნაკლები ენერჯიის მოთხოვნის პოტენციურია, ვიდრე FAA-დან ამინო მჟავების შესაბამისი რაოდენობის.

დ. მთლიანი ცილა ( პინოციტოზი)

1. მთელი უცვლელი ცილა შთანთქმულია მიკრობული უჯრედების მიერ.

2. მხოლოდ ახალშობილ ძუძუმწოვრებშია (დაბადებიდან პირველი 24-72 საათი).

3. ხელს უწყობს ხსენიდან ანტისხეულების შთანთქმას.

4. მნიშვნელოვანია, რადგანაც ანტისხეულებს არ შეუძლით პლაცენტის მემბრანით გასვლა.

5. მთელი ცილების შთანთქმა არის „საკვებად“ მნიშვნელოვანი.

ე. FAA-ს (ცხიმოვანი ამინოჟავები) ენტეროციტებში

1. თავისუფალი AA (ამინომჟავები) გამოტანილია ენტეროციტებიდან ბაზოლატერალური მემბრანით პორტალურ სისხლში. პეპტიდები ჰიდროლიზებულია თავისუფალ AA-დ სანამ გადატანილი იქნება სისხლის პორტალში.

2. ამინომჟავები გამოყენებულია ენტეროციტებში ქვემოთ ჩამოთვლილი პროცესებისთვის:

ა. ცილის სინთეზი ( ეს არის შეთვისებადი ენზიმები, სტრუქტურული ცილები და სხვა).

ბ. ლორწო (განსაკუთრებით თეონინი), და

გ. ენერგია (დეამინირების შემდეგ), განსაკუთრებით გლუტამინი და გლუტამატი არის მნიშვნელოვანი ენერგიის წყარო ენტეროციტებისთვის.

3. ცილების მეტაბოლიზმი

ა) ტრანსპორტი (გადამტანი)

1. AA-ს უმეტესობა შთანთქმულია და სისხლში გადატანილია, როგორც AA; რამოდენიმე AA, რომლებიც შეწოვილია კუნთოვან უჯრედებში, გარდაქმნილია ალანინად ან გლუტამინის მჟავად და სისხლში შედის, როგორც ორი AA.

2. AA ღვიძლში შედის პორტალ( მთავარი) ვენის გავლით.

3. AA-ს ღვიძლში შესვლით ის შეიძლება დარდაიქმნეს სხვა AA-დ, ცილის სინთეზისათვის ან დეამინირებული იქნება და ნახშირბადის სკელეტონის ენერგიის დასაშლელად.

ბ. სინთეზი.

1. სხეულის ყველა უჯრედში აქვს ადგილი.

2. DNA-დეოქსირიბონუკლეინური მჟავა

- ა) ინახავს გენეტიკურ ინფორმაციას.
  - ბ) მსახურობს, როგორც ნიმუში სინთეზის მენეჯერი RNA.
  - გ) პროცესი, რომელსაც უწოდებენ ტრანსკრიპციას.
- 3) mRNA-მაუწყებელი რიბონუკლეინური მჟავა.
- ა) შეიცავს დაკოპირებულ ინფორმაციას პირდაპირ DNA-დან.
  - ბ) მსახურობს, როგორც ცილის სინთეზის ნიმუში.
  - გ) პროცესი, რომელსაც ეწვია ტრანსლაცია.
- 4) tRNA-რიბონუკლეინური მჟავის გადაცემა.
- ა) ცილის სინთეზში ასრულებს ადაპტერის როლს.
  - ბ) ყოველ tRNA-ს გადააქვს AA.
  - გ) tRNA-ს მიაქვს AA რიბოსომასთან, სამუშაო ადგილი სადაც ცილაა დამზადებული.
- 5) ცილის სინთეზი მოიცავს ყველა 22 AA-ს (ეს არის უჯრედოვან დონეზე, ყველა AA აუცილებელია).
- გ. დეგრადაცია.
- (1) ცილის დაშლა.
- ა) მოითხოვს სხვადასხვა პროტეაზებს.
  - ბ) პროტეინებს-ინდივიდუალურ AA-ს.
- (2) ამინომჟავების დაშლა-ორი პროცესია ჩართული:
- ( ა) დეამინაცია.
- 1)  $\text{NH}_2$  გადატანილია ამონიაში.
  - 2) ამონია განლაგებულია ურეაზის ციკში.
  - 3) C სკელეტონი კეტო მჟავაში.
- ბ. ტრანსამინაცია.

1)  $\text{NH}_2$  გადატანა AA-დან კეტო მჟავაში ( ეს ნიშნავს თუ როგორაა არა-EAA დამზადებული).

2) C სკელეტონი კეტო მჟავაში.

(3) AA-ს ბედი დეამინაციის და ტრანსამინაციის შემდეგ, მხოლოდ C სკელეტონი:

( ა) გლუკონეოგენეზისი.

1) გლუკოზის დამზადება (რომელიც შესაძლებელია შენახული იყოს გლიკოგენში)

2) ყველა არა-EAA.

( ბ) კეტოგენეზისი.

1) კეტონის სხეულების დამზადება.

( 2) მხოლოდ ლეოცინი და ლიზინი მკაცრად კეტოგენური.

(გ) ცხიმოვანი მჟავის სინთეზი.

1) ნარჩენი ცილების კეტო მჟავები შესაძლებელია ცხიმად გარდაიქმნეს( ტრიაცილ გლიცერიდები).

2) აცეტილ CoA წარმოქმნილია კეტო მჟავიდან.

4. ამონიას ადგილმდებარეობა ურეაზის ციკლში.

ა) ამონია ძალიან ტოქსიკურია და უნდა აღმოიფხვრას სხეულიდან:

1) თევზი: გამოყოფილია როგორც ამონია- ძალიან ტოქსიკურია.

2) ძუძუმწოვრები: ამონია გარდაქმნილია ურეაზში- ნაკლებ ტოქსიკურია.

3) ჩიტი: ამონია გარდაქმნილია ურეაზ მჟავად- ყველაზე ნაკლებადაა ტოქსიკური.

ბ) ფუნქცია.

(1) ამონიის დეტოქსიკაცია → ურეაზა ექსკრეციისთვის, ურინის გავლით.


(2) არგინინის, ამინო მჟავის სინთეზირება.

გ. მდებარეობა (განსაზღვრულია ორ ქსოვილში).

(1) ძირითადად ღვიძლში.

(2) ზოგიერთი თირკმელში.

დ. გზა (რომელიც გვხვდება ღვიძლში)



.....

5. აზოტის მეტაბოლიზმი მცოხნელებში:

ა. ფაშვში არსებული მიკროორგანიზმები აჰიდროლიზებს საკვები ცილების უმეტესობას პეპტიდებად და ამინო მჟავებად, რომელთაგან უმეტესობა დეგრადირდება ამონიის, ორგანული მჟავების და კარბონ დიოქსიდის ხელშეწყობით.

ბ. საკვები ცილის მიკრობული დაშლის დროს გამოთავისუფლებული არის ამონია, ხოლო ფაშვიდან მისი მოცილება შემდეგი საშუალებებით ხდება:

(1) შეწოვა ფაშვის კედელში, ნაწილობრივ, pH-ის, ასე თუ ისე, მაღალ დონეზე. შეწოვილი ამონიის უმეტესობა, გადამუშავებულია კვლავ ფაშვში, როგორც ურეაზა სისხლის ან ნერწყვის მიერ.

(2) მიკროორგანიზმების მიერ ერთობლივად გამოყენება, ადვილად ხელმისაწვდომ კარბოჰიდრატებთან ერთად, მიკრობული ცილის სინთეზირებისთვის.

გ. მიკრობული ცილა სინთეზირდება მიკროორგანიზმების მიერ, რაც იწვევს საკმაოდ ურყევი ხარისხის ცილების მომარაგებას მომწელებელ ტრაქტში. ცილის ხარისხი ზომიერიდან დაბალ საკვებზე, ჩვეულებრივ გაუმჯობესდება ფაშვის მეტაბოლიზმის მიერ, მაშინ როდესაც საპირისპირო შეიძლება მოხდეს მაღალი ხარისხის საკვებ ცილებთან.

თ. საზომი ერთეულები

1. რაოდენობა თითოეულ ცხოველზე დღიურად (მგ, გ, კგ, ფუნტი).

2. ცხოველის ულუფის პროცენტული შემცველობით განისაზღვრება.

### 3 ნახშირწყლების შემცველობა საკვებში

ნახშირწყლები წარმოქმნიან მცენარეული საკვების ძირითად მასა. ისინი შაქრების სახით გვხვდებიან ტკბილ ნაყოფებში, სახამებლის სახით გროვდებიან როგორც მარაგი საყუათო ნივთიერებები, ცელულუზას წარმოადგენენ მცენარეული ორგანიზმის საყრდენ ნივთიერებებს. ცხოველთა ორგანიზმში ნახშირწყლები წარმოადგენენ ადვილად გამოსაყენებელ ენერჯის წყაროს. ნახშირწყლების შემადგენლობაში შედის ნახშირბადი, წყალნადი და ჟანგბადის გარკვეული შეფარდებით და აქედან წარმოდგება ზუსტად სახელწოდებაც.-ნახშირწყლები.. ნახშირწყლები (CHO).

სქემატურად ნახშირწყლები ასე წარმოგვიდგენია:

1. განსაზღვრება: ნახშირისწყლები წარმოიშვა კომბინაციით  $\text{CO}_2$  და  $\text{H}_2\text{O}$  (ფოტოსინთეზი)

C		H		O
1	:	2	:	1

2. შედგენილია (მოლის წონის %-გან) ნახშირბადი- 40%, წყალბადი- 7% და ჟანგბადი- 53%). H და O ქიმიური მსგავსება  $\text{H}_2\text{O}$ -ს.

3. შეიცავს შაქარს, სახამებელს, ცელულოზას და ფისებს.

4. ძალიან ცოტა გვხვდება ცხოველის ორგანიზმში.

5. CHO წარმოადგენს მცენარის სტრუქტურულ კომპონენტს


ა. უჯრედები შედგება : CHO-რისგან.

ბ. უჯრედის კედლები: სტრუქტურული CHO ( ცელულოზა და ჰემიცელულოზა)

6. CHO -შეადგენს დაახლოებით  $\frac{3}{4}$ -ს მცენარეების მშრალი წონის და ამგვარად, ცხოველთა საკვების ყველაზე დიდ ნაწილშია.

7. მცენარეებში ფოტოსინთეზით წარმოქმნილი

მცენარის



ნახშირ + წყალი + მზის ენერჯია ---> გლუკოზა + ჟანგბადი  
ოჟანგი

ბ. სტრუქტურული შედგენილობა ასე გამოიყურება;

1. სტრუქტურა შედგება C ატომებისაგან, განლაგებულია ჯაჭვზე, რომელიც მიმაგრებულია H და O;

2. ნახშირწყლებს ახასიათებს კეტონის შემცველობა;

გ. ნახშირწყლების კლასიფიკაცია (შაქრის მოლეკულების რაოდენობით)

1. მონოსაქარიდი (1 შაქრის მოლეკულა)

ა. ჰექსოსი (6 C)

(1) გლუკოზა


(ა) შაქრის ყველაზე დიდი კვებითი ღირებულება

(ბ) ძირითადი საბოლოო პროდუქტი CHO-ის მომწოდებელი არამცოხნელებისათვის.

(გ) შაქრის ენერჯიის თავდაპირველი ფორმა


(დ) ზოგჯერ უწოდებენ დექსტროსს

(ე) სტრუქტურა:




(2) ფრუქტოზა

- (ა) თაფლში არის 75% შაქარი
- (ბ) მოიპოვება ხილში და შაქრის ლერწამში
- (გ) ზოგჯერ უწოდებენ ლეფულოზას
- (დ) სტრუქტურა:



(3) გალაქტოზა


- (ა) რძის შარქრის კომპონენტი (ლაქტოზა)
- (ბ) შესაძლებელია მეტაბოლიზება გლუკოზასთან
- (გ) იშვიათად არსებობს არაკომბინირებული, თავისუფალი ფორმით
- (დ) სტრუქტურა:



(4) მანოზა

ა) მოიპოვება მცენარეების მანოზაში ჰიდროლიზით და ბოსტნეულში.

ბ) სტრუქტურა:



ბ. პენტოზა

(1) არაბინოზა და ქსილოზა

ა) ჰემიცელულოზის და რეზინის კომპონენტი

2) რიბოზა

ა) მოიპოვება ყველა ცოცხალ უჯრედში

ბ) მეტაბოლიზმში ჩართულ ნარევებში

1) ATP/ADP : ენერგიის გარდაქმნა


2) რიბოფლავინი : B-ვიტამინი

3) RNA : ცილების სინთეზი

4) DNA : გენეტიკური კოდი

2. დისაქარი (2 შაქრის მოლეკულა ან მონოსაქარიდები დაკავშირებულია გლიკოციდებთან [ან აცეტალი] კავშირი)

ა. საქაროზა (გლუკოზა და ფრუქტოზა) არის უბრალოდ მაგიდის შაქარი. მოიპოვება შაქრის ჭარხლის ლერწამში. მისი სტრუქტურა ასე გამოიყურება,



ბ. მალტოზა (გლუკოზა და გლუკოზა)

(1) ალფა 1-4 ფუნდამენტალური კავშირი აქვს სახამებელთან. მოიპოვება სახამებელში ქერის სპეციალური მეთოდით გაშრობის წესით.

გ. ლაქტოზა (გლუკოზა და გალაქტოზა)

(1) რძის შაქარია. მოიპოვება მხოლოდ რძეში და მისი შეუცვლელი კომპონენტია

დ. ცელოზიოზა (გლუკოზა და გლუკოზა)

(1) ბეტა 1-4 ფუნდამენტალური კავშირი აქვს ცელულოზასთვის.

ე. ტრეჰალოზა:

(1) ალფა - 1, 1 კავშირი.

(2) მოიპოვება სოკოებსა და მწერებში.

(3) მწერებში, ტრეჰალოზა უზრუნველყოფს იმავე ფუნქციას, რასაც გლუკოზა ძუძუმწოვრებში.

3. პოლისაქარიდი (ბევრი შაქარის მოლეკულა)

ა. ჰომოპოლისაქარიდი - CHO შეიცავს საქარიდული კომპლექტის ერთ ტიპს.

(1) სახამებელი.

(ა) ალფა - 14 და  $\alpha - 1$ , 6 შეკავებულია გლუკოზას მოლეკულას შორის სახამებელში

(ბ) სტრუქტურა:

(გ) უხვადაა არსებული მარცვლეულში და სხვა საკვებში, სადაც უზრუნველყოფს ენეგით მომარაგებას.

(დ) არსებობს სახამებლის სამი ფორმა:

**1) ამილოზი:**

ა) ალფა- მხოლოდ 1, 4 წარმომავლობა.

ბ) სწორი ჯაჭვი (არაა ტოტის მაგვარი).

გ) მცენარის სახამებლის მთლიანი 14-30%.

დ) წყალში ხსნადი.

**2) ამილოპექტინი:**

ა) ალფა - 1, 4 კავშირი  $\alpha - 1, 6$  კავშირით დატოტვის ადგილებში.

ბ) მთლიანი მცენარის სახამებლის 70-85%.

გ) არ იხსნება წყალში.

დ) უფრო ადვილად მოსანელებელი ვიდრე ამილოზი.

**3) გლიკოგენი („ ცხოველური სახამებელი“):**

ა) მცირე რაოდენობითაა ღვიძლსა და კუნთებში.

ბ) ალფა - 1,4 კავშირი,  $\alpha - 1,6$  კავშირით დატოტვის ადგილებში.

გ) მეტად დატოტვილი, ვიდრე ამილოპექტინი, დატოტვის ადგილით, ყველა 7-8 გლუკოზაზე.

დ) წყალში ხსნადია.

(2) ცელულოზა: , იხსნება წყალში, გლუკოზასთან არის ბეტა კავშირში-სწორი ჯაჭვი,  $\beta - 1, 4$  კავშირით.

გ) სტრუქტურულად არის ძალიან მტკიცე, მოიცავს მცენარის 25-30%. ცელულუზიდან ბამბა არის ყველაზე წმინდა ფორმა. ყველაზე უხვად ბუნებაში არის - ით. იშლება მხოლოდ მიკრობული ენზიმით

3 ინულინი:

(ა) ძირითადი ერთეული არის ფრუქტოზა, წყალში იხსნება, მოიპოვება ფესვსა და ყლორტებში, მცენარისათვის არის საკვები მასალის მარაგი, იშლება მხოლოდ მიკრობული ენზიმების საშუალებით. იგი ხელს უწყობს სასარგებლო ლაქტობაქტერიის და ბიობაქტერიის ზრდის ინტენსივობას.

(4) ბეტა- გლუკანები: ბეტა - 1, 4 და  $\beta$  - 1, 3 კავშირები. მოიპოვება ძირითადად ქერის, შვრიის და საფუარის უჯრედულ კედლებში, შთანთქავს წყალს და წარმოქმნის ჟელეს. ამცირების საკვების გარდაქმნის სიხშირეს (საკვების შთანთქმას.)

ერთიანდება დიდ ქსელის მაგვარ სტრუქტურებად, ზრდის დიგესტის სიბლანტეს და ფიზიკური კონტაქტით უკავშირდება მომწელებელ ენზიმებს, საკვებ კომპონენტებსა და ინტესტინალურ კედელს (სადაც საკვები ნივთიერებებია შთანთქმული), ამგვარად ამცირებს საკვები ნივთიერებების მოწელებადობასა და ენერჯიას.

შეიძლება გამოიწვიოს შინაური ფრინველების ან გოჭების განავალის წებოვანება და გათხევადება.

**ბ. ჰეტეროპოლისაქარიდები**, შერეული ნახშირწყლები, შეიცავს ერთზე მეტი სახეობის (ხშირად 2-6) შაქარს. მიეკუთვნება;

1 ჰემიციტულოზა: არ არის ცელულოზა, გლუკოზის სრული ნარევი-მანოზა, არაბინოზა და გალაქტოზა,  $\beta$  - 1, 4 კავშირით. არის მცენარის უჯრედოვანი კედლის ძირითადი კომპონენტი. იშლება მხოლოდ მიკრობული ენზიმების მიერ.

**2 პეკტინი:** - გლუკოზის 1, 4 კავშირის მთავარი პოლიმერია. იშლება მხოლოდ მიკრობული ენზიმების მიერ. ძირითადად მოიპოვება უჯრედული კედლების სივრცეს შორის. იხსნება წყალში კარგად, მას დამატებით „მცენარეულ წებოს“ ეძახიან

#### 4. არანახშირწყლები:

**ა. ლიგნინი:** - ფენილპროპანის ერთეულის პოლიმერებია. ზრდის ცელულოზას და ჰემიცელულოზას და მცენარეულ უჯრედებს აძლევს სიმტკიცეს. ხელს უწყობს მცენარის ზრდის დროს მისი მერქნის მოცულობის გაზრდას. გამერქანება კი ამცირებს მონელებადობას, მცენარის უჯრედანის ხარჯზე (ქმნის ბარიერს - CHO-ში). მისი მერქნის დაშლა არ სეუძლია ცხოველურ და ენზიმურ ბაქტერიებს.

მისი ფუნქცია ცხოველის ორგანიზმში არის ენერგიის წყაროდ და სითბოს წყაროდ, რომ არსებობდეს. მისი ფუნქცია ასევე სხეულში განლაგებული ტრიგლიცერინების გარდაქმნა გლიკოგენად., ასევე ეხმარება ორგანიზმს სხვა საშენი მასალების შესაქმნელად.

#### 2. მეტაბოლიზმის ხარვეზები და მისი დარღვევა.

**ა. კეტოზი-**გამოწვეულია ნახშირწყლების მოშლით ან ლიპიდის მეტაბოლიზმით წარმოქმნილი ჭარბი რაოდენობის კეტონებით (აცეტონი, აცეტოაცეტიკი მჟავა და β-ჰიდროქსიზეთოვანი მჟავა), რათა თავი მოუყაროს სისხლსა და ქოვილებში.

კეტოზი ჩვეულებრივ, ხშირია იმ ცხოველებში, რომლებიც დიდი რაოდენობით ენერგიას საჭიროებენ, მაგალითად, როგორცაა ლაქტაციის პიკში მყოფი მსხვილრქოსნები ან გვიანი მაკეობის პერიოდში მყოფი ცხვრები.

#### კეტოზის სიმპტომებია:

1. გაზრდილია ქსოვილოვანი ცილის ენერგიის მოშლა.
2. სხეულის წონის დაკარგვა. გაზრდილია წყლის მოხმარება.
3. შემცირებულია ლაქტაციაში მყოფი ცხოველების რძის პროდუქტიულობა.
4. მუცლის მოშლა ცხოველებში.
5. აცეტონის სუნი გამოვლინება ცხოველის სუნთქვის დროს.

## ბ. შაქრიანი დიაბეტი.

ძალიან ხშირია ადამიანებში და შინაურ ცხოველებში (ძაღლები).

(2) გამოწვეულია, ინსულინის არასაკმარისი წარმოებით, პანკრეასის მიერ ( I-ელი ტიპი, ინსულინზე დამოკიდებული დიაბეტები) ან ქსოვილების წინააღმდეგობა ინსულინის მიმართ ( II-ე ტიპი, ინსულინზე არადამოკიდებული დიაბეტები).

(3) ძირითად, გენეტიკური საფუძველია; გადაჭარბებული ჭამა და სიმსუქნე.

(4) სიმპტომები მოიცავს:

ა) სისხლში გლუკოზის მაღალი დონე.

ბ) შარდის საშუალებით გამოწვეული, გლუკოზის გადამეტებულ დანაკარგები.

გ) ცხიმოვანი ქსოვილის ლიპიდების ამაღლებული მობილიზაცია.

დ) კეტონის გაზრდილი წარმოება.

### ე. ბუნებრივი წყაროები

ყველაზე მეტი მცენარეული წარმოშობის კომბინირებული საკვები მდიდარია ნახშირწყლების შემადგენლობით, განსაკუთრებით მარცვლეული თავთავები.

### ფ. შეთვისებადობა და მეტაბოლიზმი

#### 1. შეთვისებადობა

CHO — ნედლი ბოჭკო (ცელულოზა, ჰემიციელულოზა, ლინინი)-ცუდად შეთვისებადია  
უაზოტო ექსტრაქტი (წყალში ხსნადი შაქრები და სახამებლები)- ადვილად შეთვისებადია.

ა. ნახშირწყლები უნდა დაიშალოს მონოსაქარიდებად, სანამ შეიწოვება წვრილი ნაწლავიდან. ეს დაშლა მოითხოვს მასპინძლის ან მიკროფლორის მიერ გამოყოფილ ენზიმებს, რომლებიც აფერხებენ მომწელებელ სისტემის მუშაობას.

არამცოხნელ ცხოველებში, წვრილ ნაწლავში მონელებული ნახშირწყლების საბოლოო პროდუქტი უმთავრესად გლუკოზაა, მაგრამ გალაქტოზაც და ფრუქტოზაც აგრეთვე წარმოიქმნება (როდესაც საქაროზა ან ლაქტოზა მოიხმარება) (იხილეთ ფიგურა 1-4).

## ფიგურა 1-4. ნახშირწყლები

ენზიმი	სუბტრაქტი	საბოლოო პროდუქტები
α ამილაზა	α – 1, 4 ეკვრის სახამებელში	გლუკოზა, მალოზა, იზომალტოზა.
1. საკვები ინგრედიენტების სია ხელმისაწვდომია იმისათვის, რომ გამოვიყენოთ ულუფაში და მის მიმდინარე ფასში. ხშირად ფასები მერყეობს კვირიდან კვირამდე დიდი გავლენით, კომპიუტერით შეჩეული ინგრედიენტები ყველაზე დაბალი ღირებულების ფორმულაციით. ეს ინგრედიენტები აღინიშნება, როგორც ცხოველის რაციონში შეტანილი დიდი ეფექტის მომხდენი ინგრედიენტები. ძალიან ბევრი კომპიუტერული პროგრამა მომხმარებელს ეხმარება თვალია ადევნოს კომბინირებული საკვების ფასების მერყეობას და ცვლილებებს, კომპიუტერის საშუალებით.

ამიტომაც, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ცნობილი ინგრედიენტები შეიძლება იყოს მისაღები და ბიოლოგიურად სასარგებლო ცხოველთა კვებაში ჩასართველად.

2. თითოეული ინგრედიანტში საკვები ნივთიერების შემადგენლობა. მრავალი საინფორმაციო წყარო არსებობს იმის შესახებ თუ, როგორია საშუალოდ საკვები ნივთიერებების შემადგენლობა ინგრედიანტებში და ეს შეიძლება დაგეხმაროთ მატრიცას ღირებულების დადგენაში. როგორც არ უნდა იყოს, ეს ღირებულებები წარმოადგენს საშუალო რაოდენობას საკვები ნივთიერებების.

3. ცხოველის საკვები ნივთიერების მოთხოვნილების ტერმინებია: მინიმალური, მაქსიმალური და საჭირო ნივთიერებების ზუსტი რაოდენობა. რამოდენიმე ზირითადი საინფორმაციო წყარო არსებობს საკვები ნივთიერებების მოთხოვნილებაზე (NRC, უნივერსიტეტის ბიულეტენები, საკვების კომპანიების ბროშურები და სხვა). როდესაც ვიყენებთ რომელიმეს ამ რეკომენდაციებიდან, უნდა ვიცოდეთ რომ, ისინი წარმოგვიდგენენ საშუალო ინგრედიანტების ღირებულებებს და კვების სტანდარტებს საშუალოდ ან უკეთესი ზრდის პირობებს. ყოველი მომხმარებელი სათანადო რეგულირებას ახდენს ადგილობრივი პირობების და მართვის ხარისხის.

ხშირად, ადამიანებში არის ტენდენცია დაიწყონ LP-ს ონლაინ პროგრამების მოხმარება, რათა სცადონ თითქმის ყველა ცნობილი საკვები ნივთიერებების ჩართვა. ყველაზე მეტ სიტუაციაში, დოზაზე მეტის ჩართვა არაა საჭირო, ის რაც მოცემულია მოთხოვნილებათა ცხრილში. ეს რაოდენობა ძალიან იქნება დამოკიდებული ხარისხზე და საჭირო ნივთიერებების სახოვევზე. დიეტოლოგები გამოცდლებიდან ისწავლიან, კომპიუტერში მოცემულ რომელ საკვებ ნივთიერებებს უნდა ქონდეთ მინიმალური ღირებულება.

4. ფიზიკური, არაკვებითი და კვებითი, ზოგიერთი საკვები ნივთიერებების შეზღუდული გამოყენება. ქვემოთ მოცემულია რამოდენიმე მაგალითი:

ა. ზოგიერთი საკვები ნივთიერებების ტოქსიკური შემცველობა განსაზღვრავს მის შეზღუდული რაოდენოვით გამოყენებას საკვებში.

ბ. ისეთი საკვების გამოყენების შეზღუდვა, რომლებიც არახელსაყრელი თვისებების შემადგენლობისაა, რამაც შესაძლებელია შეამციროს გემო და მისცეს ცუდი სუნი ხორცს, რძეს და კვერცხს.

გ. შეზღუდვა რაოდენობრივად ხელმისაწვდომ ინვენტარზე.

დ. უარყოფითი ზეგავლენა ფიზიკურ ხარისხზე და შენახვის უნარზე. ისეთი ინგრედიენტები, როგორცაა ცხიმები ან მოლასა, შესაძლებელია ენერჯის კარგი წყარო იყოს, მაგრამ, მისი გადაჭარბებული დოზით გამოყენებამ გამოიწვიოს ბუნკერებით კვებასთან დაკავშირებული პრობლემები, კვების სითხედ გადამუშავების უნარიანობაში და სხვა პრობლემები.

ე. საკვებში, რამოდენიმე საკვები ნივთიერების გადაჭარბებული დოზები. ღორის და შინაური ფრინველის საკვებში, ისეთი ინგრედიენტები როგორცაა გამხმარი, გამოცხოხილი პროდუქტები, შეიცავს დიდი რაოდენობით მარილს ან დეჰიდრირებული იონჯას საკვების მაღალ-ბოჭკოვანმა შემადგენლობამ შეამციროს წარმოება, თუ მაღალი დოზებითაა მიცემული.

ვ. ზოგიერთ ინგრედიენტებში საკვები ნივთიერებების ცვლილებები. შეზღუდვები ხშირად დაწესებულია რამოდენიმე ინგრედიენტის რაოდენობაზე, ცვალებადობის მაღალი ხარისხის გამო. მაგალითად ცხოველის შუალედური პროდუქტები შეზღუდულია.

დ. დიეტოლოგების როლი მიშვნელოვნადაა შეცვლილი, კომპიუტერის სივრცისა და შესაძლებლობების შედეგად. მაშინ როცა, დიეტოლოგმა ბევრი დრო დახარჯა ყოველდღიურად, საკვების ფორმულაციის მიმართულებით ან საკვები ნაზავების გადახედვაში, ამჟამად, სამუშაო შესაძლებელია დასრულდეს უფრო ნაკლებ დროში. ეს დიეტოლოგს საშუალებას აძლევს ცონცენტრირება მოახდინოს საკვების ფორმულაციის სხვა ასპექტებზე და შეაფასოს ინგრედიენტები, განსაზღვროს საკვები ნივთიერებების მოთხოვნილებები და დააწესოს კონტროლი ხარისხზე.

**ფერმის საქონლის კომბინირებული საკვების შეფასება**

საქონლის ულუფაში კომბინირებული საკვების შეფასება მთელი რიგი პროცედურების გამოყენებასთანაა დაკავშირებული. ამ პროცედურებს შეუძლია დაადგინოს საკვები ნივთიერებების შემადგენლობა, გემო, შეთვისებადობა, პროდუქტიული ღირებულება, ფიზიკური ან მოხმარების დამახასიათებლები და უზრუნველყოს ეკონომიური შედარებები.

## I. საკვები ნივთიერების შემადგენლობის ანალიტიკური მეთოდები.

ბევრი საკვები ნივთიერებისათვის, რომლებიც მოთხოვნადის საქონელში, არსებობს პირდაპირი ანალიტიკური მეთოდები, რომლებაც შეუძლიათ განსაზღვრონ კომბინირებულ საკვებში საკვები ნივთიერებების ძალა. ეს არის სამი ძირითადი ტიპის ანალიტიკური მეთოდი: (1) ქიმიური პროცედურები (გრაფიტაციის პროცედურები, ტიტრაცია, კოლორიმეტრია, ქრომატოგრაფია და სხვა); (2) ბიოლოგიური პროცედურები (ისეთი ცხოველის ან ფრინველის გამოყენება, როგორცაა ვირთხები და წიწილები, რათა გაცილებით უფრო სწორი შეფასება მივცეთ ცხოველების გამოყენებას მაგრამ, რაც პროცედურებს მეტად მოსაბუზრებელს და ძვირს ხდის); და (3) მიკრობიოლოგიური პროცედურები (ბიოლოგიური პროცედურების მსგავსი მაგრამ, ვიყენებთ გამოყოფილ ბაქტერიებს).

### ა. ანალიზისთვის ნიმუშების მიღება

იმისათვის რომ, მივიღოთ მტკიცე ღირებულების საკვები ნივთიერება უნდა მივიღოთ ნიმუში, რომელიც წარმოადგენს საქონლის შერჩეული რაციონის საკვებს. მარტივი მაგალითი თითოეული ამ მრავალრიცხოვანი საკვებთაგანი ძირითადი არის, რადგანაც ეს პატარა რაოდენობა, ჩვეულებრივ უფრო ნაკლებია ვიდრე, ნახევარი ფუნტი (225 გ), შესაძლებელია წარმოადგინოს რამოდენიმე ტონა საკვები.

#### 1. დადგენა

პირველი ნაბიჯი ნიმუშების მისარებად არის საინფორმაციო ჩანაწერები საკვების შესახებ. ყოველ კონტეინერს აქვს საკუთარი სახელი, მისამართი, ნიმუშის ნომერი, საკვების დასახელება და ტიპი (მათ შორის ასორტიმენტის სახელი), სიმწიფის

სტადია და და მოსავლის ადების თარიღი). აგრეთვე, უმჯობესია მითითებული იყოს სად არის შენახული ნიმუში და რაიმე სპეციალური განმსაზღვრელი, მაგალითად, როგორცაა ფერი, სუნი, ფორმა და სხვა. ეს ინფორმაცია საჭიროა ულუფის ფორმულირების დროს და ის შეიძლება დაგვეხმაროს წინასწარ განვსაზღვროთ მომასალი ნიმუშების საკვები ნივთიერების ღირებულება.

## 2. შერჩევითი მეთოდი

ქვემოთ მოხაზულია რეკომენდაციები წარმოდგენილი ნიმუშების მისარებად.

### ა. მარცვლეული ან მიქს-საკვები

(1) ტომარაში ჩადებული საკვების ნიმუში შესაზღვრელია გაკეთდეს ორი ნიმუშით (დაახლოებით ერთი მუჭი) ყოველი ხუთი-შვიდი სხვადასხვა ტომრიდან. თუ შესაზღვრელია ტომრის სინჯი, ის უნდა იქნეს გამოყენებული და თუ ეს არ არის შესაძლებელი, მაშინ საუკეტესი ნიმუში არის ტომარაში მოთავსებული საკვები, როდესაც იცლება.

(2) დიდი რაოდენობით საკვები ან მარცვლეული ყუტებში უნდა შეიცავდეს 12-15 ნიმუშს და ეს ნიმუშები ერთმანეთისგან უნდა იყოს რაც შეიძლება ფართოდ უნდა იყოს დაშორებული ერთმანეთისგან. ყველაზე მარტივი შეიძლება იყოს, რომ ნიმუშებად შეგროვდეს მასალა მანამ, სანამ გაიტანება. თუ თავთავის პრობა არის შესაძლებელი, ის დაემატება რათა მივიღოთ კარგი ნაზავის ნიმუში.

(3) შემთხვევითი შერჩევის ნიმუში უნდა აერიოს სუფთა ვედროში და 1-2 ფუნტზე ( დაახლოებით 1 რაოდენობა) ნიმუში უნდა გაიგზავნოს ლაბორატორიაში. როდესაც ეს ნიმუშები ერება ერთმანეთში, უნდა იზრუნოთ იმაზე რომ, საკვები არ იყოს დანაწილებული ნაწილაკის ზომაზე.

### ბ. თივა

(1) მაქსიმალური საიმედოობისთვის გამოიყენეთ “დრელეს“ ტიპის შიგთავსის ნიმუში, ისეთი როგორცაა, პელსილვანიის შტატის ფურაჟი.

გ. სენაჟი და სილოსი

დ. მოსავლის ნიმუშები.

ე. მკის დროს აღებული ნიმუშები

ბევრჯერ უფრო შესაფერისი და მეტად სანდოა ნიმუშების აღება მკის განმავლობაში. გარდა ამისა, მკის დროს აღებული ნიმუშები და ანალიზები უფრო აადვილებს კონკრეტული ფურაჟის ნაწილების გამოვლენას და ანალიზის პასუხები, რომლებიც ხელმისაწვდომია კვების დროს. საკვების უმრავლესობა, იმათ გარდა, რომლებიც არის 30 %-ზე დაბალი მშრალი მასალის, შესაძლებელია ნიმუშად იქნას აღებული მკის დროს. თუ რაიმე ცვლილებები შეინიშნება შენახვის განმავლობაში ( ისეთი როგორცაა, გაჟონვა) ან კვება ( როგორცაა შეცვლა ფერის, სუნის და სხვა), უნდა უქნას აღებული ახალი ნიმუში.

მკის დროს ნიმუშების აღების პროცედურები იგივეა რაც ზემოთ ჩამოთვლილი საკვების სახეობებშია. მიუხედავად ამისა, მკისას აღებული 12-დან 15 შემთხვევითი ნიმუში იყოფა ორ-სამ ნიმუშად ხუთიდან შვიდი განსხვავებული ტვირთის ყოველ ერთ ტვირთზე, ყოველ დღე. თივისთვის მნიშვნელოვანია ავლნიშნოთ, თუ სად არის მასალა დაწყობილი და მინდორი საიდანაც ის არის აღებული. სილოსისთვის ნიმუშად აღებული მასალა შეიძლება დადგინდეს კვების დროს ხვრელების სახვრეკით ან ფერადი პლასტმასისაგან, რომელიც ჭდეებს აკეთებს ან 1-2 ბუშელი შვრის დამატებით სასილოსეზე, მანამდე, სანამ დაიყება ახალი პარტია საკვების დამზადება.

### 3. ძირითადი

წარმომადგენლობითი ნიმუში მნიშვნელობანია, როგორც სწორი ანალიზი რომ მივიღოთ უტყუარი შედეგი. ფრთხილად აღებული ნიმუში დაგეხმარებათ მოსავლის საჭირო ინფორმაციის გასაუმჯობესებლად კვების პროგრამაში. იმისათვის რომ, მომგებიანი იყოს, საკვების ანალიზი უნდა იყოს გამოყენებული კვების პროგრამის შესაქმნელად. ულუფაში სათანადოდ დაბალანსებული ცილები და ენერჯია სამი გზით გაზრდის მოგებას. პირველი, თუ ცილები საჭიროზე უფრო მაღალი რაოდენობისაა, შეიძლება

შემცირდეს და დამატებითი ხარჯებიც შემცირდება. მეორე, თუ არასკმარისი კვება პრობლემაა, მაშინ დამატებითი ცილის ან ენერჯის დამატებას შეუძლია გაზარდოს წარმოება, დამატებითი ფასების მხოლოდ უმნიშვნელოდ გაზრდით. მესამე, თუ ცილები და ენერჯია მოტხოვნილებებთან თანხვედრაშია, სანამ წარმოება მოლოდინზე უფრო ნაკლებია, საკვების ანალიზებით შეიძლება დაადასტუროს, რომ სხვა ფაქტორები აფერხებს წარმოებას.

აგრეთვე, საკვების ანალიზებმა შეიძლება უზრუნველყოს ინფორმაციის საჭიროება, საკვების მოსავლის პროგრამის გასაუმჯობესებლად, საქონლისათვის უმაღლესი ხარისხის საკვების მოსავლის მისაღება, რომელიც ყველაზე მომგებიანი მოსავალი იქნება მწარმოებლებისთვის.

#### ბ. ექსპრეს ანალიზები

ექსპრეს ანალიზები არის კომბინაცია ანალიტიკური პროცედურების, რომლებიც განვითარდა გერმანიაში საუკუნეზე მეტი ხნის წინ. სხვადასხვა ფრაქციები, რაც გამოწვეულია უახლოესი ანალიზებით, წყლის, ნაცრის, ნედლი ცილების, ეთეროვანი ექსტრაქტებით, ნედლი ბოჭკოებით და უაზოტო (NEF). ეს პროცედურები ყველაზე მეტად გამოიყენება ქიმიურ სქემებში, კომბინირებული საკვების აღწერისათვის, იმ ფაქტის მიუხედავად, იმფორმაცია რომელსაც ის გვაძლევს, ხშირად არის არამტკიცე კვებითი მნიშვნელობის ან შეიძლება შეცდომაშიც შეგვიყვანოს. მხედველობაში უნდა მივიღოთ რამოდენიმე დეტალი ბუნების თავისებურებებში და შეზღუდვები ექსპრეს ანალიზების, როგორც კომბინირებული საკვების კვებითი თვისებების აღწერა.

### 9. მეწველი, მაკე, მშრალი ფურის და კუროს კვება

ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია, წარმოდგენილი იქნება, როგორც ძირითადი რეკომენდაციები მსხვილფეხა რქოსანი საქონლის რაციონის ფორმულირებისთვის.

ა. დღესდღეობით, რძის მრეწველოვაში წარმატებით იყენებენ სარძევე ძროხის მართვის სხვადასხვა პრინციპებს. ამ სისტემის ტიპები ნაწილობრივ დამოკიდებულია გეოგრაფიული არეალზე და კომბინირებულ საკვებზე. სამოვარი სისტემების გარდა

ცხოველის კვებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა საკვები ნივთიერებებით და ცილებით მდიდარი ულუფას, რათა ხელი შეეწყოს რძის პროდუქტიულობის ეფექტიურობას და სწორედ ეს ნოყიერი საკვები განსაზღვრავს სარძვე ძროხის პროდუქტიულობის ხარისხს. ამიტომაც, არის შექმნილი ბევრი პროგრამა, რომელიც ემსახურება რძის წარმოების ეფექტიურობის გაზრდას.

ხარის სომატოტროფინის ( bST) გამოყენება აუმჯობესებს ძროხების სიმტკიცეს. მხოლოდ, ამ პროდუქტის გამოყენება სასარგებლო რომ იყოს, საჭიროა ცხოველის კვებაზე გარკვეული მზრუნველობის გამოჩენა და დაბალანსებული რაციონი. ინექციის შემდეგ ასკარად უმჯობესდება რძის პროდუქტიულობა.

ბ. ლაქტაციაში მყოფი ფურების კვებაში დიდი მნიშვნელობა აქვს საკვები ნივთიერებებით მდიდარი ულუფის შედგენას. ამ დროს მათ შვიდჯერადი კვების მოთხოვნილება აქვთ ყოველდღიურად. ამოტომ უნდა გავითვალისწინოთ ქვემოთ ჩამოთვლილი აუცილებელი პრინციპები:

1. ცილების შემადგენლობა განსაკუთრებით დიდია იმ საკვების სახეობებში, რომლებიც მდიდარი ენერგეტიკული ღირებულებისაა.

2. მეწველი ძროხების დაბალანსებულ რაციონში, ჩვენ ძირითადად კონცენტრირებული უნდა ვიყოთ ენერგიაზე (NE ლაქტაციის ან TDN) და ნედლი ან შეთვისებადი ცილების საჭიროებებზე. ძირითადი მინერალების საჭიროების შევსება შესაძლებელია 1-2 % დიკალციუმ ფოსფატის ან დაფქვილი ძვლის ფქვილზე 1 % მარილის დანატებით. ეს მინერალები შესაძლებელია თავისუფალი არჩევით დაემატოს.

## **II ფურაჟის მოხმარება.**

ა. განსაკუთრებით საყურადღებოა მეწველი ძროხების ფაზი. ძროხას არ შეუძლია საკმარის ფურაჟი შეჭამოს და ლაქტაციის პერიოდში მიიღოს საჭირო მოთხოვნილებისთვის სათანადო რაოდენობის საკვები ნივთიერებები მოიხმაროს.

რეკომენდირებულია:

ფურაჟის ხარისხი	დღიური მოხმარება (სხეულის წონის %)
საუკეთესო	3.0
კარგი	2.5
საშუალო	2.0
საშუალოზე დაბალი	1.5
ცუდი	1.0

ბ. რამოდენიმე შემთხვევაზე დაყრდნობით, რომელიც მიგვითითებს ფურაჟის რაოდენობის მიღებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოპტიმალურ სედეგს იძლევა დრეში რამოდენიმეჯერ მიცემა საკვების და ამასთანავე უნდა ფანისზღვროს ფურაჟის ნაირსახეობა. ხშირად, კვების სიხშირის გაზრდა რძის პროდუქციულობის შემცირებას იწვევს და ამას მოსდევს ჯანმრთელობის გაუარესებაც.

### III. სარძევე საქონლის კონცენტრატები

ა. კონცენტრატების ნარები ( ან მარცვლეულის ნარევი)

კონცენტრატების ნარები შეიცავს მარცვლეულს, მარცვლეულის ნახევარ პროდუქტებს, დაფქვილ საკვებს, ცილოვან დანამატებს და მინეტალებს.

1. ნაზავი საკვების მრავალნაირი სახეობა არსებობს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ცილების შემცველობის ხარისხით; ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისგან ფასების ხელმისაწვდომობითაც.

2. ან ნარევი კონცენტრატების რაოდენობა და ხარისხი დამოკიდებულია

ა. ფურაჟის შეთვისებადობის რაოდენობაზე და საკვები ნივთიერების შემადგენლობაზე.

ბ. რძის პროდუქციულობის დონეზე.

გ. წარმოებული რძის ცხიმის შემადგენლობაზე (%).

დ. ულუფაში კონცენტრატების %-ის მაქსიმუმის განსაზღვრა თავთავისა და უხეში საკვების ფასის მიუხედავად. რაციონი, რომელშიც 60 %-ზე მეტი კონცენტრატია, ძირითადად, იწვევს ცხიმოვანი მჟავების პროპორციების ცვლილებას და შესაბამისად იცვლება რძის შემადგენლობაც (შემცირებულია ცხიმის შემადგენლობა, აცეტატის შემცირებული აცეტატის გამო).

ე. საკვების შეტვისება ერთგვარად, დამოკიდებულია მის გემოზე და კონცენტრატების მოხმარების ხელმისწვდომ სივრცეზე.

#### IV. ლაქტაციაში მყოფი ძროხების რაციონის დაბალანსება

ა. საჭიროებების განსაზღვრა

რძის დამატებითი პროდუქტიულობის შენარჩუნება და რეპროდუქტიულობის მოთხოვნები.

ბ. საკვების ხელსაყრელობისა და მისი შემადგენლობის განსაზღვრა

1. ფურაჟი

ა. სახეობა-( პარკოსანი მცენარეების) განსაზღვრავს კონცენტრატების ნარევის საჭიროებას.

ბ. ხარისხი- განსაზღვრავს მშრალი მასალის გარკვეული რაოდენობის მოხმარებას.

გ. საკვების დონის განსაზღვრა.

1.ფურაჟი

2.კონცენტრატის (ან მარცვლეული) ნარევი.

დ. ბალანსი

1. ფურაჟის საკვები ნივთიერებების გამოკლება ძირითადი საჭიროებებიდან,იმისათვის რომ, განვსაზღვროთ კონცენტრატების საჭირო ბალანსი.

2. ფურაჟში ცონცენტრატების ნაზავების გამოყენება, დამატებითი ენერგის საჭიროებისათვის.

3. შეამოწმეთ, არის თუ არა ცილოვანი და ენერგიის შემცველი.

## VI. რძის პროდუქტიულობისთვის განსაზღვრული კვების დროს უნდა გვახსოვდეს.

ა. ლაქტაციაში მყოფი ძროხის კვება უნდა იყოს სრულფასოვანი, რათა უზრუნველყოთ რძის მაღალი პროდუქტიულობა.

ბ. დამატებითი საკვები ნივთიერებების მიცემა ჩვეულებრივ, შესაძლებელია გვიანი მაკეობის პერიოდიდან.

გ. ძროხების უმრავლესობას ენერჯის დეფიციტი უფრო აქვთ ვიდრე, ცილების.

დ. ლაქტაციის პერიოდის რაციონის უმრავლესობა უნდა შეიცავდეს 13-17 % ნედლ ცილებს და 60 -70 % TDN (0.6-დან 0.8 მკალ/ფუნტს NEL).

ე. კონცენტრირებული ნაზავი შეიცავს შემდეგს:

1. ენერჯიული საკვები
2. ცილოვანი საკვები
3. 0.5-1 % მიკროელემენტებს მინერალიძირებულ მარილს.
4. 1-2 % კალციუმ-ფოსფორის დანამატს.
5. არა უმეტეს 6 % მოლასა.
6. არა უმეტეს 1 % ურეაზა
7. 8 %-ზე მეტი ცხიმი (დამატებული)

ვ. კარგად დაფქვილი ან დაგრანულელებული ფურაჟი ან მარცვლეული უნდა მიეცებ ლაქტაციაში მყოფ იმ ძროხებს, რომელთა რძე ნაკლებცხიმანია.

ზ. ყველაზე კარგია სილოსის თივა.

თ. სრულყოფილი პროდუქტიულობის პერიოდში მყოფმა ძროხებმა დღეში უნდა მოიხმარონ 3-დან 5 ფუნტამდე წყალი, ყოველი 1 ფუნტ წარმოებულ რძეზე. წყალი მუდამ ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

ი. რძის სუნთან დაკავშირებული პრობლემის გამო, საკვების მიცემაზე სათანადო ზედამხედველობაა საჭირო. (მაგალითად, ძროხა უნდა გამოიდევნოს პურის თავთავის საძოვრიდან მოწველამდე რამოდენიმე საათით ადრე, რათა თავიდან ავიშოროთ სუნთან დაკავშირებული პრობლემა).

კ. დამატებული ცხიმი.

1. მარალპროდუქციული ძროხები, ლაქტაციის პირველი 12- 16 კვირის განმავლობაში მაღალცხილიანობით ხასიათდებიან.

2. ლაქტაციაში მყოფი ფურები უნდა იკვებებოდნენ დღეში 1-1.5 ფუნტი დამატებული ცხიმით, რტა დამატებითი ენერჯია მიღონ.

ა. დამატებითი ცხიმი შეიძლება შეერიოს კონცენტრირებულ ნაზავში . იგი შეიძლება 7 %-ზე მეტი იყოს. ცხიმის ზედმეტმა დოზამ შეიძლება სემცროს პროდუქტიულობა, სემცროს უჯრედანას შეტვისებადობა და გამოიწვიოს მომწელებელი სისტემის აშლილობა. გაუჯერებელი ცხიმოვანი მჟავები ძირითადად დიდი პრობლემაა, ვიდრე გაჯერებული ცხიმოვანი მჟავები.

ბ. მთლიანი ან დამუშავებული ზეთოვანი თესლები, როგორცაა ბამბის ან მზესუმზირის თესლი, შეიძლება საქონელს მიეცეს როგორც დამატებითი ცხიმი, ისინი შეიცავენ პოლიდაუჯერებელ ცხიმებს. ეს ცხიმოვანი თესლები, აგრეთვე , უზრუნველყოფს რამოდენიმე ცილისა და უჯრედანას წარმოქმნას, რომლებიც შეიძლება ფორმულირებული იყოს ულუფაში.

(1) ერთ სულზე დღეში 5-დან 7 ფუნტი მიეცეს საკვებად.

(2) შეიძლება მთლიანად მიეცეს და დაფქვილი.

(3) სითბოთი დამუშავებული სოიო შეიცავს დიდი რაოდენობით ცილას ვიდრე თერმულად დაუმუშავებელი სოიო.

3. ცხიმის დამატებისას ულუფაში იზრდება კალციუმი 0.9 % +, მაგნიუმი 0.3 %, მჟავის უქრედანა 20 % და იზრდება ცილოვანი შემადგენლობა 1% ან 2 %-ით.

ლ. ცილები (ცხრილი 9-6)

## კომბინირებული საკვების გამოყენება მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ულუფაში

ბევრი კომბინირებული საკვები გამოიყენება მსხვილრქოსანი საქონლის კვებაში. მორისონის ანალიზების სიაში 173 მშრალი უხეში საკვებია შეტანილი (თუ არ ჩავთვლით იმავე საკვების ნაირსახეობებს), 143 მწვანე უხეში საკვები. შეერთებული შტატების, საკვების შემადგენლობის ქვეკომიტეტის, ეროვნული კვლევების საკონსულტომ გამოაქვეყნა ატლასი ( An Atlas) 6152 სახის საკვებზე, მის შემადგენლობაში არსებული მონაცემები. ამ ცხრილის შედგენისას, მცენარეული თუ ცხოველური წარმოშობის საკვების ნაირსახეობა და მათი ხარისხი ჩამოთვლილია, როგორც გამოყოფილი კომბინირებული საკვები. ცხრილის შედგენისას მხედველობაში იქნა მიღებული საკვების ყველა ანალიზის, საშუალოდ ერთი სათაურის ქვეშ გაერთიანება, როგორცაა „ ქერი, ხორბალი, ყველა ანალიზი“.

ასეთი მითითებების ხელმისაწვდომობისათვის, აქ შევეცდებით ფართოდ ვიმსჯელოთ , რათა დავადგინოთ საკვების ძირითადი წყაროები. ამ განყოფილების მიზანი და გეგმა არის, ვიმსჯელოთ ძირითადი საკვები ნივთიერებების კვებით ღირებულებებზე, საკვების სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით (ეს არის მშრალი უხეში საკვები, მწვანე ფურაჟი, სილოსის საკვები, ენერგეტიკული საკვებები, ცილოვანი დანამატები). ჩვენ, ძალიან ვრცლად და დასაბუთებულად ვიმსჯელებთ ამაზე, დეტალების დახასიათებებზე დაკვირვებით ან თითოეული ჯგუფის საკვების ძირითად წყაროებზე დაყრდნობით. და ბოლოს, მიმოვიხილავთ რამოდენიმე, მთავარი საკვების უნიკალურ თვისებებს. მათ შორის, კომბინირებულ საკვებს, რომელსაც შეუძლია ჩანაცვლოს ყველა სხვა სახის საკვები და ვიმსჯელებთ ამ ჩანაცვლების შედეგებზე.

საკვების ბუნებრივი, კვებითი ღირებულებების სიღრმისეული გაგება, რომელიც რამოდენიმე ჯგუფად იყოფა და თითოეულს დეტალურად აღწერს, საჭიროა იმისათვის რომ, ზუსტად მოხდეს მისი კლასიფიკაცია კატეგორიების მიხედვით და გაირკვეს ყოველივე ჩვენს მიერ წარმოთქმული, გავაერთიანოთ კომბინირებულ საკვებზე მსჯელობა. საკვები, რომელიც ცხოველის საკვებს შორის სათანადოდ არა ცნობილი და

გონივრული დასაბუთებით შევეცდებით საკვების შესაძლებელი ღირებულებების გარკვევას და მისი არასწორი გამოყენებით გამოწვეული, ძირითადი არასასურველი შედეგების თავიდან აცილების გზებს.

საკვების საერთაშორისო დასახელება მოცემული არის ცხრილში, რომელშიც აღწერილია საკვების შემადგენლობა. საკვების საერთაშორისო დასახელება, რომელიც ანალიტიკური მონაცემების ბაზაზეა შექმნილი, ძირითადად ხორციელდება საკვების საერთაშორისო ლექსიკონის მიხედვით, ჰერის ეტ ალის მიერ ( Harris et al). ამერიკის შეერთებულ შტატებში ბევრ საკვებს აქვს ოფიციალური სახელი და განსაზღვრება, რომელიც შექმნილია ამერიკის კვების კონტროლის ოფიციალური პირების ასოციაციის მიერ. ჩვეულებრივ, ეს სახელები არის საერთო ან სავაჭრო დასახელებები და საკვების სახელის არ წარმოიშვა სტანდარტული სახელების სისტემისაგან. სახელი უნდა გვაუწყებდეს მასალის წყაროს და აღწერდეს ყოველ ალტერნატიულ და სპეციალურ პროცესს იმ მდგომარეობის, რაც გამომდინარეობს საკვების კვებითი ღირებულებიდან.

საკვების საერთაშორისო ლექსიკონი შექმნილია იმისათვის, რომ გასაგებად განსაზღვროს ყოველი საკვების სახელი და ამასათანავე, იყოს რაც შეიძლება მოკლე. თითოეული საკვების სახელი შეიქმნა ქვემოთ მოცემული ძირითადი ასპექტიდან გამომდინარე.

- წარმოშობა, რომელიც შედგება მეცნიერული სახელებისაგან (ჯიში, სახეობა, სხვადასხვაგვარობა) ჩვეულებრივი სახელი (გენეტიკა, ჯგუფი , ჯიში ან მოდგმა) და თუ აქვს სათანადო ქიმიური ფორმულა.
- საკვების ნაწილი მოდის სხვადასხვა პროცესებით დაზარალებულ ცხოველებზე.
- დაავადებები და მკურნალობა, რომლის მიმართაც ცხოველების ნაწილი არის მიდრეკილი.
- სიმწიფის ეტაპი ან განვითარება (გამოიყენება ფურაჟისთვისა და ცხოველებისთვის).
- თიბვა (ძირითადად, გამოიყენება ფურაჟისთვის).
- ხარისხი (ოფიციალური ხარისხები გარანტიით).

#### ა. საკვების ტიპები:

მსგავსი წარმოშობის საკვები (და მსგავსი სახეობებისა და ჯიშის სხვადასხვაობა) დაჯგუფებულია რვა კლასად. რიცხვები და კლასები, რომლებსაც ისინი აღნიშნავს, შემდეგია: (1) მშრალი ფურაჟი და უხეში საკვები; (2) საძოვარი, საბალახო მცენარეები და ქორფა საკვები ფურაჟი; (3) სილოსის საკვები; (4) ენერგეტიკული საკვები; (5) ცილის მარაგი; (6) მინერალების მარაგი; (7) ვიტამინების მარაგი; და (8) დანამატები. ყველა კლასს თავისი შემაჯამებელი განმარტებები აქვს და შევეცდებით დაწვრილებით განვიხილოთ თითოეული მათგანი.

### 10. ცხვრის, თხის და ღორის ნორმირებული კვება

საკვები არის თვითღირებული მეცხვარეობასთან დაკავშირებულ ყველა ოპერაციებში. ცხვრის ულუფა უნდა იყოს ფორმულირებული და შეიცავდეს ოპტიმალურ პროდუქციას, რომელიც ეფექტურია ეკონომიური და მინიმალურ დონეზე დაყავს კვებასთან დაკავშირებული პრობლემები. ქვემოთ მოყვანილია ცნობები, რომლებიც სამეცნიერო-კვლევითი საბჭოს კვლევების შედეგად ფორმულირებულ და დაბალანსებულ საკვებ ულუფას წარმოგვიდგენს. საკვები ნივთიერებების მოთხოვნილებები, საკვების ნებადართულობა და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც ცხვართან არის დაკავშირებული, გაანალიზებულია ქვემოთ.

#### 1. მოშენება

დედალი ცხვარი არის მწარმოებელი. ის იძლევა ბატკანს და გვამლევს მატყლს. ეს ორივე სავაჭრო პროდუქციას წარმოადგენს, და დაკავშირებულია კვების მენეჯმენტთან.

მწარმოებლებისთვის მოშენებისა და სელექციის პროგრამები ყოველთვის უნდა იყოს ინტერესის ცენტრში. გაზაფხულის ბატკნის წარმოება უფრო მომგებიანია ვიდრე სხვა მეხორცული ცხოველების პროგრამების ძირითადი ინვესტირებისთვის. ცხვრის ფარის

რეკომენდირებული რაოდენობა უნდა შეადგენდეს 100 და მეტ დედალ ცხვარს და მინიმალური ზომის ფარა კი- 35 დედალი ცხვარი.

#### ა. მებატკნეობის სისტემა

მართვის სისტემის პირველი გადაწყვეტილების დროს მნიშვნელოვანია, რომელი ავირჩიოთ : ადრეული, თუ გვიანი მებატკნეობის სისტემა.

#### 1. ადრეული მებატკნეობა (იანვრიდან თებერვლამდე)

ა. ბატკნის ფასები ყველაზე მაღალია მაისში და ივნისში, რადგანაც მაშინ ყველაზე მეტი ბატკანი გამოყავთ გასაყიდად.

ბ. უფრო მეტი მუშა ხელი უნდა ზრუნავდეს და ყურადღებას აქცევდეს ცხვრის შობადობას.

გ. პარაზიტების პრობლემა ადრეულ ბატკნებში ნაკლებად სერიოზულია.

დ. ყველაზე მეტი დედალი ცხვარი არის შეყვანილი ჯოგიდან სამოვრებზე.

ე. ბატკნის შობადობის შესაძლებლობები შეიძლება მოითხოვდეს ადეკვატურ საჭიროებებს, ან ძვირი იყოს.

ვ. კარგი ზრუნვა და კარგი მენეჯმენტია საჭირო ახურების გამრავლების და შობადობის პერიოდში.

#### ზ. გვიანი მებატკნეობა (მარტიდან აპრილის განმავლობაში)

ა. უხეში საკვები უზრუნველყოფს უფრო მეტ საკვებ საჭიროებებს ორივესთვის, როგორც დედალი ასევე მამალი ბატკნისთვის.

ბ. ბატკნის გვიან შობადობას იმდენი მოთხოვნები არა აქვს, როგორც ადრეულ შობადობას.

გ. ნაკლები ზრუნვა და მენეჯმენტია საჭირო გამრავლების სეზონამდე და მის განვმალობაში.

დ. ბატკნები შეიძლება გაიყიდოს სამოვრებიდან, ან მინიმალური საკვებ კონცენტრატებიანი სიმინდის მინდვრებიდან.

ე. შემოდგომაზე და ადრეულ ზამთარში ბატკნის ფასი არსებითად უფრო დაბალია, რადგანაც გვიან დაბადებული ბატკნები გამოყვანილი გასაყიდად.

ვ. მაღალი ხარისხის სამოვარი აუცილებელია.

ზ. პარაზიტებთან დაკავშირებული პრობლემები გვიან გაჩენილ ბატკნებში სერიოზულია, რაც პრევენციულ ღონისძიებებსა და კონტროლს საჭიროებს.

### **ბ. საკვების მოთხოვნების შეჯამება**

დედალი ცხვარი მისი ბატკანი საჭიროებს დაახლოებით 4 ბუშელი( 1 ამერიკული ბუშელი=35.239072 ლიტრას) მარცვლეულს და 800 ფუნტ თავთავს , მტელი წლის განმავლობაში. ამის გარდა, დედალ ცხვარს სჭირდება დაახლოებით 5-დან 6 თვე კარგ სამოვარზე ყოფნა და მოსავლის ნარჩენები ან ზამთრის სამოვარი.( თივის ბაზაზ, რაც ნიშნავს დაახლოებით 800 ფუნტ თივას ამ მთლიანის 1600 ფუნტ თივას წელიწადში, თუ სამოვარზე არაა გამვებული). თუ თივა არ არის კარგი ხარისხის იონჯის, საჭიროა ცილოვანი დანამატები.ამ შემთხვევაში, 20-25 ფუნტის 44 % ცილის დანამატი ყოველ ერთ სულ დედალ ცხვარზე წელიწადში.

ერთი ნაწილი (35 დედალი ცხვარი) წელიწადში საჭიროებს:130-დან 150 ბუშელი სიმინდის ექვივალენტი; 14-დან 15 ტონა კარგი ხარისხის იონჯის თივა.ზოლო, იმშემთხვევაში თუ თივა არის ცუდი ხარისხის,მაშინ 700-დან 800 ფუნტის 44 % ცილოვანი დანამატები.

მარცვლეული დაფქვას არ საჭიროებს, უმეტეს წილი ცხვრებისთვის. თუ ცოხნის პრობლემა აქვს ცხვრებს, მაშინ შესაძლებელია მისი დაფქვა, ხოლო სხვა შემთხვევაში ამის საჭიროება არაა.

### **გ. კვება.**

ზრდასრული (3-დან 8 წლის) დედალი ცხვარი საჭიროებს კარგად გამოკვებას რათა ნორმალური ფიზიკურ წონს ქონდეს, ბატკნების გაჩენიდან დაახლოებით, მომავალი მაკეობის 15 კვირის განმავლობაში. ისეთი ნაკვები უნდა იყოს, რომ მან არ დაიკლოს წონაში ლაქტაციის წინა პერიოდისთვის.

სამოვრები და სხვა მინდვრის საკვები, როცა ხელმისაწვდომია, ცხვრის საკვები წყაროს ადეკვატურია და შესაძლებელია ნორმალურად იქნეს გამოყენებული, რადგანაც ისინი

ძალიან იაფ საკვებ წყაროს წარმოადგენს. როდესაც მოსავლის აღების შედეგად მიღებული საკვები უნდა ვაჭამოთ, შესაძლებელია სხვადასხვა სახის საკვები კომბინაციები იქნეს გამოყენებული. თივა, სენაჟი, სიმინდი ან სორგოს სილოსი შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც საბაზო საკვებად. თუ მარცვლეული იაფია საკვებთან შედარებით, მაშინ შესაძლებელია უხეში საკვების ნაწილს შეადგენდეს.

ენერგიულ საჭიროებებზე დაფუძნებული (TDN), ქვემოთ მოცემული საკვების რაოდენობა (როგორც საბაზო) უნდა წარმოადგენდეს ცხვრის ყოველდღიურ საარსებო მოთხოვნილების 140 ფუნტის წყაროს.

პარკოსანი მცენარეების თივა	3.5 ფუნტი
ბალახის თივა	4.0 ფუნტი
სენაჟი	6.0 ფუნტი
სიმინდის სილოსი	7.5 ფუნტი
სორგოს(ფურაჟი)სილოსი	8.0 ფუნტი
პარკოსნების თივა	1.0 ფუნტი
შერეული თივა	1.0 ფუნტი

ცილოვანი დანამატები(1/3 ფუნტი) გახდება საჭირო სიმინდის და სორგოს სილოსზე. პატარა რაოდენობა (1/4 ფუნტი) მარცვლეული საჭირო იქნება სენაჟთან ერთად მიეცეს საკვებად, რადგანაც ის ზრდის ენერჯის მოხმარების დონეს.

1. ცხვარს 2,5 კგ-მდე სუფთა მატყლის ნაპარსის შემთხვევაში 1 ე.ს.ე-ზე ესაჭიროება 90-100 გ მონელეზადი პროტეინი, 2,5-ზე მეტი მატყლის ნაპარსის შემთხვევაში 100-120 გ. შარდოვანის სადღეღამისო ნორმა მოზრდილი ცხვრისათვის და 8 თვეზე მეტი ასაკის მოზარდისათვის შეადგენს არა უმეტეს 10 გრამს.
2. ზემოთ ხსენებული აღნიშნულ დანამატებზე ცხვრის მიჩვევა უნდა მოხდეს 10-14 დღის განმავლობაში. 1 კგ ამილოკონცენტრატული დანამატის საზრდოობა შეადგენს 0,8-0,9

ე.ს.ე-ს. მასში არის 500-550 გ მონელეზადი პროტეინი. მოზრდილ ცხვარს აძლევენ არა უმეტეს 100 გრამისა, ხოლო 8-12 თვის მოზარდს 60 გრამამდე დღე-ღამეში. პროტეინით ულუფების დასაბალანსებლად ცხვრის ულუფაში ჩართავენ მიკრობიოლოგიური სინთეზის პროდუქტებს. მათ შორის საკვებ საფუარს არა უმეტეს 3-5%-ისა ულუფის პროტეინის დონიდან. უჯრედანის რაოდენობა 6 თვემდე ასაკის ბატკნის ულუფაში უნდა იყოს არა უმეტეს 13%. 15-17 თვის მოზარდისათვის 25% და ზრდასრული ცხვრისათვის 27%.

3. დადგენილია ადვილადმონელეზადი ნახშირწყლების (გამოსახული გლუკოზაში) ნორმები სრულასაკოვანი მეხორცული-სამატყლო ჯიშის ცხვრისათვის. ადვილადმონელეზადი ნახშირწყლების მთლიანი რაოდენობა (ჯამი) გაიანგარიშება ფორმულით:  $ა.მ.ნ=შაქარიX(0,950+სახამებელი)X0,925$

4. ცხვრის მინერალური საზრდოობის შეფასებისას კალციუმის, ფოსფორის და მაგნიუმის გარდა ითვალისწინებენ აგრეთვე გოგირდს, რომლის უკმარისობისას ულუფაში უარესდება საზრდო ნივთიერებების მონელეზადობა (განსაკუთრებით უჯრედანის), აზოტის გამოყენება, იკლებს ცოცხალი მასის და მატყლის მატება. განსაკუთრებით უფრო ხშირად გოგირდს და გოგირდშემცველი ამინომჟავების დეფიციტი შეიმჩნევა, როცა ცხვრის ულუფაში იყენებენ სინთეზურ აზოტოვან ნაერთებს გოგირდის წყაროდ შეიძლება იყოს სულფატები და სულფიტები, აგრეთვე სუფთა გოგირდი. ნატრიუმის სულფატის გამოყენების ნორმა შეადგენს 2-3 გრამს, ხოლო ელემენტ გოგირდის 1 გრამს ერთ სულზე დღე-ღამეში. 1 გ გოგირდის ჩართვა ზრდის მატყლის ბოჭკოს გამძლეობას (სიმკვრივეს) საშუალოდ 15%-ით.

5. **ზამთარში**-მარცვლოვნების და პარკოსნების კარგი ხარისხის თივა, სილოსი და სენაჟი. E ვიტამინი ითვლება A ვიტამინისა და კაროტინის ბუნებრივ ანტიოქსიდანტათ. მას შეიცავს მწვანე საკვები, თივა, სილოსი, სენაჟი და მარცვლოვანთა მარცვალი. რაც შეეხება D ვიტამინს, მის წყაროდ ითვლება მზეზე გამშრალი თივა. გარდა ამისა ის სინთეზირდება ცხოველის კანქვეშა ცხიმოვან ქსოვილებში ერგოსტერინის ფორმის სახით, როცა ის იმყოფება საძოვარზე მზის ქვეშ. D ვიტამინის უკმარისობისას ულუფაში ჩართავენ დასხივებულ საფუარს, რომლის 1 გრამი შეიცავს 400 ს.ე. D ვიტამინს.

6. **ზაფხულში** ენერგიასა და საზრდო ნივთიერებებზე მოთხოვნილებას ცხვარი იკმაყოფილებს ძირითადად საძოვრის საკვებიდან, მაგრამ მაღალპროდუქტიულმა სანაშენო და ელიტურმა ცხვარმა დამატებით საკვების სახით უნდა მიიღოს კონცენტრატული საკვები. განსაკუთრებით ეს ესაჭიროება 3-4 თვის მაწოვარ ბატკანს, აგრეთვე ნერბს ბატკნის ასხლეტვის შემდეგ.

#### **დ. კვება და საქონელზე ზრუნვა გამრავლების პერიოდში**

გამოიყვანეთ გამრავლების სეზონამდე დაახლოებით 2 კვირით ადრე მდედი ცხვრები პარკოსნ მცენარეთა საძოვარზე.

ამ პროცესის დროს ქვემოთ მოცემული კვების პროგრამაა შედგენილი.

#### **პირობა**

#### **ახურების გზები**

1. მდედრი ცხვრები გამხმარ საძოვარზე, ( ა ) სუდანზე ან ყლორტოვანი ბალახის სა-  
არც სიმწვანე და არც მარცვლეული ძოვარზე გამრავლებამდე 2 კვირით ადრ.

( ბ ) 0.5-დან 1.0 ფუნტამდე მარცვლეული (სიმინდი, შვრია, მილო) 2 კვირით ადრე და 1 კვირის შემდეგ გამრავლების სეზონის დაწყებიდან.

2. მდ. ცხვრები კარგ საძოვარზე

( ა ) საძოვრის შეცვლა ორი კვირით ადრე და ერთი კვირის შემდეგ გამრავლების სეზონის დაწყებიდან.

(პარკოსანი მცენარეები)

( ბ ) 0.5 ფუნტიდან-1.0 ფუნტამდე

მარცვლეული დღეში ორი კვირით ადრე  
და ერთი კვირის შემდეგ გამრავლების  
სეზონის დაწყებიდან.

ე. გამრავლების შემდეგ კვება (ორი პერიოდი)

ცხვრის მაკეობის პერიოდი არის 147-დან 150 დღე (5 თვე).

1. პირველი 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> მაკეობის თვეები—გამრავლების შემდეგ საძოვარი და თივა დამაკმაყოფილებელი უნდა იყოს.
2. ბოლო 1<sup>1</sup>/<sub>2</sub> მაკეობის თვეები—როდესაც მაკეობის სტადიას აღწევს, ძალიან მნიშვნელოვანია კვება მთელი წლის ციკლით. ცუდად მოვლა ამ პერიოდისთვის ნიშნავს დოლარის დაკარგვას წლის ბოლოსთვის.

## ღორის კვება

ქვემოთ მოცემული მასალები შედგენილია რამოდენიმე ტექსტისა და სტატისტიკისაგან, რომლებიც თავს უყრის მეღორეობისა და კვების პრინციპებს. ცხრილი 7-1 ( ღორის სასიცოცხლო ციკლის კვების პროგრამა) ადაბტირებულია აიოვას უნივერსიტეტის მიერ გაკეთებული ბუბლიკაციებით.

**მოსაშენებელი ნახირი .**

*ა. კერატი*

1. პროტეინების მოთხოვნილება: 50-125 ფუნტი სხეულის წონა -რაციონი უნდა შეიცავდეს 18 პროცენტს; 125-200 ფუნტი სხეულის წონა -16 პროცენტს, პროდუქციულობის შესაძლებლობა; ზრდასრული კერატისთვის-14 პროცენტი.
2. როდესაც კერატი მიაღწევს დაახლოებით 180-დან 200 ფუნტს, შემცირებულია რაციონში ენერგეტიკული დონე, უჯრედანის გაზრდით ან ხელით კვების შეზღუდვით. კერატი შესაძლებელია ჭამდეს 6-დან 8 ფუნტამდე საჭმელს დღის განმავლობაში. ენერგეტიკული დონე შეიძლება გაიზარდოს იონჯას საკვების

პროცენტული რაოდენობის გაზრდით, ან თივის რაციონით, ან კიდევ შვრის ნახევარი მარცვლის ჩანაცვლებით.

3. მოსვენების პერიოდის განმავლობაში კერატის საკვები უნდა იყოს 4-დან 6 ფუნტამდე, სრული რაციონის შემადგენლობა უნდა იყოს 12-14 პროცენტი პროტეინი, ან შეიძლება დაშვებული იყოს რაციონში მარცვლეულის  $+\frac{3}{4}$  1.0 ფუნტზე ან 35 პროცენტი მარცვლის ყოველდღიური დანამატი.

4. დაახლოებით, 10-დან 14 დღით ადრე გამრავლების პერიოდამდე, კერატს უნდა შეუქმნათ პირობები, რომ იკვებოს კარგად და არ მოხდეს მისი გადასუქება( დღეში დაახლოებით საკვები მიეცეს 4-დან 6 ფუნტამდე).

5. ულუფის ნიმუში ნაჩვენებია ცხრილ 7 და 8 ნომერზე.

## ბ. ნეზვი

1. რეპროდუქტიულობის ციკლის სტადია (ცხრილი 7-1) შემოთავაზებულია ცხრილ 7-ში დონე.

2. დაგრილების წინა პერიოდში, ნეზვის ცოცხალი მასა უნდა შეადგენდეს 225 დან 275 ფუნტამდე. ეს ნეზვები სრული საკვები ულუფით ნაკვები არიან, რაც მაქციმალურად ზრდის ნეზვების გენეტიკურ პოტენციალის ზრდის სიჩქარეს. ერთი ნეზვი დაახლოებით, 225 ფუნტს აღწევს, ისინი უნდა იყვნენ გადარჩეული და გამოყოფილი გასაყიდი საქონლისაგან. ენერგიული ულუფა უნდა შემცირდეს 60-დან 75 პროცენტამდე გამრავლებამდე (6 ფუნტზე მეტი არ უნდა იყოს დრეში). ეს გაზრდის და განავითარებს სხეულს მაგრამ, არა გადაჭარბებული ცხიმის რაოდენობით (ნაილი 1)

## 3. მოშენება.

ა. ნეზვის წონა უნდა იყოს 250-დან 300 ფუნტი, 7-დან 8 თვის ასაკში, უნდა ქონდეს გამოცდილი ორი-სამი დაგრილების( ესტრუსის) ციკლი. ნეზვების შეზღუდული ენერგიის მოხმარება, მშობიარობის წინა პერიოდში, ძირითადად გამოწვეულია მისი წინა პირობით , რომელიც ზრდის ენერგიის მოხმარებას გამრავლების პერიოდის წინ ან

მის დროს. ეს შეიძლება დასრულდეს 7-8 ფუნტი საკვების მიღებით, გამრავლებამდე 10-დან 14 დღით ადრე. რაც უზრუნველყოს:

1. ნეზვის გაუმჯობესებულ ჯანმრთელობას.
2. აჩქარებს ოვულაციის სიჩქარე.
3. ემბრიონების სიცოცხლისუნარიანობას.

როდესაც ვიყენებთ ამ პროგრამას, მეტად მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ნეზვის მიერ საკვების მიღება უნდა შემცირდეს 4-დან 6 ფუნტამდე, ერთ სულზე ერთი დღის განმავლობაში, გამრავლების პროცესთან ერთად. გამრავლების პერიოდის უწყვეტი კვება მაღალი შეთვისებადობის დონით, დაკავშირებულია ემბრიონის მაღალი დონის სიკვდილიანობასთან. ულუფუზე პრემიქსის დამატება ზრდის ევოლუციის ხარისხს.

#### ბ. სარემონტო მოზარდი (სანეზვე)

მოზარდი ნეზვები -ჩვეულებრივ პირველ დაგრილებამდე (ესტრუსში), ძუძუთი კვების თავის დანებების შემდეგ (4-დან 10 დღის შემდეგ). ამ სახის გამრავლების პროგრამაში, მოზარდი ნეზვები, იღებენ მაღალი ენერჯის ლაქტაციის ულუფას, დაახლოებით ბოლო ორი სამი კვირის განმავლობაში. ამიტომ, მწარმოებლები ხშირად უზრუნველყოფენ მოზარდი ნეზვების კვებას და/ან წყლით უზრუნველყოფას 24 საათის განმავლობაში ძუძუთი კვებაზე თავის დანებების შემდეგ, რათა დაეხმარონ დაგრილებ (ესტრუსის) სტიმულაციის წარმართვაში.

#### 4.მაკეობა.

ა. გამრავლების შემდეგ, ნეზვებში ენერჯის მოხმარება შეიძლება შემცირდეს , რაც იმის მაუწყებელია, რომ გამრავლების დროს ძალიან სუქდებიან. ენერჯის მოხმარება საუკეთესოდ კონტროლირდება ხელით კვებით, შეზღუდული რაოდენობის საკვებით, ერთ სულზე ყოველ დღე ( ეს არის 4-დან 5 ფუნტამდე 12 პროცენტი ნარევი საკვები). შემზღუდვა შესაძლებელია მიღწეულ იქნას კვებას შორის ინტერვალით( სრული კვება ყოველ მესამე დღეს) ან საკვები რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით უჯრედანას,

როგორცაა იონჯის თივა, დეჰიდრირებული იონჯის საკვები, დაფქვილი თავთავის გრანულები. შეზღუდვის სხვა მეთოდები შეიძლება დასრულდეს სიმინდის სილოსის საკვებით ( 10-დან 12 ფუნტი დღეში) და შეზღუდული რაოდენობით მიღება ცილების დანანამატების (0.5-დან 1.0 ფუნტი დღეში), ან ნეზვების კარგ სამოვარზე მოვით და ცილოვანი დანამატების შემცირებით 0.5 ფუნტამდე დღეში და თავთავი დღეში 2.0 ფუნტამდე. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მხოლოდ ენერგიული საკვები არის შემცირებული, გამრავლების პერიოდში. ნეზვევის მოთხოვნილებები სხვა საკვები ნივთიერებების უნდა იყოს იყოს შევსებული აღნიშნული პროგრამებით.

ბ. მაკობის ბოლო მესამე ეტაპზე, იზრდება საკვების მიღება ყოველდღიურად 6-დან 7 ფუნტამდე, ულუფაში უნდა იყოს ნედლი ცილა (CP) 14 პროცენტი. ნეზვებისთვის მაკობის პერიოდში საკვების მიღების ეს ნებართვა, იძლევა გარკვეულ ეფექტს.

გ. ნეზვებისთვის, რომლებიც იკვებებიან ადრეული გაზაფხულის სამოვარზე, საჭიროა ცოტა რაოდენობით თავთავის დამატება, გამრავლების შემდეგ, მაკობის ათ კვირამდე (2-დან 3 ფუნტი), მაშინ როცა ნეზვ გოჭებს შეიძლება მიეცეთ 2-3 ფუნტი 14 პროცენტისანი ნედლი ცილის შემცველობით, 10 კვირაზე ზემოთ და 4-5 ფუნტი და იგივე რაციონი გოჭების დაყრამდე. საკვები და მინერალური მარილის მანევი თავისუფალი არჩევნით.

დ. შემოთავაზებული მინერალიზირებული მარილის ნარევი, თავისუფალი არჩევნით შეიძლება მიეცეს კოლტს: 60 ფუნტი დიკალციუმ ფოსფატი, 20 ფუნტი მინერალიზირებული მარილი, 20 ფუნტი დაფქვილი კირქვა.

ე. ზრდასრული ნეზვები წონის მატებაზე შეზრუდული არ არიან და შეიძლება მიმატონ დაახლოებით 50 ფუნტი და ასევე 75-დან 100 ფუნტამდე, გამრავლებიდან გოჭების დაყრის შემდეგაც. წონის უზომო გაზრდა არის საკვების უთავბოლოდ ფლანგვა და შესაძლებელია შემცირდეს რეპროდუქციულობა.

5. გოჭების დაყრის პერიოდში (3-დან 5 დღით ადრე და გოჭების დაყრის შემდეგ)

ა. შემოთავაზებული პროგრამა: 3-დან 5 დღით ადრე გოჭების დაყრამდე, ნეზვების ულუფას ემატება სიმინდი 5-10 პროცენტი, ჭარხლის ფოჩი ან 10 15 პროცენტი, ხორბლის ქატო 10-20 პროცენტი. ასევე დეჰიდრირებული იონჯის საკვები. ეს პრაქტიკა ხელს შეუწყობს პრობლემების შემცირებას - ისეთი როგორცაა, ნეზვებში ყაზობა.

(1) კვების დონე ულუფის მოცულობით-( 14 პროცენტი CP ასათვისებელი პროდუქცია) 6-დან 8 ფუნტი უნდა იყოს.

(2) თავისუფალი არჩევნით, ამ ულუფის გაგრძელება შეიძლება 3-დან 5 დღემდე გოჭების დაყრის შემდეგ. შემდგომ სტადიაზე კვება ხდება რეგულირებადი და ნეზვი გადადის სრულფასოვან კვებაზე .

ბ. ალტერნატიული პროგრამა: სპეციალური ულუფები არ არის საჭირო . მხოლოდ აჭამეთ რეგულარულად და მიუშვით ნეზვები რაც უნდათ ის ჭამონ. ( შესაძლებელია მწარმოებლებმა გამოიყენონ რეგულარული საკვები, მაგრამ შეზღუდული მოხმარებით, რომელიც ყოველთვის არაა საჭირო). თუ ნეზვებს მოსწონთ საკვები, მოხმარების შეზღუდვა არაა საჭირო.

6. ლაქტაცია ( ნახეთ შემოთავაზებული საკვების ცხრილი 7-7)

მშობიარობის შემდეგ , პირველ დღეებში საკვების დონის გაზრდა საჭიროა იმისათვის რომ, მიიღონ მაღალი საკვები ნივთიერებები და ენერგია, რათა გაიზარდოს რძის პროდუქტიულობა.

ა. რეკომენდაციები

(1) 13-16 პროცენტი ასათვისებელი საკვების, რომელიც მაღალენერგიული და კოვანი.

(2) ნეზვი: 4-დან 5 ფუნტ ძირითადად დამატებული 1 ფუნტი ყოველ ერთ სულ მეტუძურ გოჭზე, საკვების მოხმარება უზრუნველყოფილი იყოს 16-დან 18 ფუნტამდე, წონის შესანარჩუნებლად, ძუძუსწოვების წინა პერიოდიდან ესტრუსის ინტერვალში.

- ა) გაზრდილი ენერჯის სიხშირე და ნეზვების ხსენის და რძის მოსავალი.
- ბ) გოჭების ღვიძლის გლიკოგენის გაზრდილი შემადგენლობა, დაბადებისას სისხლის გლუკოზის დონე, ან ორივე.
- გ) გოჭების არსებობის ხანგრძლივობა (2-3 პროცენტი) იმ ფარაში, რომლებსაც ჩვეულებრივ სიცოცხლის ხანგრძლივობა 80 პროცენტზე ნაკლებია.
- დ) ლაქტაციის პერიოდში ნეზვების წონის შემცირება.
- (3) ცხიმოვანი დანამატების გამოყენების განხილვა.
- ა) ძვირფასი, თუ ეძლევა საკვებად მთელ ფარას.
- ბ) თუ საჭიროა მხოლოდ ნეზვები გამოიკვებოს.
- დ) ნაკლებეფექტური უფრო პატარა ზომის და წონის გოჭებზე.
- ე) თუ სრული ულუფა ეძლევათ, მინიმუმ 75 პროცენტი ცხიმოვანი დანამატები არის რეკომენდირებული და უნდა გამოიკვებოს გოჭების დაყრამდე სულ მცირე 5 დღით ადრე და გოჭების დაყრიდან 14- 21 დღის შემდეგ .
- 4) ბევრ შემთხვევაში უფრო მეტი საკვების მიღება ნეზვებში არის უფრო აკონომიური, ვიდრე, საკვებზე ცხიმოვანი დანამატების კალორიულობის სიხშირის გაზრდის მცდელობა ( გამოკვებეთ დრეში რამოდენიმეჯერ), ძველი უვარგისი საკვების გამოდევნა, საკვები ურნევის გულგასმით დასუფთავება და საკვებში სურნელოვან დანამატებზე ზედამხედველობა.
- ვ) ნეზის მიერ გოჭების დაყრის შემდეგ, პირველი რძიდან წარმოებული ხსენი შეიცავს მნიშვნელოვან საკვებ ნივთიერებებს და ანტიბიოტიკებს. ეს ანტიბიოტიკები იცავს დაავადებებისგან, სანამ ახალგაზრდა გოჭი მოახდენს საკუთარი ანტისხეულების სინთეზს, 3-4 კვირის ასაკში. ეს ანტიბიოტიკები შეიძლება შტანთქმული იყოს მზადებიდან მალევე ( 72 საათი). ასე რომ, ისინი ძალიან მნიშვნელოვანია რომ, ყოველი გოჭის მიერ, რაც შეიძლება მალე იქნას მიღებული ხსენი.

ზ)შედეგად, ძუძუმწოვარ გოჭებს გამოაჩნდებათ ანემია, რაც გამოწვეულია რკინის ნაკლებობით, გარკვეული რაოდენობა სპილენძი. ნეზვების რძე შეიცავს ცოტა რკინას. დაბადებიდან, სანამ ისინი რეგულარულად ჭამას დაიწყებდნენ, გოჭებს რკინის მარაგის სიმცირე აქვთ. დამატებითი რაოდენობის რკინა უნდა მიეცეთ გოჭებს

(1) მისაღები დოზა- პირველი დოზა გოჭებს უნდა მიეცეთ (50 100 მილიგრამი) როდესაც, ისინი არიან 3 დღის და ეს დოზა უნდა განმეორდეს კვირაში ორ-სამჯერ, სამი კვირის განმავლობაში, სანამ ისინი არ დაიწყებენ რეგულარულ ჭამას.

(2) ინექცია-რკინა დექსტრანი ან სხვა რკინის ნახშირწყლების კომპლექსი (150 მგ) უნდა გაუკეთდეთ 3 დღის ასაკში. მეორე დოზა შესაძლებელია საჭირო გახდეს გოჭებში, რომლებსაც არ დაუწყიათ ჭამა ადრე ასაკიდან.

თ) ძუძუთი კვების პერიოდის ხანგრძლივობა

ძუძუთი კვებაზე თავის დანებებს ბევრი შემთხვევა უწყობს ხელს. ადრეულ ასაკში ძუძუზე მოშორება არის პროგრამა, რომელიც იზოლირებას ახდენს ძუძუდან მოშორებული გოჭების მანამ, სანამ გოჭები არიან 21 დღის. უმეტეს შემთხვევაში, გოჭები ძუძუდან ჩამოშორებული არიან 14-დან 18 დღის ასაკში. ეს გოჭები უნდა გამოეყოს სხვებს, სანამ გაიყიდება. ნეზვიდან, მემკვიდრეობით შესაძლებელია პატარა დაავადების გადადებას ქონდეს ადგილი, 2-3 კვირის ასაკში. ეს არის პროცესი, როდესაც დედის ანტისხეულების დაცვა პიკს აღწევს. ასე რომ, გოჭები რომლებიც ადრეულ ასაკშია ჩამოშორებული ძუძუთი კვებიდან, აქვთ ისეთი იმუნური სისტემა, რომელმაც ვერ მოახერხა გაძლიერება საშვილოსნოში. ეს გოჭები უფრო ჯანმრტელები არიან, ვიდრე ისინი რომლებიც ძუძუდან იქნენ მოშორებული უფრო მოგვიანებით და თანაბრად გაიზარდნენ მათი ზრდის გენეტიკური მიდრეკილების შესაძლებლობებით. მოგება ამ პროგრამიდან არის უფრო ჯანმრთელი გოჭები, უფრო სწრაფი ზრდა, უფრო მეტი მჭლე ხორცის პროდუქტიულობა, გაუმჯობესებული გატყავებული და გამოშიგნული საქონლის ხარისხი და პროდუქციულობის სისტემაზე დამოკიდებული სისტემის შესაძლებლობები.

## საბაზრო გოჭის კვება.

ა) ცილა.

შესაძლებელია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საკვები ნივთიერებები არის ღორის ულუფაში. წამყვანი არის დაბალანსებული, ადვილად ათვისებადი ამინო მჟავები, ვიდრე, ცილების პროცენტული რაოდენობა. ცილების შემცველი საკვები შედეგად იძლევა სახვადასხვა მოგებას, რადგანაც, მასში არის ამინო მჟავების ბალანში. ტიპიური საკვების შეზღუდული ამინო მჟავები შეიცავს ლინინს, ტრიპტოფანს, თეონინს და მეთიონინს. მოთხოვნილი, სხვადასხვა ამინო მჟავების პროცენტული რაოდენობა იცვლება გოჭის ასაკთან ერთად( სხეულის წონა) და მთლიანი ცილოვანი საკვების პროცენტთან ცხრილი 7-2 და 7-3).

ბ) საკვების სახეები

1. რძის შემცველი ულუფა-დიდი რაოდენობის ექსპერიმენტების კვლევებმა უჩვენა რომ, 3-5 დღის ასაკის გოჭები შესაძლებელია მოვაშოროთ ძუძუთი კვებას და ჩავანაცვლოთ სინთეზური (ხელოვნური) რძის სითხით, რომელიც ტიპიურია, მშრალი, ნაღებმოხდილი რძის, ცხიმით, ვიტამინებით, მინერალებითა და ანტიბიოტიკებით. თუმცა მოხერხებული შემცველი ნეზვის რძის განვითარდა მაგრამ, ფერმერები არ ეთანხმებიან მას, რადგანაც ძვირია, უნდა მომზადდეს ყოველდღიურად ცალკე და საკვებად უნდა მიეცეს კონტროლირებად გარემოში. სხვა უარყოფითი ის არის რომ, ყველა საკვები აღჭურვილობა უნდა დასუფთავდეს გულდასმით და ფართომასშტაბიანი სანიტარული ღონისძიებები უნდა ჩატარდეს, რათა თავიდან ავიცილოთ ბაქტერიის დაგროვება.

2. პრესტარტერები (დასაწყისი საკვები) (20-24 პროცენტი ასათვისებელი პროდუქცია, შეიცავს სხვადასხვა საკვებ ინგრედიენტებს (ეს არის კომპლექსი და ხშირად შეძენილია კომერციული წყაროებიდან. ისინი ძირითადად ეძლევა ძუძუზე ადრეულად მოშორებულ გოჭებს (3 კვირამდე ასაკი გოჭები) ან საკვების გასანოციერებლად, უფრო პატარა გოჭებს რომლებიც, ვერ იღებენ სათანადო რაოდენობის რძეს ნეზვისგან. ისინი

ჩვეულებრივ შეიცავენ მშრალ ცხიმმომცდილი რძის დანამატებს ან მშრალ (მყარ ) შრატს, შაქარს (ლაქტოზას და საქაროზას), ცხიმებს და ანტიბიოტიკებს და საკვებად ეძლევა მშრალი, ბურტულებად ან მოფშვნილი სახის. ცხრილი 7-8.

3. (18-20 პროცენტი). შექმნილია, იმისათვის რომ,სრულყოფილ საკვებად მიეცეთ 3-6 კვირის ასაკში. გოჭების დასაწყისი საკვები შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც მოხვეული რაციონი,სანამ გოჭებს ძუძუთი კვებას შეუწყვეტენ და მის შემდეგაც, სანამ ისინი დაახლოებით 40 ფუნტი არ გახდებიან. ის, ჩვეულებრ შეიცავს 10-20 პროცენტ მშრალ შრატს, რათა გაუმჯობესდეს ცილების ხარისხი და აწარმოოს რძის შაქარი (ლაქტოზა). ხშირად, 1-3 პროცენტი ცხიმი დამატებული არის იმისთვის რომ შემცირდეს ამღვრეულობა და გაუმჯობესდეს კვებითი ეფექტურობა და შეთვისებადობა. სულ მცირე მარცვლოვანი კულტურების ნახევარი უნდა იყოს სიმინდი და ზრდის ხელშემწყობი ანტიბიოტიკი ხშირად გამოიყენება. გოჭების საწყისი საკვების ნიმუში ნაჩვენებია- ცხრილი 7-9-ზე.

4. მოზარდობის დასრულებისთვის განკუთვნილი საკვები.

ა. მოზარდობის საკვები (14-16 პროცენტი ათვისებად პროდუქციას შეიცავს) სრულყოფილი საკვებია. გოჭებს, რომლებიც დაახლოებით არიან 40-დან 120 ფუნტამდე წონის, ეს საკვები ეძლევათ. ჩვეულებრივ, სიმინდი განოციერებული უნდა იყოს ვიტამინებით, მინერალებით და თუ სასურველია ზრდის ხელშემწყობი ანტიბიოტიკები. თავთავის ნარევი და სრულყოფილი დანამატები,აგრეთვე, საკმარისია. გოჭის გამზრდელი საკვების ნიმუში ნაჩვენებია ცხრილი 7-10-ში.

ბ. საბოლოო საკვები ( 13-14 პროცენტი შეთვისებადი პროდუქცია) არის სრულყოფილი საკვები, რომელიც ეძლევა დაახლოებით 120 ფუნტის წონის გოჭებს, წონის გაზრდისთვის. ზრდის ხელშემწყობი ანტიბიოტიკის გამოყენება არასავალდებულოა. შემოთავაზებული, ღორის საბოლოო საკვების ფორმულაცია ნაჩვენებია ცხრილი 7-10-ში.

გ. ხშირად, ზოგიერთი საკვების ფორმულაცია, ცხოველებს ზრდის ყოველ ფაზაში ეძლევათ: საწყისი, მოზარდობისთვის განკუთვნილი და საბოლოო. ამგვარი კვების პროგრამების ფორმულაციები, ჩანაცვლებულია იმ საკვების განრიგით, რომელიც ცილის უფრო ნაკლებ რაოდენობას შეიცავს (ამინომჟავებს), უკეთესად ერგება გოჭების აქტუალურ მოთხოვნილებებს და ამცირებს საკვები ნივთიერებების გამოყოფას და საკვების ხარჯებს.

### **კვების განრიგის სისტემები.**

კვების ფორმულაციისა და მასში შემავალი ინგრედიენტების არჩევანი ხელიდან ხელში გადადის. ქვემოთ მოყვანილია გოჭების ზოგადი საკვები სისტემების დისკუსია:

ა. მარტივი საკვები ფორმულაცია VS რთული საკვები ფორმულაცია.

დიეტა ღორებისთვის შეიძლება იყოს მარტივი და შეიცავდეს ვიტამინებით გამდიდრებულ, მარცვლეულისა და სოიოს საკვებს. მწარმოებლები, რომელიმეც აქუცმაცებენ და ურევენ მათი ღორების საკვებ ფორმულაციებს, ჩვეულებრივ, ამზადებენ გამარტივებულ სიმინდი-სოიოს ულუფას მათი ხელმისაწვდომობის, მომზადების სიმარტივისა და ინგრედიენტების ფასის გამო. ის გოჭები, რომლებსაც დედას ადრე აშორებენ ან უნდა მოაშორონ, ხშირად, სარგებელს რთული საკვები ფორმულაციებიდან იღებენ, რომელსაც დამატებული აქვს მშრალი რძის პროდუქტები, პლაზმა ცილის მშრალი სპრეი ან სხვა მაღალი ხარისხის ცილის წყარო. იმის გამო რომ ეს წყაროები ძვირია, ახალგაზრდა გოჭებს ის შეზღუდული რაოდენობით უნდა მიეწოდოს.

4. სპრეი მშრალი პლაზმის ცილა. მშრალი პლაზმის ცილა არის პროდუქტი, რომელიც დამზადებულია ღორისა და მსხვილფეხა რქოსანი საქონლის სისხლისგან. ანტიკოაგულანტი ემატება სისხლს და უჯრედოვანი ნაწილი გამოსულია ცენტრიფუგაციით. მშრალი პროდუქტი შეიცავს დაახლოებით 78 % ნედლ ცილას. თუ სათანადოდაა დამზადებული, ცილები შედგება იმუნოგლობულინებისგან, რომლებიც ფუნქციონირებენ როგორც ანტისხეულები. სრალი პლაზმის სემადგენლობაში შედის ნატრიუმი.

5. კრისტალური ამინო მჟავა. ღორს ისევე ესაჭიროება ამინო მჟავები, როგორც ცილები. ყველაზე მეტად ბუნებრივი წყარო დამატებითი ამინო მჟავების არის ხორბლის ბაზაზე დამზადებულ ულუფაში. სოიო საუკეთესო წყაროა ლიზინის და ტრიპტოფანის.

საკვებადღირებული ბალანსისათვის, რომელიც ემსახურება მეორადი ამინომჟავების გარკვეულ გამოყენებას წარმოედგენს სიმინდი და სოიო.

6. საკვები დანამატები. საკვები დანამატები არის არასაკვები ნივთიერებების დანამატები ღორის საკვებზე, რომლებიც აუმჯობესებს საკვების მოხმარების ეფექტიურობას და საკვების მირება

## 11. ცხენის , კატის, ზაღლის, თევზის კვება.

### კატისა და ძაღლის კვება

#### ცხენის კვება

ცხენების კვება, გათვალისწინებული დემონსტრირებისა და წარმოების მიზნებისთვის, გაცილებით უფრო რთულია ვიდრე, სხვა რომელიმე სახის ფერმის ცხოველთა კვება. სამწუხაროდ, ცხენის კვებით მოთხოვნილებებზე ექსპერიმენტალური ინფორმაცია შეზღუდულია. თუმცა, შეიძლება სავსებით დავეყრდნოთ პრაქტიკულ შედეგებს, რასაც წარმატებულად ფლობენ ცხენის მწარმოებლები და აგრეთვე, სხვა ცხოველებზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევები.

ამ განყოფილებაში წარმოდგენილი იქნება რამოდენიმე შემოთავაზებები საკვები ნივთიერების მოთხოვნილებებზე და კომბინირებული საკვების გამოყენებაზე რაც, თანხვედრაშია მსუბუქი წონის ცხენების საკვებ მოთხოვნილებებთან. ეს შემოთავაზებები დაფუძნებულია ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი საბჭოს რეკომენდაციებზე (*ცხენისთვის საჭირო საკვები ნივთიერებების მოთხოვნილებები*, პუბლიკაცია ISBN 10 : 0 – 309, **ცხოველთა კვების კომიტეტი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემია - ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი საბჭო, D. C. 2007**) და სხვადასხვა სტატიების მიხედვით, რომლებიც განხილულია ამ ავტორის მიერ.

#### 1. საკვები ნივთიერებების მოთხოვნილებები

მოსაზრებები დაყოფილია ცხენების როგორც ენერგეტიკულ, ასევე ცილოვან, მინერალურ და ვიტამინების მოთხოვნილებებად და ბევრი საკვები ნივთიერებების მოთხოვნილებები არ არის დადგენილი ექსპერიმენტის გზით. რეკომენდაციების

უმეტესი ნაწილი გაკეთებულია ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტებიდან გამომდინარე, ფერმის სხვა ცხოველების მოთხოვნების ექსტრაპოლაციით. ეს შემოთავაზებული საკვები ნივთიერებების დონეები შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც გზამკვლევი, რათა გვეკონდეს უფრო ზუსტი ინფორმაცია, რაც შესაძლებელია მიღებული იყოს სამეცნიერო კვლევების შესწავლიდან.

**ა. ენერჯია.**

გამოანგარიშებული ცხენების საარსებო შესათვისებელი ენერჯიის მოთხოვნილებაა 600 კგ ან ნაკლები და წარმოადგენს დაახლოებით 1.4 + 0.03 BW ( კგ. სხეულის წონა) მკალ. ყოველდღიურად. მოთხოვნილებების მინიმუმ საშუალო დონე და გაზრდილი საარსებო წყარო აისახება ტემპერამენტის განსხვავებებზე ან ცხენის სასურველ აქტივობაზე. ზრდის ენერჯია დამოკიდებულია ზრდის ციკლის ტემპზე და მატების საშუალო დღიურ ნორმაზე. ქვემოთ მოცემულია ზრდისთვის საჭირო ფორმულები, შემოთავაზებულია შესათვისებელი ენერგეტიკული საჭიროებების გამოსაანგარიშებლად (მკალ.)

ახალშობილები	1.4 + 0. 03 BW +8.5 ADG (საშუალო დღე-ღამური მატება (კგ))
ერთი წლის	1.4 + 0. 03 BW +13.5 ADG (კგ)
ერთ წელზე მეტის	1.4 + 0. 03 BW + 17 ADG (კგ)
2 წლის	1.4 + 0. 03 BW + 18.9 ADG (კგ)

სამუშაოსთვის საჭირო ენერჯია დამოკიდებულია არა მხოლოდ იმაზე, თუ რა სახის სამუშაოა, არამედ სისწრაფეზე ადგილმდებარეობაზე სადაც ეს სამუშაო არის შესრულებული. ეროვნული სამეცნიერო - კვლევითი საბჭო(NRC) რეკომენდაციას იძლევა შესათვისებელი ენერჯიის საჭიროებებზე შესრულებული ოთხი სახის სამუშაოს კატეგორიაზე: მსუბუქი, ზომიერი, მძიმე და ძალიან მძიმე. სავსებით ცხადია რომ, ამ სახის სამუშაოები ქმნის დიდი ენერგეტიკული მოთხოვნილებების საჭიროებებს დამატებითი ენერჯიის წარმოქმნისათვის. ქვემოთ მოცემული ფორმულები შემოთავაზებულია ცხენის მიერ სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო შესათვისებელი ენერჯიის საჭიროებების გამოანგარიშება:

მსუბუქი	$(0.0333 \times BW) \times 1.20$
საშუალო	$(0.0333 \times BW) \times 1.40$

მძიმე  $(0.0333 \times BW) \times 1.60$

ძალიან მძიმე  $(0.0363 \times BW) \times 1.90$

მაკეობა არ ზრდის ენერგეტიკულ მოთხოვნილებებს მაკეობის ბოლო მესამედის ფაზამდე. ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი საბჭო რეკომენდაციას იძლევა გაიზარდოს ფაშატის საკვები ნივთიერებების მოხმარება მაკეობის მეხუთე თვის დასაწყისში. მაკეობის ბოლო სამი თვის განმავლობაში ფაშატი მოთხოვს დაახლოებით 2 მკალ ან დაახლოებით 1.0 ფუნტ მთლიან შესათვისებელ ნივთიერებებს ყოველდღიურად საარსებო წყაროს მოთხოვნილებებზე. ლაქტაციაში მყოფის ენერგეტიკული მოთხოვნილებები დამოკიდებულია რძის პროდუქტიულობის რაოდენობაზე და რძის შემადგენლობაზე. ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი საბჭო გთავაზობთ რიცხვით გამოსახულებას 0.36 მკალ.-ის ან 0.18 ფუნტი მთლიანი შესათვისებელი საკვები ნივთიერებების რძის ყოველ ერთ ფუნტზე, როგორც ლაქტაციის ენერგეტიკული მოთხოვნილებები. ენერგეტიკული მოთხოვნილებების შესავსებად საკვებად გამოიყენება თივა საკვები სხვადასხვა კომპოზიციებით.

**ბ. ცილები.** ცილოვანი მოთხოვნილების შევსება სხვადასხვა კლასის ცხენებისთვის განსხვავებულია. ინფორმაციები შეზღუდულია ამინომჟავის სინთეზზე და უკანა ნაწლავის მიერ მის შთანთქმაზე. ამიტომ არაცილოვანი აზოტი ეფექტურად არ გამოიყენება ცხენებში, თუმცა ის რეკომენდირებულია, როგორც მაღალი ხარისხის ცილოვან რაციონებში, ამინომჟავების ადეკვატურები, საკვებად იქნეს მიცემული ცხენებისთვის. ეს უნდა გაკეთდეს განსაკუთრებით ახალგაზრდა ზრდის პროცესში მყოფი ცხენებისთვის, რომელთა ბრმა ნაწლავსაც ბაქტერიული სინთეზის მოხდენა სიცოცხლის ადრეულ ასაკში. როცა ცხენი მიაღწევს ზრდასრულ ასაკს, მათ მიერ ცილების საჭიროებები და ცილების ხარისხისადმი მოთხოვნილება მცირდება.

ნედლი ცილების მოთხოვნილებას შორის პირველ ადგილზე არის ლიზინი, რომელიც უნდა იყოს გამოყენებული ზრდის პროცესში. ლიზინის მოთხოვნილება არის დაახლოებით 4.3 % ნედლი ცილების მოთხოვნილებების მიმართებაში.

**გ. მინერალები.** მინერალები საჭიროა ძლიერი კისურების განსვითარებლად. ძლიერი ძვლის განვითარება მოითხოვს კალციუმისა და ფოსფორის უფრო მეტი რაოდენობით

გამოყენებას . აგრეთვე, შესაძლებელია სხვა მინერალებისა და საკვები ნივთიერებების ჩართვაც. მარტივი ემსახურება ორივეს, როგორც მნიშვნელოვნად საჭირო დანამატი ელექტროლიტების ბალანსისთვის და ასევე, საჭიროა რაციონის საკაზმად. რომელიც აგრეთვე ახდენს ნერწყვის გამოყოფის სტიმულაციას და უფრო გემრიელს ხდის ულუფას.

**მიკროელემენტები.** საჭიროა მიკროელემენტების დამატება ულუფაზე . მიკროელემენტების მინერალიზირებული მარტივი არის საკვების მეტად ეკონომიური წყარო. შემოთავაზებული მინერალებია : რკინა, სპილენძი, იოდი, თუთია, მანგანეცი, კობალტი, სელენიუმი და სულფატი. მაგნიუმი და სულფატიც მთავარია და მათი გამოყენებისთვის უნდა განისაზღვროს დონეები.

**ვიტამინები.** მიუხედავად იმისა რომ, ცხენებისთვის ულუფაში ვიტამინების რაოდენობის განსაზღვრისთვის საჭირო ინფორმაცია შეზღუდულია, რაციონში ვიტამინების დამატება აუცილებელია მათთვის , განსაკუთრებით ზრდის, განვითარებისთვის, ჯანმრთელობისა და რეპროდუქტიულობისთვის. ცხენისთვის საჭირო ვიტამინებია: ვიტამინი A, ვიტამინი D, ვიტამინი E, ვიტამინი C , და ვიტამინი B.

## II. ცხენების საკვები

ცხენის კომბინირებული საკვების ულუფა ძირითადად, შეიძლება კლასიფიცირებული იყოს როგორც ფურაჟი ან მინერალ კონცენტრატები. კონცენტრატები უნდა შედიოდეს კომბინირებულ საკვებში, რაც გამოყენებულია ენერჯის უზრუნველსაყოფად. ცილები მინერალები და სხვა განუსაზღვრელი ზრდის ფაქტორები , ჩვეულებრივ გამოიყენება მცირე ფორმით სხვადასხვა საკვებში.

ა. ფურაჟი. ჩვეულებრივ, ცხენი შეიძლება გამოვკვებოთ თივით ან მისი სათანადო შემცველობის საძოვრით 1-დან 2 კგ /100 კგ სხეულის წონის შესაბამისად ყოველ დღე. თივის კვებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მის შენახვას, რადგანაც ნესტმა შეიძლება გარკვეული პრობლემები შექმნას. ამასთანავე არ შეიძლება დიდი რაოდენობით თივის მიცემა ცხენებისთვის, რადგანაც ეს გარკვეულ პრობლემებს უქმნის მის მომხელეებელ ტრაქტს. ძალიან მაღალი ხარისხის სამყურას და

მცირე ზომის მარცვლეული კულტურების თივას უმჯობესია შეერიოს უფრო დაბალხარისხოვანი ბალახის თივა, რათა არ მოხდეს საკვების გადაჭარბებული რაოდენობით მოხმარება.

მრავალი სახეობის ბალახის ფურაჟი რომელთა შორისაც არის ტიმოთელა და სხვა არაჩვეულებრივი თივას აწარმოებს, გემრიელია და ძალიან კარგი საკვებია ცხენებისთვის. ბოსტნეული კულტურები მაღალი ხარისხის საკვებ ნივთიერებებს შეიცავენ ვიდრე ბალახები, ამიტომაც რეკომენდირებულია მათი მიცემა ბალახების თივასთან არეული. ამასთანავე, ცხენებისთვის მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის საძოვრებზე ძოვა. განსაკუთრებით, გვიანი მაკეობის პერიდში მყოფი ფაშატებისთვის.

ბ. კონცენტრატები. მარცვლეული ან საკვებდანამატები უნდა მიეცეთ საკვებად, რათა თვით შეივსოს, ენერჯის, ცილების, მინერალების და ვიტამინების დეფიციტი.

1. მარცვლეული კულტურებიდან გამოყენებული უნდა იყოს შვრია, სიმინდი, ქერი, პურის თავთავი .პურის თავთავის ქატო და ნახევრად პროდუქტები. მწარმოებლებმა დროდადრო უნდა ცვალონ საკვები ნივთიერებების შემცველობები.

2. ცილოვანი დანამატები- ცილოვანი დანამატების ხარისხი გავლენას ახდენს ამინო მჟავების რაოდენობასა და მონელებადობაზე.

მის ბუნებრივ წყაროს წარმოადგენს სელის თესლი, სოიო, ზამბის თესლი, რძის ცილები-მშრალი შრატი.

3. სხვა, მრავალფეროვანი კომბინირებული საკვები: მოლასა, დეჰიდრირებული იონჯის საკვები, მინერალებიდან: ნატრიუმი და ქლორი მარილთან ერთად , კალციუმს და ფოსფორს შესაძლებელია დაემატოს ლიმესტონი, დიკალციუმფოსფორი, ძვლის ფქვილი,ცხიმები და ზეთები.

### III. ცხენის კვება

#### ახალშობილი კვიცების საკვები

სიცოცხლის პირველი წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცხენის განვითარებისთვის. ჩვეულებრივ, ფაშატი კარგად ნაკვები უნდა იყოს იმისათვის რომ, უზრუნველყოფილი იყოს ყველა საჭირო საკვები ნივთიერებებით. რძის პროდუქტიულობა პიკს აღწევს 2 თვის ასაკში და მთლიანი საკვები ნივთიერებების

მოთხოვნილებების შესავსებად საჭიროა გარკვეული რაოდენობით მყარი საკვები ნივთიერებების მოხმარება. კვიცებს ყოველდღიურად უნდა მიეცეთ საკვებად ექვსიდან რვა ფუნტამდე კონცენტრატი ძუძუზე ყოფნის დროს ან 5-დან 6 თვის ასაკში.

#### **ბ. ახალშობილი და 2 წლის კვიცების კვება.**

ერთი წლის ასაკში ან 800 ფუნტი იცვლება ახალშობილი კვიცების რაციონი. ამ ასაკში , განვითარების სტადიაში უფრო ფართოდაა შესაძლებელი თივაზე და საძოვარზე დაყრდნობა, რადგანაც უკანა ნაწლავის ფერმენტაცია უფრო ეფექტურია. ძალიან მნიშვნელოვანია ამ პერიოდისთვის ცილების, მინერალების და ვიტამინების შემცველობით უზრუნველყოფილი საკვები, რადგანაც გრძელდება ქსოვილების ზრდა და ძვლის სტრუქტურის ჩამოყალიბება. ჩხენები შეიძლება კვებოთ ინდივიდუალური ულუფით სასურველი პირობის და წონის მიხედვით.

#### **გ. ზრდასრულის კვება,მშრალი ფაშატი და ულაყი**

ზრდასრული ცხენი შეიძლება იკვებოს თივით და მხოლოდ საძოვრით. კალციუმ-ფოსფორი და მარილის დანამატი შეიძლება გამოყენებული იქნას ამ ასაკის ცხენებისთვის და რა თქმა უნდა თივისა და მარცვლეული კომბინაციაც შეიძლება იქნეს გამოყენებული , თუ ფურაჟის რაოდენობა და ხარისხი შეზღუდულია. უბრალო ტკბილი საკვები კარგი თივით ადეკვატური იქნება.

#### **დ. რეპროდუქცია.**

1. მკეობა . რეკომენდირებულია ენერგეტიკული მოთხოვნილებისა და ცილების შემცველი ულუფა, რომელიც ადეკვატური იქნება ფაშატისათვის თუ ის ლაქტაციაშიც არ არის. მკეობის ბოლო 90 დღის განმავლობაში, დაახლოებით 60 % ჩანასახის ვითარდება.
2. ლაქტაცია. გამოიყენება იგივე რაციონი რაც, ახალშობილებისა და ორ წლამდე ასაკის კვიცებისთვის. როცა ფაშატს კვიცი სულ ახალი მოგებულნი ყავს, ის არის ლაქტაციაში და ეს პერიოდი გარკვეული სტრესის პერიოდს წარმოადგენს ცხენებში. ამიტომ ლოგიკურია რომ , ფაშატი გარკვეული რაოდენობის საკვები ნივთიერებით უნდა

ინარჩუნებდეს ჯანმრთელობას. ცუდი რეპროდუქტიული მონაცემები ცხენებში მიუთითებს გარკვეულ ფაქტორებზე.

3. ულაცი იკვებება იგივე რაციონით, რითაც ფაშატი, ოღონდ უფრო დიდი რაოდენობის საკვებით.

### **თევზის კვება**

თევზის ნორმალური ზრდისათვის აუცილებელია საზრდო ნივთიერებების გარკვეული ნაკრები. ბუნებრივ წყალსატევებში ველურად მყოფი თევზი ბუნებრივი საკვების ხარჯზე იღებს ყველა საჭირო ნივთიერებას. ბუნებრივი საკვებიდან თევზის მიერ მოხმარებული საზრდო ნივთიერებების აღრიცხვა პრაქტიკულად შეუძლებელია.

ამიტომ მათი მოთხოვნილება საზრდო ნივთიერებებზე ნაკლებადაა შესწავლილი. თევზის მიერ საკვების ჭამაობაზე გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორები, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია წყლის ტემპერატურა და ამინდი.

ყველაზე სწრაფად კობრი მაშინ იზრდება, როცა წყლის ტემპერატურა 25-30°C-ია, მაგრამ თუ წყლის ტემპერატურა 15°C-მდე ეცემა, მაშინ კობრის ზრდა ჩერდება, ხოლო 13°C-ზე კი მკვეთრად ქვეითდება. წყლის 30°C-ზე ზევით წყალში ჟანგბადის კონცენტრაცია მცირდება, რის გამოც თევზის საკვების მოხმარება ქვეითდება.

კობრი ძირითადად ცხოველის მჭამელი თევზია, მაგრამ ის სიამოვნებით მიირთმევს მცენარეულ საკვებსაც. კობრის ბუნებრივი საკვები პლანქტონისა და ბენტონის წარმომადგენლებია. კობრის საკვებში ბუნებრივ საკვებს მრავალი სპეციალისტის აზრით 40-60% უჭირავს.

ტბორების თევზპროდუქტიულობა იზრდება თუ ბუნებრივ საკვებთან ერთად დამატებით გამოვიყენებთ სპეციალურ კომბინირებულ საკვებს.

კომბინირებული საკვები თევზისათვის მზადდება ბურღულის ან გრანულის 10 სხვადასხვა ზომის სახით. ბურღულის სახით კომბინირებულ საკვებს იყენებენ ახალგაზრდა თევზის საკვებად (ლიფსიტიდან ერთწლამდე ასაკის), ხოლო გრანულის სახით კვებავენ ერთწლამდე, ერთწლიანებს, მწარმოებლებს, სასაქონლო თევზს. გრანულის სიგრძე არ უნდა აღემატებოდეს თევზის სიგრძეს. ბურღულის და გრანულის ზომა რომლებსაც იყენებენ თევზის საკვებად, დამოკიდებულია მის მასაზე.

თევზის საკვებად მრეწველობა უშვებს სასტარტო და საპროდუქტო კომბინირებულ საკვებს.

სასტარტო კომბინირებული საკვები ხასიათდება ნედლი პროტეინის მაღალი შემცველობით. სასტარტო კომბინირებული საკვების შემადგენლობაში შედის შემდეგი კომპონენტები: თევზის ფქვილი 35%, ეთანოლის საფუარი 50%, მშრალი მოხდილი რძე ან ნატრიუმის კაზეინატი 6%, ხორბლის ფქვილი 5%, მცენარეული ცხიმი 1,5%, მეთიონინი 1,5%, პრემიქსი 1%. ასეთ შემადგენლობაში კომბინირებული საკვების 100 გრამი შეიცავს 48 % ნედლ პროტეინს.

ცხრილში #1 ცხრილში მოცემულია ერთ წლამდე კობრის კომბინირებული საკვების სხვადასხვა რეცეპტების შემადგენლობა, მათი ჩვეულებრივ და თბილ წყლიან მეურნეობებში გამოზრდისას. იხ ცხრილი #1.

სასაქონლო კობრის გამოსაზრდელად კომბინირებული საკვების შემადგენლობა მოცემულია ცხრილში #2.

ერთწლამდე კობრს კვებავენ 16-17 საათის განმავლობაში (დღის სინათლეზე) ერთ საათიანი ინტერვალით, როცა თევზის მასა მიაღწევს 10 გრამს, კვების მიცემის რაოდენობას ამცირებენ 10 საათამდე დღე-ღამეში.

ორწლამდე კობრს და მწარმოებელს კვებავენ დღე-ღამეში არა ნაკლებ ორჯერ დილით 7-8 საათზე და შემდეგ 13-14 საათზე.

მეთევზეობის პროდუქციის წარმოების ინტენსიფიკაცია, ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ წარმოებს აგრეთვე თევზის გამოზრდით, მთელი წლის მანძილზე თბურელექტროსადგურებთან არსებულ თერმიულ წყალსატევ-გამაგრილებლებში.

ასეთ პირობებში თევზს კვებავენ მთელი წლის მანძილზე მხოლოდ სამრეწველო წარმოების სრულფასოვანი კომბინირებული საკვებით.

**ძაღლებისა და კატების** მაღალი დონის კვების შენარჩუნება შესაძლებელია მაღაზიების უმრავლესობაში ხელმისაწვდომი, კარგი ხარისხის კომერციულად წარმოებული საკვები ულუფის გამოყენებით. უკლებლივ ყველა შინაური ცხოველის მეპატრონეს შეუძლია მიაღწიოს უმაღლესი დონის კვებას საკუთარი ცხოველებისთვის, ისეც კი რომ არ გახდეს კვების სპეციალისტი. მათ შეუძლიათ აირჩიონ საუკეთესო შინაური ცხოველების ხელმისაწვდომი საკვებიდან და ხელი შეუწყონ მათ ბალანსირებულ მოხმარებას. საკვები საფუძვლების ცოდნა, მეპატრონეს მისცემს მათი ცხოველის საჭიროებებისა და მათი სიცოცხლის მანძილზე დაფიქსირებული იმ პრობლემების უკეთესად გაგების საშუალებას, რომლებმაც შეიძლება მიიყვანოს სიკვდილამდე ან დაავადებებამდე. ინფორმაცია შინაური ცხოველის კვებაზე არსებითად ვრცელია. ამ სექციის ძირითადი დანიშნულება კატებისა და ძაღლების კვების ზოგიერთი საფუძვლის მითითება და ნორმალურიდან გადახრებზე კონკრეტიზირებაა, შინაური ცხოველების კვების ყველა ასპექტების უკეთესი გაგებისთვის.

I. ძაღლისა და კატის საკვები მოთხოვნილებების შეფასება უფრო რთულია, რაც გამოწვეულია მათი ზომის ფართო ცვლილებებით, რეპროდუქციულობით, ზრდის, ასაკის, ფიზიკური დატვირთვის, გარემოს და ფსიქოლოგიურ სტრესზე. ულუფა შესაძლებელია შეთვაზებული იყოს მათი კვებითი მოთხოვნილებიდ გამომდინარე დაფუძვნიებული შინაური ცხოველის სხეულის წონაზე. თუმცა, საბოლოო განსაზღვრებას მაინც ინდივიდუალურიდან გამომდინარე ვაკეთებთ, ეს არის ის რაც, გვიჩვენებს წონის მატებას ან კლებას, ფიზიკურ პირობას, ენერგიას და სხვა. მიუხედავად ამისა ორივე, ძაღლიც და კატაც ხორცისმჭამელი ცხოველები არიან, თავიათი ბუნებიდან

გამომდინარე.თუმცა, ბოსტნეული და მარცვლეული პროდუქტებიც მისაღებია სათანადო კომბინაციაში.

ა. წყალი

კარგი ხარისხის წყალი ყოველთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ის უნდა იყოს სუფთა და ახალი. კატებს ძალიან უყვართ წყალში თამაში , რაც აჭუჭყიანებს მას. ძაღლები და კატები გარემო ტემპერატურასთან, ლაქტაციის, ზრდასთან ან დაავადებებთან დაკავშირებით, დაახლოებით 1მლ წყალს საჭიროებენ ყოველ ერთ კვალ-ს მეტაბოლიზირებული ენერჯისთვის ყოველ 24 საათში.

ძაღლის სხეულის წონა (კგ)	წყალი (მლ) და მეტაბოლიზირებული ენერჯია (კვალ) ყოველ კილოგრამ სხეულის წონაზე
3	100
6	85
10	75
20	60
30	55
50	50
75	45

ძალი იღებს სასმელი წყლიდან დაახლოებით 25 % -ს მთელი მოთხოვნილების, ხოლო კატა მხოლოდ 10 %-ს. სასურველი რაოდენობის წყლის მოხმარება ორ-სამჯერ ხდება დამოკიდებულია საკვების რაოდენობაზე. მოთხოვნილებები შესამჩნევად იზდება ვარჯიშების, სიცხის, თირკმელების დაავადების, დიარეაზე, გაზრდილის რაოდენობით მარილის მოხმარებაზე, შაქრიან ან უშაქრო დიაბეტზე და სხვა. ლაქტაციის დროს, ცხელ ამინდში, წყლის მოხმარებამ შესაძლებელია ოთხჯერ და უფრო მეტად გაზარდოს საკვების მყარი ნივთიერებების მოხმარება. წყლის შემცირებული რაოდენობით მოხმარება ხშირად გამოწვეულია მისი ცუდი ხელმისაწვდომობით, წყლის ცუდი ხარისხით ან იმით, რომ წყალი ან თბილია ან კიდევ ძალიან ცივი.

## ბ. ცილები

ცილების შეფასებრიველი არის მისი ბაშე , მთავარი არის მისი სრულყოფილება. სულ ყველა 10 ძირითადი ამინო მჟავა არის თუ არა სახეზე? ზოგ ბუნებრივ პროდუქტებში, რომლებშიც, არის მისი წყარო. ესენია: რძე, კვერცხი, ხორცი, სოიო. ხოლო ის პროდუქტები, რომლებშიც არასრულფასოვნადაა ცილები არის: ჟელატინი, ფქვილი და პურის თავთავი. მეორე რამ, რაც გასათვალისწინებელია, არის ბიოლოგიური ღირებულება (BV) რომელიც შთანთქმული ცილების პროცენტული რაოდენობაა (ან აზოტის) და მათი შეთვისება. ის რაოდენობა, რომელიც არ გამოიდევენება ორგანიზმიდან შარდით ან ფეკალური მასებიდან და რომელსაც მოიხმარს ორგანიზმი. ცილებს დიდი რაოდენობით შეიცავს კვერცხი 98 + %, თევზის ფქვილი 92 %, რძე 92 %, ღვიძლი 79 %, ძროხის ხორცი 78 %, კაზეინი 78 %, სოიო ფქვილი 67 %, პურის თავთავი 48 % . შინაური ცხოველების საკვების უმრავლესობა, რომლების მომზადებულია კომერციული თვალსაზრისით, შეიცავს ცხოველების ქსოვილების მაქსიმუმს, სოიოს აკვებს და მარცვლეული კულტურებს, რომლებიც ნაზავებისგან არის დამზადებული 70 %-იანი ან უფრო მეტი ცილების რაოდენობის შემცველობით. როდესაც კატები და ძაღლები უფრო დიდები ხდებიან, საკვები ნივთიერებებიდან მიღებული ცილები ზრუნავს და აფექტს ახდენს თირკმელებზე და ეს ძალიან მნიშვნელოვანია უფრო

ასაკოვანი ცხოველების თირკმელების შემცირებული ფუნქციონირებისათვის-კომერციული თვალსაზრისით შექმნილი საკვები გაცილებით უფრო კარგია. მესამე რამ რაც გასათვალისწინებელია, ეს არის ცილების შეთვისებადობის ღირებულება. ცილების შეთვისებადობა შინაური ცხოველების კარგი ხარისხის საკვების საშუალოდ 80 % მშრალ ულუფაშია, 84 % მსუფუქი ტენიანი და დაკონსერვებული რაციონის ულუფები, 90 % დაკონსერვებული ხორცის ულუფაში. შეთვისებადობის ტიპური დამახასიათებელი სახე ასეთია:

თევზის ფქვილი 99% ხორცის ნარჩენები 75-86 %

ღვიძლის ფქვილი 88 % სოიოს ფქვილი 86 %

ძაღლებისა და კატებისთვის დამზადებული საკვების მონელებადობა დაკავშირებულია ტემპერატურაზე და დროის ხანგრძლივობაზე თებულ პროცესის განმავლობაში. თერმული პროცესის დროს, ცილები რომლებიც ასოცირდებიან ალდოზის შაქრებთან, სახეცვლილი არიან რათა წარმოქმნან N- გლიკოზიდები, შეადგენენ კუჭ-ნაწლავის პროტეოლიზურ ენზიმებს და გამოდის ფეკალურ მასებში. ეს შესაძლებელია წარმოადგენდეს რამოდენიმე შინაური ცხოველის სკვების ცუდ ბიოლოგიურ ღირებულებას. ზოგიერთი პროდუქტები რომლებიც გამოყენებულია ცილების შემცველობისთვის არის ძროხის ნახევრადპროდუქტების საკვები, სოიოს ფქვილი, მშრალის ცხიმგამოცლილი რძე. ცილები ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის ძაღლებისა და კატების საკვებში. არაცილოვანი პროდუქტები, რომლებიც ბიოლოგიურად დაბალი ღირებულებისაა არის ჟელატინი და კოლაგენი, დაბალი ხარისხის ხორცის ნარჩენები და მარცვლეულის ნარჩენებიდან დამზადებული დაბალი ხარისხის შინაური ცხოველების საკვები. ულუფის ნედლი ცილების შემცველობა მოზარდი ძაღლებისთვის უნდა იყოს 18 -25 % მშრალი მასალის ბაზაზე დამზადებული. ზრდის პროცესში მყოფი კნუტების ულუფა უნდა შეიცავდეს დაახლოებით 35 % მაღალი ღირებულების ცილას და მოზარდები სულ მცირე 25 %-ს, ორივე გაანგარიშებულია მშრალი მასის ბაზაზე.

კატებს ძირითადად უფრო მაღალი მოთხოვნილება აქვთ ცილების, ვიდრე ძაღლებს. კატების მეტაბოლური პირობა მაღალცილოვანი საკვების მოთხოვნილებისა არის

მაღალი აქტივობის ამინო მჟავების კატაბოლური ენზიმები რომლებიც ღვიძლშია. კვლევებმა და კატებზე დაკვირვებებმა უჩვენეს რომ, ისინი ძალიან მგრძობიარენი არიან ამინო მჟავა არგინის დეფიციტის მიმართ. იმ საკვების მიცემა, რომელშიც არგინის ნაკლებობაა, სულ მცირე ერთ საათში შედეგად იძლება ჰიპერამონემიას.

აგრეთვე , კატას,სხვა ძუძუმწოვრებისგან განსხვავებით, დიდი მოთხოვნილება აქვს S ამინო მჟავების. ამიტომ, ისეთი ამინო მჟავებით დაბალანსებული ულუფა, როგორც S ამინო მჟავების ჯგუფისა და მასში არის ცისტინი, კატებს ხელს უწყობს შინარჩუნონ ხშირი ბეწვი.

ამინო სულფური მჟავა, ტაურინი ცალსახად მნიშვნელოვანია კატების კვებითი ღირებულების მხრივ. ტაურინი სინთეზირებული გოგირდის შემადგენელი ამინო მჟავების მეტონინისა და ცისტინის საკმარისი რაოდენობის თანხვედრით ძალის მოთხოვნილებებზე. ენდოგენური ტაურინის ბიოსინთეზი კატის ქსოვილში შეზღუდულია და ამგვარად, კატების რომლებსაც აჭმევენ ტაურინის ნაკლები შემცველობის საკვებს,არ შეუძლიათ შეინარჩუნონ სხეულის საკმარისი კონცენტრაციები. კატებს ძაღლებისგან განსხვავებით შეუძლიათ შეკავშირება ნაღვლის მჟავის ტაურინთან და არ შეუძლია შენაცვლება ტაურინის და გლიცინის შეკავშირებით ნაღველში. ამგვარად, კატებს ულუფაში განუწყვეტელი მოთხოვნილება აქვთ ტაურინის. აგრეთვე, ტაურინის მოთხოვნილების გაზრდა ულუფაში ამცირებს გოგირდშემცველი მჟავების მოხმარებას. კატების საკვების უმრავლესობა დაფუძნებულია უჯრედანას და გოგირდოვანი მჟავების გარკვეული რაოდენობის შემცველობაზე, რეკომენდირებულია 500 მგ ტაურინი/კგ ულუფა მყარი ნივთიერებებით. ტაურინი ყველაზე მეტად ბუნებრივი ფორმით მოიპოვება ცხოველების ქსოვილებში. რომელთაგან არცერთი შეზღუდული რაოდენობა არაა ნაპოვნი მცენარეებში.

## გ. ცხიმი

ცხიმებს და ზეთებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ საკვებისათვის გარკვეული გემოს მიცემაში. ზეთები შეიცავს მაღალი პროცენტული რაოდენობით მოკლე ჯაჭვურ ან გაჯერებული ცხილოვანი მჟავები, ცხიმების დაბალი პროცენტული რაოდენობა

ფიქსირდება ამ ცხიმოვან მჟავებში. ცოტათი შეცვლილი და გაზრდილი ცხიმის ან ზეთის რაოდენობა ულუფაში მატერიალურად აუმჯობესებს მის შემადგენლობას, შედეგად ძაღლები და კატები საკვების მიღებაზე თანხმობას გამოხატავენ. ლინოლეის მჟავა, ძირითადი და აუცილებელი ცხიმოვანი მჟავაა, რომელიც თვისობრივად გაუჯერებელი ცხიმოვანი მჟავაა მყველაზე მეტ ბოსტნეულის მჟავებიდან და შეადგენს 15- 25 %-ფრინველებში და ღორის ცხიმში, მაგრამ 5 %-ზე ნაკლებია საქონლის ქონში და კარაქის ნაღებში. აგრეთვე, არაჯიდონის მჟავის სულ მცირე 0.17 % გაუჯერებელი ცხიმები საჭიროა კატების საკვებში. არაჯიდონის მჟავა სინთეზირებულია ლინოლეის მჟავისგან სხვა ცხოველების მიერ უფრო, ვიდრე კატების მიერ და ის წარმოდგენილია მხოლოდ ცხოველურ ცხიმებში. ის არაა წარმოდგენილი არც ერთ მცენარეულ პროდუქტში. კატებისა და ძაღლების მიერ, ლინოლეის მჟავა გარდაიქმნება ლინოლენის მჟავად. ძირითადი ცხიმოვანი მჟავები უნდა შეადგენდეს ულუფის მყარი მასალის სულ მცირე 1 % ან კალორიების მოხმარების 2 %-ს. ღორის ქონი, თირკმლის ქონი, სიმინდის ზეთი, ზამბის თესლის ზეთი, ზეთის ხილის ზეთი, სოიოს ზეთი და მზესუმზირის ზეთი. არაადეკვატური ზეთის არსებობა ულუფაში, იმის გარდა რომ იწვევს ცხიმოვანი მჟავების დეფიციტს, აგრეთვე, იწვევს ენერგიის ნაკლებობას სხეულში და შედეგად შემცირებულია ზრდის პროცესი ცუდი ფიზიკური მონაცემებია სახეზე, ცუდი რეროდუქტიულობა და მცირდება წონა. ძირითადი ცხიმოვანი მჟავების ნაკლებობა იწვევს ბეწვის გამოშრობას და გაუხეშებას, კანის აქერცვლას, რაც საჭიროებს მკურნალობას. ლიპიდები სახეცვლილებას განიცდის კანზე და კანი მიდრეკილი ხდება ინფექციების მიმართ.

ვიტამინი A, D, E, და K-ს შეწოვის პროცესი ასოცირდება ცხიმების შეწოვასთან. მძარე მჟავები ანადგურებს ვიტამინ A და E-ს. მძალე მჟავების გაზრდილი რაოდენობით მიღება იწვევს ბეწვის ცვენას, გამონაყარს, მადის დაკარგვას, ვითარდება დეარეა და შეიძლება სიკვდილი გამოიწვიოს. აუცილებელია ანტიოქსიდანტების საჭირო რაოდენობით დამატება კატებისა და ძაღლების საკვებზე.

გადაჭარბებული რაოდენობით ცხიმოვანი მჟავების შემცველი ულუფის მიღება ძაღლებსა და კატებში იწვევს ენერჯის გაზრდას, რომელიც გარდაიქმნება ორგანიზმში და შედეგად სახეზეა ცხოველის გათქვირებულობა, ზედმეტი სიმსუქნე. ძაღლებისა და კატების ყოველდღიური კალორიების საჭიროების 25-50 % შესაძლებელია მიეწოდოს ცხიმებიდან. კატებისა და ძაღლების საკვების უმრავლესობა შეიცავს 90 %-ზე მეტ შეთვისებად ცხიმებს და მკვებავი ღირებულების შეთვისებად ულუფას წარმოადგენს. ცხიმების დიდი რაოდენობა ძალიან სასარგებლოა მაღალკალორიული მოთხოვნილების დროს, რაც ხელს უწყობს ზრდას, ლაქტაციას და ფიზიკურ განვითარებას.

#### დ. ნახშირწყლები (CHO)

ძაღლებსა და კატებში ნახშირწყლების მოთხოვნილების წარმოადგენს შეზღუდულ ინფორმაციას რომელიც შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს. ძაღლებს შეუძლიათ გამოიყენონ 65-70 %-ზე მეტი ნახშირწყლების რაოდენობა ულუფიდან, მაშინ როცა, კატები იყენებენ დაახლოებით, მხოლოდ 35-40 %-ს.

ძაღლების კომერციული საკვების უმრავლესობა შედგენილია ნახშირწყლებზე, რომელიც ორგანიზმს ამარაგებს ყველაზე ძვირფასი ენერჯის წყაროთი. ამიტომ, დიდი მნიშვნელობა აქვს სათანადოდ იყოს მომზადებული და ნახშირწყლებით დაბალანსებული, რაც აუცილებელია ნორმალური ძაღლების მიერ მოსახმარებლად. ზოგიერთი სახეობის სახამებლის შემცველი კულტურები, როგორცაა, კარტოფილი, შვრია, და სიმინდი, ცუდად სეთვისებადია. ულუფაში ნედლი სახამებლის მაღალი შემცველობა იწვევს დეარებას. ზოგჯერ რძე ძაღლებში ან კატებში დარღვევებს. ეს იმით აიხსნება, რომ ზოგიერთ ცხოველს არ გააჩნია ენზიმები რათა მოინელოს ნახშირწყლების ლაქტოზა რძეში, სახელდობრ ლაქტაზაში ან თუ ეს ენზიმები მაღალი რაოდენობით არ არის წარმოდგენილი. ძროხის ახალი რძე შეიცავს 5 % ლაქტოზას, მაშინ როდესაც მშრალ გამოხდილ რძე 50 %-ს. 10% ან მეტი გამოხდილი რძის შემცველ რაციონს შეუძლია დიარეამდე მიყვანა. თუ ზრდასრულ ძაღლს ან კატას აქვს გაუთვალისწინებელი დიარეა და იკვებება რძით, მოამორეთ რძეს და დიარეა თვითნებურად გაქრება.

მიუხედავად იმისა, რომ ნახშირწყლები არაა აუცილებელი კატეგორიის, ისინი უზრუნველყოფენ უფრო იაფ კალორიების წყაროს, ვიდრე სხვა საკვები. საუკეთესოა თუ სახამებელი ბისკვიტის, მომზადებული კარტოფილის, მოწალული ბრინჯის და ასშ. სახითაა მომზადებული. არცერთ ამ საჭმელთაგანს თვითნებურად არ გააჩნია კარგი შეთვისებადობა კატისთვის. ნახშირწყლების ზოგიერთი წყაროა: ქერი, სიმინდი, ხორბალი, კარტოფილი, შვრია, სიმინდის საკვები და ნალები.

გადაჭარბებულად მიღებული ნახშირწყლები სხეულში ინახება, როგორც გლიკოგენი ან ცხიმი შემდეგი ენერჯის სახით გამოყენებისთვის. ნახშირწყლების ჭარბი მიღების მხოლოდ ერთი ცუდი ეფექტი არის სიმსუქნე. ნახშირწყლების ნაკლებობა ძნელადაა შესაძლებელი კალორიების ნაკლებობის გარეშე. გამოყენებადი ნახშირწყლების მონელებადობა, ძალის საშუალო ხარისხის კომერციულ საკვებში არის 85 %-დე.

#### ე. უჯრედანა.

უჯრედანა, აგრეთვე, საკვებ ულუფაში არსებული ნახშირწყლების ნაწილია. მას აქვს რამოდენიმე ფუნქცია მომნელებელ ტრაქტში. ზოგიერთი მოინელება და გამოიყენება ენერჯისთვის. სხვა უჯრედანა შეიწოვს წყალს და წარმოქმნის უფრო თავისუფალ კუჭის მოქმედებას არაუჯრედოვან საკვებ ულუფებთან შედარებით. ეს სასარგებლოა ინტესტინალური მოქმედების სტიმულაციისა და შენარჩუნებისთვის, განსაკუთრებით დაბერებულ ან უმოქმედო ცხოველებში. უჯრედანა ეხმარება ყაბზობისა და სხვა ინტესტინალური პრობლემების თავიდან აცილებას. საკვების უმრავლესობას გააჩნია 1-8 % უჯრედანა. ძაღლების ან კატების შემცირებული საკვები უუფები შეცავს 32%-მდე უჯრედანას. წყაროა ცელულოზა, ჰემიცელულოზა, ლიგნინი, პურეული მარცვლოვანების ჩენჩოები, ქატო, ჭარხლის რბილი ნაწილი, აგარი, ბოჭკოვანი ლობიოს მარცვლები.

#### ვ. მთლიანი ენერჯია

ცხოველები სხეულის თითქმის ყველა მოქმედებიდან ხარჯავენ ენერჯიას. ხოლო, ეს ენერჯია მიიღება მათ მიერ მოხმარებული საკვებისაგა ან საკუთარი სხეულის შიდა

ენერჯის წყაროების გამოყენებით. კალორიული მოთხოვნილებები უფრო დიდია ყოველი ერთი ფუნტის ბაზაზე უფრო პატარა ცხოველებში, ვიდრე უფრო დიდ და ზრდის პროცესში მყოფ ძაღლებსა და კატებში, უფრო ზრდასრულ მოზარდებში. ულუფის მყარი მასის მოხმარებული 70-90 % გამოიყენება ენერჯის წარმოებაზე.

შინაური ცხოველების საშუალო ხარისხის საკვების კალორიის განსაზღვრება ძაღლებისა და კატებისათვის- როდესაც საკვები სრულყოფილად არის დაქანული კალორიმეტრის ბომბში, მთლიანი საწვავი ენერჯია გამოთავისუფლებული როგორც სითბო, ცნობილი არის მთლიანი ენერჯის სახელწოდებით. მთლიანი ენერჯის ღირებულება ნახშირწყლებისთვის, ცხიმი და ცილების საშუალო დონე 4.2, 9.4 და 4.4 კკალ/გ მისაღებია ან შეესაბამება თითოეულს. თუმცა, მთლიანი ენერჯია რომელიც საკვებიდან იქნა მიღებული ხელმისაწვდომი არაა მეტაბოლიზმისათვის. რამოდენიმე ნაწილი ამ ენერჯიდან დაკარგულია შეთვისებადობის დროს და გამოიყოფა ფეკალური მასებიდან. დეფიციტი მთლიან მოხმარებულ ენერჯიასა და იმას შორის რაც ფეკალიებით გამოიყო ცნობილი არის ცხადი შეთვისებადი ენერჯის სახელით. ამ ცხადი შეთვისებადი ენერჯიიდან პატარა დანაკარგი იცენს თავს შარდში. განსხვავებები ცხად შეთვისებად ენერჯიასა და იმას შორის რაც შარდში არის, ცნობილია როგორც მეტაბოლიზირებადი ენერჯია. კომერციული მიზნით დამზადებული შინაური ცხოველების საკვებებს რეგულაცია დანიშნულებაა რომ განსაზღვროს საკვების ენერჯეტიკული შემადგენლობა, როგორც მეტაბოლიზირებადი ენერჯია. თუმცა, ენერჯეტიკული შემადგენლობა განსაკუთრებით შინაური ცხოველების საკვებში ნებაყოფლობითია და არ არის მოთხოვნილი რეგულაციით. შინაური ცხოველების საკვების საორიენტაციო მეტაბოლიზირებადი ენერჯეტიკული შემადგენლობა, რომელშიც მეტაბოლიზირებადი ენერჯის რაოდენობა უზრუნვეყოფილია საკვებში, შესაძლებელია გამომანგარიშებული იყოს შემდეგნაირად:

ა. ღირებულების ფორმა

**კომერციული საკვების ანალიზი**

**დადგენილი ღირებულება**

ტენი	7%	ცხიმი=9.4 კკალ/გ
ცხიმი	9%	CHO= 4.2 კკალ/გ
ნედლი ცილა	24%	CP=4.4 კკალ/გ
უჯრედანა	3%	ცხიმი=92.5 % შეთვისებადი.
ნაცარი	15%	CP= 80% შეთვისებადი.
მთლიანი	58%	CHO= 85% შეთვისებადი

$$\text{CHO} = 100 - 58 = 42\% \text{ CHO } 4$$

$$\text{ცხიმი} = 9\% = 9 \text{ გ}/100 \times 9.4 \text{ კკალ/გ} \times .925 \text{ შეთ.} = 78.2 \text{ კკალ}/100\text{გ}$$

$$\text{CHO} = 42\% = 42\text{გ}/100 \times 4.2 \text{ კკალ/გ} \times .85 \text{ შეთ.} = 149.9 \text{ კკალ}/100\text{გ}$$

$$\text{CP} = 24\% = 24 \text{ გ}/100 \times 4.4 \text{ კკალ/გ} \times .80 \text{ შეთ.} = 84.5 \text{ კკალ}/100\text{გ}$$

$$\text{მთლიანი} \quad 312 \text{ კკალ}/100\text{გ}$$

$$1 \text{ ფუნტი} = 454 \text{ გ}$$

$$312.6 \text{ კკალ}/100\text{გ} \times 4.54 = 1419 \text{ კკალ/ფუნტი საკვები.}$$

ზ. მინერალები.

რამოდენიმე მთავარი მინერალია Ca,P,MG,S,Na,Cl,K,Fe და ელემენტები C, O,H, N და ძირითადი მიკროელემენტები არის: Cu,Mn,I,Zn,Co.

#### 1. კალციუმი და ფოსფორი

ამის სთანადო რაციონი არის დაახლოებით 1.2 : 1 (Ca : P). თუ დეფიციტი არის თავს იჩენს რაქიტი, ოსტეომალაცია, და კბილების დაცვენა.ახალგაზრდა და ბებერი ძაღლებიც საჭიროებენ დამატებით Ca. მისი წარმოადგენს ძვლის ფქვილი, ნაღებ გამოცლილი რძე და იონჯას ფოთლებისგან დამზადებული საკვები. P-ს წყარო არის

ძვლის ფქვილი და ხორცის ნარჩენები. ვიტამინი D საჭიროა Ca და P-ს სათანადო გამოყენებისათვის.

## 2. მაგნიუმი

დიდი რაოდენობით მაგნიუმის შემცველი კატის ულუფა მნიშვნელოვან როლს თამაშობს კატის უროლოგიურ სინდრომზე. მაგნიუმის მარილი განსაკუთრებულად მოქმედებს მამრი კატების უროლოგიურ სინდრომზე. თუმცა, მხოლოდ მაგნიუმის მოხმარება არ იწვევს ამ დაავადებებს.. წყლის დაბალი დონით მოხმარება კატებში, ძალიან კონცენტრირებული შარდის გამოყოფა არის თანმხლები ფაქტორი. როცა მცენარეული პროდუქტებია შეტანილი ულუფაში, შარდი შეიძლება გახდეს ტუტე.

3. გოგირდი. ზოგიერთი ამინო მჟავები თავიანთ სტრუქტურაში შეიცავს გოგირდს, სახელდობრ, ცისტინს, ცისტეინს, და მეთიონინს.

4. სოდა და ქლორი. ულუფა უნდა შეიცავდეს 1.0 -1.5 % NaCl.

5. კალიუმი. მისი ნაკლებობა ძირითადად არ იჩენს თავს ძაღლებსა და კატებში, რადგანაც შინაური ცხოველების საკვების უმეტესი ნაწილი მის კარგ წყაროს წარმოადგენს. დეფიციტის ნიშნებია ანორექსია, სისუსტე, ლეტარგია და მოდუნებულია კუნთები, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს თავის პარალიზება.

6. რკინა. რკინა საჭიროა ჰემოგლობინის ფორმულაციისათვის. მისი ბუნებრივი წყარო არის ღვიძლი და კვერცხის გული. რძეში აშკარად დავალი რაოდენობით არის Fe. ძალიან იშვიათად ხდება საჭირო დამატებითი რკინის მიცემა ნორმალური, ჯანმრთელი ცხოველებისათვის. გარკვეული ვეგეტარიანული ულუფა გამოიწვევს რკინის დეფიციტს.

7. მიკროელემენტების მინერალები.

8. ა. სპილენძი-როგორც რკინა მნიშვნელოვანია ჰემოგლობინის ფორმაციისთვის. მისი კარგი წყაროა მშრალი ცხიმგალოცლილი რძე, ღვიძლი და კვერცხის გული. საკვები ულუფის დაახლოებით 10 % არსი მოთხოვნადი.

ბ. კობალტი. ესეც აუცილებელია ჰემოგლობინის ფორმაციისთვის. მისი ნაკლებობა იწვევს ანემიას, სისუსტე და წონის დაგდება. კატებსა და ძაღლებში მისი ბუნებრივი დეფიციტი იშვიათად იჩენს თავს.

გ. მაგნიუმი. მისი დეფიციტი იწვევს რეპროდუქტიულობის გაუარესებას, არარეგულარულ ოვულაციას, სისუსტე და მკვდრად დაბადებას ცხოველებში. ზოგი მცენარეები წარმოადგენს მის წყაროს. ესენია: მარცვლეული კულტურები, სოიო, თევზის ფქვილი, ლიმესტონი და როკ ფოსფატი.

დ. თუთია-მისი დეფიციტი იწვევს ბეწვის შეთხელებას, კანის აქერცლით გამოწვეულ დერმატიტს, პარაკეტანოზს, ანორექსიას, წონის დაგდებას და ზრდის შენელებას. მოიპოვება ისულინში და დუოდენალურ შეთვისებად წვენში. Zn არის ცვეულებრივ ყველა საკვებში. განსაკუთრებით, ბოსტნეულში. ხსენი ძალიან მდიდარია თუთიის შემცველობით.

ე. იოდი- დეფიციტი იწვევს ბეწვის შეთხელებას, ანემიას ნაადრევ მუცლის მოშლას. მისი წყაროა იოდიზირებული მარილი. ძაღლების და კატების საკვების უმრავლესობა შეიცავს სათანადო რაოდენობით იოდს. თევზის ნარჩენები მდიდარია იოდით.

### *ვიტამინები.*

მიგიერთი ვიტამინის ზუსტი მოთხოვნილება ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, საკვები ულუფების შემადგელობაზე შეუთანხმებლობის გამო, ცხოველის ფიზიოლოგიური სტატუსის, არსებული დაავადების და სხვა მიზეზების გამო. საშუალოდ კარგად დაბალანსებული ძაღლის ან კატის ულუფა შესაზლებელია შეიცავდეს სათანადო ვიტამინებს. ეს წყალში ხსნადი ვიტამინები სათანადოდაა განლაგებული ცხოველის სხეულში. B-ვიტამინის მოთხოვნილება ხუთჯერ უფრო მაღალია კატებში ვიდრე ძაღლებში.

1. ვიტამინი A. ეს ვიტამინი კარგია მხედველობისთვის, ეპითელიური ჯანმრთელობის და ძვლის ზრდისთვის. მისი დეფიციტი იწვევს მადის დაკარგვას, ზრდის პროცესის ცუდად განვითარებას, შემცირებულია მუკოზას მემბრანის რეზისტენტუნარიანობა, სახეუა თვალის ინფექციები და აგრეთვე ცხოველის რესპირატორული ორგანოების ინფექციები. ვიტამინი A-ს დეფიციტის შემთხვევაში

შესაძლებელია ძაღლები დაბრმავდნენ. მისი ბუნებრივი წყაროა თევზი, თევზი ღვიძლის ზეთი, საქონლის ღვიძლი, თირკმელი, მწვანე ბალახები, რძე, ყველი, კარაქი და კვერცხი. ბეტა კაროტინი გამოიყენება კატებში, როგორც ვიტამინი A-ს წყარო.

ჰიპერვიტამინოზი A ( გადაჭარბება) ნიშნები უფრო ხშირია ვიდრე, მისი დეფიციტი. დამახასიათებელია ანორექსია, წონის დაკლება, ძვლის დისტროფიები, გადაჭარბებული მგრძნობიარობა და კისრისა და სახსრების დაჭიმულობა.

## 2. ვიტამინი D.

ვიტამინი D ჩართულია Ca და P-ს მეტაბოლიზმში. მისი დეფიციტი კატებში და ძაღლებში ხშირია.

ვიტამინ D-ს დეფიციტს აგრეთვე უწოდებენ რაქიტის საწინააღმდეგო ვიტამინს. ძალიან ხშირად მისი დეფიციტი შეინიშნება გერმანულ მეცხვარულ ნაგაზში და ლაბრადორში და სხვა ჯიშის დიდ ძაღლებში, რომლებსაც აქვთ რაქიტი. ამ ვიტამინის დეფიციტი იწვევს რაქიტს ახალგაზრდა ცხოველში და ოსტეომალაციას მოზარდებში. მისი წყაროა მზის სხივები, დასხივებული საფუარი, თევზის ღვიძლის ზეთი და კვერცხის გული. მისი გადაჭარბება იწვევს ანორექსიას, გულისრევა, დაღლილობა, თირკმლის დაზიანება, რბილი ქსოვილების ჩაკირვა, დიარეა და სიკვდილი.

## 3. ვიტამინი E.

მისი დეფიციტი იწვევს ლაქტაციისა და რეპროდუქციულობის შემცირებას. პანიკულიტი კატებში დამოწვეულია ვიტამინი E-ს დეფიციტით. ამ ვიტამინის დეფიციტი ასოცირდება მუსკულარულ დისტოფიასთან. მისი ბუნებრივი წყაროა სიმინდის ზეთი, თავთავის ბუტკოს ზეთ, თევზი, ხორცი და კვერცხის გული.

## 4. ვიტამინი K

ვიტამინი K-ს დეფიციტი იწვევს ღვიძლის დაავადებებს და მღრღნელებისგან მოწამვლა. უფრო ხშირია ძაღლებსა და კატებში. მისი აბსოლუტური მოთხოვნილებები უცნობია. ძაღლებსა და კატებს შეუძლიათ საკმარისი სინტეზის მოხდენა საკუთარ კუჭ-ნაწლავში თუ სახეზე არ არის ღვიძლის დაავადება და არის მოწამვლა. მენადიონი ( სინთეტიკური ვიტამინი K<sub>1</sub>) გამოყენებულია ვიტამინი K-ს დეფიციტის თერაპიული მკურნალობის

დროს. ვიტამინი K-ს ბუნებრივი წყარო არის კვერცხის გული, ღვიძლი, მწვანე ფოთლები და გამხმარი იონჯა.

#### 5. თიამინი

თიამინის დეფიციტი იწვევს ანორექსიას, წონის დაკლებას, დეჰიდრაციას და კრუნჩხვებს. გადახურება იწვევს თიამინის დაშლას. დაახლოებით, მისი ორი მესამედი დაშლილია, როდესაც ძაღლიასა და კატის კომერციული საკვები მოიხარშება. მისი ბუნებრივი წყაროა ხორცი, განსაკუთრებით ღვიძლი (ნედლი საუკეთესოა), პურის თავთავის ბუტკო და გამხმარი ლუდის საფუარი. აგრეთვე, მწვანე ბოსტნეული თიამინის კარგი წყაროა.

ულუფის მაღალი ნახშირწყლოვანი დონე, ისეტი როგორცაა, კარტოფილი და პური, ზრდის ძაღლების მოთხოვნილებებს თიამინის მიმართ. თიამინის საჭიროება ოდნავ მცირდება, როდესაც მაღალი დონის ცხიმი არის დამატებული. ამგვარად, ულუფის შემადგენლობა გავლენას ახდენს ვიტამინის მოთხოვნილებაზე. ზოგიერთი შინაური ცხოველის პატრონი ძაღლებს აჭმებს ნედლ თევზს. უმი თევზიდან შეიძლება სოლიტერის ჭია გადაედოს ძაღლს ამას უფრო ართულებს თიამინის ნაკლებობა. უმეტესი ნაწილი ნედლი თევზების, როგორცაა კობრი, შეიცავს ენზიმებს, თიამინაზას, რომელიც შლის თიამინს. მოხარშვა შლიას თიამინაზას და ეს თევზს უვნებელს ხდის. ეს კარგი მაგალითია ცხოველთა ანტივიტამინით კვებაში.

#### 6. რიბოფლავინი.

რიბოფლავინის დეფიციტი იწვევს კანის აქერცვლას, ერითემას, კუნთების სისუსტეს, ანემიას და უცაბედ სიკვდილს. ბუნებრივი წყაროა ღვიძლი, სურის თავთავის ბუტკო, ფოთლოვანი ბოსტნეული და ახალი რძე.

#### 7. ნიაცინი (ნიკოტინური მჟავა)

ნიაცინის დეფიციტი იწვევს მადის გაუარესებას, დიარეას და წონის დაკლებას. ძაღლს შეიძლება გნუფუთარდეს პელაგრა, რომელსაც ახასიათებს წყლულები ენაზე და ნეკროზი. ბუნებრივი წყარო არის ღვიძლი, ფოთლოვანი ბოსტნეული, კვერცხი და რძე.

ნიაცინის რაოდენობრივი მოთხოვნილება გავლენაშია ულუფის ტრიპტოფანზე, რომელიც შესაძლებელია მეტაბოლურად გარდაიქმნეს ნიაცინად. დიდი რაოდენობით

ნიაცინი არის პურეულში. ნიაცინის მოთხოვნილებები ძაღლებში და სხვა ჯიშის ცხოველებში შესაძლებელია დაკმაყოფილებული იქნეს ამინო მჟავა ტრიპტოფანით

8. პირიდოქსინი (ვიტამინი B6)

პირიდოქსინის დეფიციტი იწვევს მიკროციტურ ჰიპოქრომულ ანემიას და ზრდის შენელებას. ბუნებრივი წყაროა ბუტკოები, რზე, ხორცი, თევზი, საფუარი და ღვიძლი.

9. უფრო ნაკლები ვიტამინები.

ა. პანტოთენის მჟავა. ნაკლებობა იწვევს ანორექსიას, ზრდის შენელებას, ღვიძლის გაცხიმოვნებას, და დეპიგმენტაციას. ბუნებრივი წყაროა ღვიძლი, საფუარი და მოლასა. პანტოთენის მჟავა სითბოზე არ იშლება ადვილად.

ბ. ქოლნი. დეფიციტი იწვევს ღვიძლის გაცხიმოვნებას. ქოლნი აუცილებელია ცხიმის მეტაბოლიზმის და ტრანსპორტირებისათვის სხეულში. ბუნებრივი წყაროა ღვიძლი, საფუარი და სოიო ზეთი.

გ. ბიოტინი. დეფიციტი იწვევს უკანა დამბლას და საბორეას. ნედლი კვერცხის ცილა შეიცავს ნივთიერებას რომელსაც უწოდებენ ავიდინს. ბუნებრივი წყარო არის კვერცხი და საფუარი.

დ. ფოლიუმის მჟავა. დეფიციტი იწვევს ძვლის ტვინის ჰიპოპლაზიას, მაკროციტის ანემიას. ბუნებრივი წყაროა საფუარი და ღვიძლი.

ე. ვიტამინი B<sub>12</sub> - ძირითადი მნიშვნელობა აქვს სისხლის წითელი უჯრედების ფორმულირებისთვის. ის მთავარია ანემიის პრევენციული ღონისძიებებისა და მკურნალობისათვის და საჭიროა ახალგაზრდა შინაური ცხოველების ზრდისა და ჯანმრთელად განვითარებისათვის. ძაღლებს რომლებსაც მძიმე დატვირთვა აქვთ და ვარჯიშობენ ჭირდებათ ვიტამინი B<sub>12</sub>. ბუნებრივი წყარო არის ღვიძლი, რძე, ყველი, კვერცხი და მჟლე ხორცი.

10. ვიტამინი C (ასკორბინის მჟავა)

ამ ვიტამინის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს კბილების დაცვენა და სისხლიანი დიარეა. დეფიციტის დროს შეიძლება თავიჩინოს მონელებისა და კუჭ-ნაწლავის პრობლემამ.

II. ძაღლებისა და კატების საკვების ძირითადი მიმოხილვა.

ა. ცვლილებები ძირითად მოთხოვნილებებში.

რამოდენიმე ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს ძაღლებისა და კატების ულუფის საჭიროებებზე.

1. ცხოველის ზომა.
2. ცხოველიას ასაკი.
3. წარმოდგენილი სამუშაო.
4. ცხოველის ტემპერამენტი.
5. გარემოს ფაქტორები (ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერბრუნვა, სტრესი).
6. ჰორმონალური ბალანსი (კასტრირებული)
7. ჯანმრთელობა (თირკმელის დაასადება, გულის პრობლემები და სხვა).

ბ. კომერციული საკვების სახეობა

1. მშრალი საკვები

2. ამ სახის საკვები ძირითადად შეიცავს მთლიან ან დაქუცმაცებულ მარცვლეულ თავთავებს, მარცვლეულ ნახევრადპროდუქტებს, სოიოს პროდუქტებს, რძის პროდუქტებს, ცხიმს, ზეთებს, მინერალებსა და ვიტამინდამატებს. ისინი არეულია ერთმანეთში. მარცვლეული (ნახშირწყლები) წყარო თერმულად არის დამუშავებული, რაც აუმჯობესებს მის სეთვისებადობას. საჭირო და სათანადო ცხიმის დამატება ხდება იმ ისათვის რომ გაიზარდოს კალორიულობა, მინერალები და ვიტამინები სათანადოდაა დაბალანსებული ხორცისა და მარცვლეულის ნაზავში. ნაზავების უმრავლესობა შეიცავს დაახლოებით 6-10% ტენს და კალორიულობის საშუალო დონე არის 1500-დან 1600 კკალ თითო ფუნტზე. მშრალი საკვების სამი ძირითადი სახეობა ასეობს.

ა. მშრალი საკვები- შეიძლება იყოს დაგრანულებული და ან დაქუცმაცეული ნაწილაკებად. ის შეიძლება ცხიმის სემცველი იყოს, რაც ზრდის მის კალორიულობას და გემოს.

ბ. დიდი ნაწილები- მარცვლეული თავთავებისგან და გამხმარი ხორცის და სარძეო პროდუქტების ნარჩენებისგან, ვიტამინები და მინერალები დაფუქულია ერთად და სემდეგ არეულია წყალთან ერთად ერთმანეთში.

დ. გაფართოებული მშრალი საკვები- ნედლი თაბთავი, ხორცის ფქვილი, ბოსტნეული, რძის პროდუქტები, ვიტამინები და მინერალები არეული ერთმანეთში.

### **კვები მეთოდები**

კატებისა და ძაღლების კვების სამი ძირითადი მეთოდი არსებობს- თავისუფალი არჩევანი, თვით გამოკვება და საკვების შეზღუდული კვება. თავისუფალი არჩევნით კვება ეს არის მეთოდი, როდესაც საკვები მუდამ ხელმისაწვდომია ცხოველისთვის, ცხოველს შეუძლია მიირთვას იმდენი, რამდენიც უნდა და როცა მას უნდა.

იმ ძაღლებისთვის და კატებისთვის, რომლებიც მოიხმარენ არაადეკვატური რაოდენობის მშრალ საკვებს, შეიძლება ამას მოყვეს გარკვეული პრობლემები, როგორცაა ტკივილი ტუჩების და დაზიანებული კბილები.

დაკონსერვებული საკვები, ახალი საკვები და დატენიანებული მშრალი საკვები უნდა გაიხსნას და მომზადდეს ყოველდღიურად და არ უნდა იქნას გამოტანილი ჰაერზე 10-დან 12 საათზე მეტხანს ზაფხულის განმავლობაში. ცხოველების საკვები შეიზლება გაფუჭდეს და ბევრი ბაქტერიის საკვები წყარო გახდეს, თუ მას დატოვებთ გარეთ დიდი ხნის განმავლობაში თბილ ტემპერატურაზე. უკეტესი იქნება თუ რეგულარულად გამოკვებავთ ცხოველებს და მეპატრონე შეუძლია შეამოწმოს ცხოველის მადა ყოველ დღე. შეუჭმელი საკვები არ უნდა იყოს ცხოველის წინ მოთავსებული 30 წუთზე მეტხანს, განსაკუთრებით თბილ ამინდში.

მოერიდეთ კვებას შორის წახემსებას და მაგიდის ნარჩენებით გამასპინძლებას. ისინი შეიძლება უზომოდ გაიზარდონ. მოარიდეთ ფრინველის ძვლებს, პარატა ძვლებს, რომლებიც შესაძლებელია გაეჭედოთ პირის ღრუში, რამაც შესაძლებელია გაუტეხოს კბილი. მაგიდის ნარჩენები ან ერთჯერადი საკვები არ უნდა შეადგენდეს ცხოველის რაციონის 25 %-ზე მეტს.

### *კვების პროგრამები*

1.კვება მაკეობისა და ლაქტაციის პერიოდში.ძირითადი მიზანი მაკეობასა და ლაქტაციაში მყოფი ცხოველისთვის დაბალანსებული ულუფის უზრუნველყოფა არის. ძაღლებისა და კატების კვების მეთოდები სავსებით განსხვავებულია ერთმანეთისგან.

ძაღლის რეპროდუქციულობისა და ზრდის ხელის შეწყობი ულუფა ძუკნას უნდა ეძლეოდეს მთელი მაკეობის განმავლოვაში, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაკეობის ბოლო 3-4 კვირა და ლაქტაციის პერიოდი. მშრალი მასალის ულუფა დაბალანსებული უნდა იყოს სულ მცირე 80 % შეთვისებადი საბაზო ნივთიერებისაგან და უნდა შეიცავდეს სულ მცირე 25 % ცილას, 17 % ცხიმს, 1750 კკალ მეტაბოლიზირებად ენერგია ყოველ ფუნტზე, 5 %-ზე ნაკლებ უჯრედანას და 1-8 % კალციუმს, 0.8 – 1.6 % ფოსფორს .

კატის რეპროდუქციულობისა და ზრდის ულუფა შეიძლება მიეცეს მთელი მაკეობის პერიოდში, განსაკუთრებით კი, მაკეობის ბოლო 3 კვირის განმავლობაში და ლაქტაციის დროს. ულუფა უნდა შეიცავდეს სულ მცირე 80 % შეთვისებად ნივთიერებებს და 35 % ცილას, 17 % ცხიმს, 1800კკალ მეტაბოლიზირებად ენერგიას ყოველ ერთ ფუნტზე და 1-1.8 % კალციუმს, 0.8- 1.6 % ფოსფორს.

ძუკნას ან დედალ კატას არ შეიძლება მიეცეთ რაიმე დანამატები (ხორცი, რძე,კალციუმი,ფოსფორი ან ვიტამინები). ძუკნა და დედალი კატა ოპტიმალურ სხეულის წონაზე გამრავლების პერიოდში უნდა იკვებებოდეს ერთი და იგივე საჭირო რაოდენობის საკვებით დაახლოებით, მაკეობის პირველი 5-6 კვირის განმავლობაში. ხოლო, ამ ხნის შემდეგ საკვების რაოდენობა შესაძლებელია თანდათანობით იქნას გაზრდილი. მაკეობის განმავლობაში გამოკვებეთ თავისუფალი არჩევის წესით ან ორჯერ დღეში.

ლაქტაციის განმავლობაში, გამოკვებეთ სულ მცირე სამჯერ დღეში ან თავისუფალი არჩევის წესით სხეულის ოპტიმალური წონის შესანარჩუნებლად.

საკვების სხვადასხვა მოსაზრებები.

1. საკვები პროდუქტი რომელიც შეიცავს ჯანმრთელობისთვის სასარგებლო დანამატებს. ეს არის პროდუქტები, რომლებიც უზრუნველყოფს სამედიცინო და ჯანმრთელობის ხელშეწყობას, მათ შორის პრევენცია და/ან მკურნალობა დაავადების. საკვები პროდუქტები გამდიდრებულია ვიტამინებით და მინერალებით, რომლებსა აქვთ მტკიცე ეფექტის მოხდენის უნარი. ესენია: ცხიმოვანი მჟავები, ფიტოესტროგენები და ულუფის უჯრედანა. ბალახები, ბალახის ექსტრაქტები,ჩაი და პრობიოტიკებიც, აგრეთვე მიეკუთვნება ამ კატეგორიას.
2. ა. ტოქსიკური პროდუქტები. სახლის მცენარეები-ბევრი მათგანი ტოქსიკურია. ამიტომ გარკვეული ყურადღებაა საჭირო იმისათვის რომ, თქვენს შინაურ ცხოველებს არ ქონდეთ წვდომა ასეთ ტოქსიკურ მცენარეებთან. ორივეს, როგორც ძაღლებს ასევე კატებს ძალიან უყვართ ასეთი მცენარეების გასინჯვა, რაც სახიფათოა მათი ჟანმრთელობისათვის.  
  
ბ. შოკოლადი- შეიცავს თეობრომინს, რომელიც ტოქსიკურია როგორც ძაღლებისთვის, ასევე კატებისთვის. კაკაო დიდი რაოდენობით შეიცავს თეომინს. ამიტომ, მუდამ უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენს შინაურ ცხოველებს მოარიდოთ შოკოლადი და სხვა მისი შემცველი პროდუქტები, რაც ტუქსიკურია მათთვის.  
  
გ. ხახვი-შეიცავს ალკალოიდს, n-პროპილდილსუფიდს, რომელიც ტოქსიკურია ევრი ცხოველისთვის,რაც იწვევს ჰემოლიზურ ანემიას. ძაღლები უფრო მგრძნობიარეები არიან მის მიმართ, ვიდრე კატები. ამიტომ, ჰამბურგერის ძაღლისთვის მიცემა, რომელიც ხახვს შეიცავს, ნიშნავს ძაღლის მოკლას.  
  
დ. ასპირინი-იწვევს ძაღლებისა და კატების მოწამვლას. ერთმა ასპირინმა შეიძლება მოკლას მოზარდი კატა. ამიტომ, არავითარი მედიკამენტის მიცემა არ შეიძლება შინაური ცხოველებისათვის, ვეტერინარის კონსულტაციის გარეშე.  
  
ე. ანტიფრიზინი-ეთილენ გლიკოლი ჩვეულებრივ მომაკვდინებელი საწამლავია კატებისთვის. მაშინვე უნდა გაიწმინდოს შხეფები,რათა კატამ არ ალოკოს რაც მის მომაკვდინებელ მოწამვლას იწვევს.

## 12-13-14-ფრინველი კვება (მეკვერცხული , მეხორცული მიმართულების კვერცმდებელი ქათმის და სარემონტო მოზარდის, ინდაურის, იხვის და ბატის კვება)

### ფრინველთა კვება

#### ა. ენერგია , ცილები და ამინო მჟავები

შეიძლება საკამათო იყოს ის რომ, ენერგიის მოთხოვნილებები დალაგდეს ტერმინების მიხედვით კალორიებით ყოველ კილოგრამ ულუფაში, რადგანაც ფრინველები ცდილობენ შეეწყონ თავიანთი საკვების მოხმარებას რათა მიიღონ ენერგია ყოველდღიური საკვები რაციონიდან. ცილების მოთხოვნილებები ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმი, რაზეც არის დაფუძნებული ყოველი საკვების ფორმულა და თუ ეს იქნება განსაზღვრული, ულუფის ენერგეტიკული დონე, რადგანაც მნიშვნელოვანია ცილების სათანადო რაციონის შენარჩუნება და მისი განმტკიცება ფრინველთა საკვებში. ცხიმის და ნაზშირწყლების რამოდენიმე კომბინაციაც აქვს ცილების ყაირათიანობის ეფექტისათვის. როდესაც ცილების დონე დაბალია ენერგიასთან თანაფარდობით და სურვილის მიხედვით კვების დროს, ცხიმის დონე შესამჩნევად გაზრდილი. ცილების მაღალი დონით ნაკლები ცხიმია დეპონირებული.

ცხადია რომ ცილის მოთხოვნილება შეიძლება ზუსტად განისაზღვროს ენერგიის კონცენტრაციასთან თანაფარდობით, ცხიმის დეპოზირების ხარისხით, საკვები ნივთიერების შეზღუდული რაოდენობით, რაფინირებული და კომბინირებული საკვებებით რაც უნდა დაექვემდებაროს ექსპერიმენტალურ შესწავლას. პრაქტიკული განზრახვებისთვის ფერმის ოპერაციებში და საკვების წარმოებაში, საკმაოდ დიდი შრომაა გაწეული წიწილების გამოსაზრდელად , გონივრული სიზუსტეა საჭირო, ცილების მოთხოვნილების რაც შეიძლება მინიმალური რაოდენობით მაქსიმალური სიხშირის ზრდის მისაღებად. ანალოგიური შეფასებები შეიძლება გაკეთდეს კვერცხისმდებელ დედლებსა და ზრდის პროცესში მყოფ ინდაურებზე.

როგორც არ უნდა იყოს, ცილების მოთხოვნილებები ავრცელებს ცვლილებას, როგორც პროგრესი მიღებული გენეტიკასა და სელექციაზე. ახალი, გაუმჯობესებული

მიმართულებები წიწილებისა და ინდაურების მეურნეობის განვითარების სფეროში, გამოყვანილი გულ-მკერდის მეხორცული მიმართულებით, უფრო დიდი რაოდენობით საკვების გამოყენება, ან გაზრდილი კვერცხის პროდუქტიულობა, შესაძლებელია მოითხოვდეს უფრო განსხვავებულ საკვებ ნივთიერებებს, ვიდრე განვითარების ადრინდელი მიმართულება.

ფიზიოლოგიური კავშირი ენერგეტიკულ დონეებსა და ცილების უფრო ფართო მასშტაბით გამოყენება ზრდის ძირითადი ამინომჟავების დონეებს. ბროილერების მიერ ამინომჟავების მოთხოვნილებები, სარემოტო, ჩასანაცვლებელი ვარიებისთვის, კვერცხისმდებელი და გასამრავლებელი დედლების და ინდაურებისთვის განისაზღვრა და დადგინდა პირდაპირი ექსპერიმენტების გზით და

ზემოთ ნახსენები ცხრილების ყოველი სვეტის ფიგურა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. თუ პროპორციები უფრო მნიშვნელოვანი არის, ვიდრე მათი ღირებულება, მაშინ საფუძვლიანია მოცემული ციფრების, შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს. მაგალითად, 10 %-ით მთელი ენერგიის გაზრდა, ცილებისა და ამინო მჟავების ღირებულება თუ არა ბროილერებისთვის? ფაქტობრივად, ეს შესაძლებელია გაკეთდეს ბროილერების შემთხვევაში. გარდა ამისა დონეების გაზრდა, შედარებით ძვირი ცხიმის და ცილის დანამატები და ძვირადღირებული გასაზავებელი ხსნარები უნდა იქნეს გამოყენებული. კვერცხმდებელი დედლების და ზრდის პროცესში მყოფი ქათმებისათვის არის სხვადასხვა შემაფერხებლები ძირითადი საკვები ნივთიერებების კონცენტრაციაში. ასეთი ფაქტორები ზრდის გადაჭარბებული ცილის დეპოზიტს კვერცხის მდებელ დედლებში, რაც იწვევს ბუმბულის დაცვენას და კანიბალიზმის რისკს დედლებში და კვერცხისმდებელ ქათმებში.

საუკეთესო ხარისხის ულუფა უნდა უზრუნველყოფდეს ენერგეტიკულ მოთხოვნილებებს, ცილების მთლიან რაოდენობას და 13 ძირითად ამინომჟავებს, ცხადია, ამაზე შეიძლება დაყრდნობა, რადგანაც განსაზღვრულია ცილოვანი დანამატების რაოდენობა, ყოველ მათგანს აქვს თავისი საკუთარი ფიქსირებული თანაფარდობა ძირითადი ამინომჟავების. ამერიკის შეერთებულ შტატებში მარცვლეული კულტურები და სოიო არის ძირითადი წყარო ენერგიის და ცილების, უმეტესი ნაწილი

ფრინველთა საკვებისათვის. ასეთ საკვებში მეთიონინი არის პირველადი ამინომჟავა, რაც უნდა შედიოდეს რაციონში. როდესაც განსაზღვრული რაოდენობის სოიოს ფქვილი ჩანაცვლებულია სხვა მცენარეული ცხიმების დანამატებით, მაგალითად როგორცაა, ზამბის თესლი, მაშინ ლიზინს აქვს იმის უნარი, რომ გახდეს პირველი ამინომჟავა.

არსებობს ორი მნიშვნელოვანი კავშირი ინდივიდუალურ ამინომჟავებსა და ვიტამინებს შორის. მეთიონინს შეუძლია დაზოგოს ქოლინი გარკვეული ხარისხით და ტრიპტოფანს შეუძლია დაზოგოს ნიაცინი. თუმცა ამ შემადგელობის გამოყენებით ცუდი მენეჯმენტი სახეზე, რადგანაც ორი ვიტამინი შესაძლებელია უზრუნვეყოფილი იქნეს უფრო მეტი ეკონომიისათვის, ვიდრე ორი ამინომჟავა.

მეტად მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ რამოდენიმე კვების პროგრამა არის შექმნილი იმისათვის რომ შეზღუდოს ენერჯია, ცილები, და ამინო მჟავების დონე, რომლებიც ეხმარება წონის მაქსიმალურ მატებას. რამოდენიმე პროგრამა არსებობს, რომლებიც გამოიყენება დაგვიანებული ან შეფერხებული ზრდის დროს.

1. დასაწყისიდან მეშვიდე-მერვე კვირაში, მთლიანი საკვების დაშვებული ზღვარი, ყოველ ერთ ფრინველზე ერთ დღეში. ( ეს ნებადართულობა, ჩვეულებრივ 70 % -ს შეადგენს საკვების, რომელიც მოხმარებული იქნება ფრინველის მიერ ზღვარდადებულ ბაზაზე). ეს პროგრამა გრძელდება მანამდე, სანამ ფრინველი განსაზღვრული სტანდარტული კვებით იკვებება( ოცდამესამე კვირის დასაწყისამდე.

2. ვარიების განვითარების იგივე ფორმულა, ფრინველის კვება „დღეგამოშვების პროგრამა“, რომელიც იწყება მეშვიდე-მეცხრე კვირიდან ოცდამესამე კვირამდე. კვების ეს პროგრამა ხელს უწყობს ვარიების მიერ ყოველ ერთ დღეში 2 ფუნტი მარცვლეულის მოხმარებას ყოველი 100 ფრინველზე.

3. გამოიყენეთ მხოლოდ 10-15 % ცილის შემცველი ულუფა. გამოკვებეთ ვარიები ცილების მითითებული დონით მეშვიდე ან მეცხრე კვირის დასაწყისიდან, მანამდე, სანამ ისინი არ იქნებიან გადაყვანილი შერეული საკვების მიწოდებაზე.

ზემთ მოცემული ყველა პროგრამა შესაძლებელია გამოყენებული იყოს ზრდის პროცესში მყოფი ვარიების ფერმისთვის.

ბ. ვიტამინები.

ასევე არის ვიტამინი D- საერთაშორისო ერთეულებით გამოხატვაც.

ვიტამინ E-ს მოთხოვნილება ძალიან ცვალებადია, რაც დამოკიდებულია ულუფაში ცხიმის დონეზე, სელენიუმის დონეზე და ანტიოქსიდანტების არსებობაზე ან არარსებობაზე, გარდა ვიტამინი E. წიწილები წარმატებულად ვითარდებიან რაფინირებული დაბალ ცხილიანი ულუფით, რომელიც არ შეიცავს ვიტამინ E-ს. წიწილების ან ინდაურის ჭუკების მიერ მოთხოვნილი სპეციალური ნივთიერებების შემცველობა უნდა შედიოდეს გარკვეული რაოდენობით ულუფაში, რომელიც შედგება სელენიუმისა და გარკვეული ენერგეტიკულად ღირებული შემადგელობისაგან და ყოველივე ეს განსაზღვრულია სპეციალური ფიგურებით ზემოთ ნახსენებ ცხრილებში. ვიტამინ E-ს ერთი საერთაშორისო ერთეული (IU) ექვივალენტია 1 მგ სინთეტიკური DL –  $\alpha$ - ტოკოფერილ აცეტატის.

ფრინველის საკვების ფორმულაცია გვიჩვენებს ულუფის დონეებს ვიტამინების და საკვების სხვადასხვა ინგრედიენტების შემცველობას. სწორედ აქედან შეიძლება განისაზღვროს ნორმალური მომარაგება ყველა ვიტამინების ვიტამინ პრემიქსებიდან და უგულვებელყოფა ვიტამინის შემცველობაზე საკვების ინგრედიენტებში.

თანამედროვეობაზე დაფუძნებული სამუშაოდან გამომდინარე, შესაძლებელია დადასტურდეს ნიაცინის მოთხოვნილება კვერცხისმდებელ ან მოსაშენებელ დედლებში. მოთხოვნილება იმდენად დაბალია რომ, ის ყოველთვის შეიძლება შეივსოს ბუნებრივი საკვები ინგრედიენტებით.

ზრდის პროცესში მყოფი წიწილებში შეიძლება გამოყენებული იყოს ბეტაინი ქოლინთან ურთიერთ შეცვლის პრინციპით, თუმცა ბეტაინს არ შეუძლია შეცვალოს ქოლინი. ბეტაინი ფართოდ გამოიყენება კომბინირებულ საკვებში და შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იყოს ცოლინთან შედარებით. ქოლინის რეკომენდაციებთან დაკავშირებული ფიგურების ზემოთ ნახსენებ ცხრილებშია ნაჩვენები და გამოყენებადია ულუფაში, რადგანაც შეიცავს ვიტამინ B<sub>12</sub> -ის განსაკუთრებულ დონეებს.

გ. მინერალები.

კალციუმის მოთხოვნილება კვერცხისმდებელ ქათმებში ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია და გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება. ეს პრობლემა არ შეიძლება

იყოს მოგვარებული, მხოლოდ ძირითადი რაოდენობის უბრალო დამატებით, რადგანაც კალციუმის გადაჭარბება დაბრკოლებას უქმნის ფოსფორის, მაგნიუმის და თუთიის გამოყენებას და მოსალოდნელია ულუფის გემოს დაკარგვა. ზრდის პროცესში მყოფი ვარიების გამოკვებაში კალციუმის გარკვეული რაოდენობით გამოყენება, ეს იქნება ძალიან დიდი რაოდენობა თუ ძალიან მცირე, დაკავშირებულია კალციუმის მეტაბოლიზმის გარკვეულ სირთულეებთან კვერცხის პროდუქციულობის დაწყების შემდეგ.

არაორგანული პოსფორის საჭირო მინიმალური დონე მითითებულია *მეფრინველეობის საკვებ მოთხოვნილებებში* (NRC'S). ეს საჭიროებები დაფუძნებულია ორგანული ფოსფორის ძირითად სარგებლიანობაზე, ვიდრე ფიტო ფოსფორზე.

დ. დანამატები

1. ანტიბიოტიკი ზრდის ხელშემწყობი- 1950 წლიდან რამოდენიმე ანტიბიოტიკი გახდა მნიშვნელოვანი დანამატი ბროილერებისა და მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ინდაურების საკვებში, რადგანაც, ისინი ზრდის გაზრდის ტემპს და საკვების გამოყენების ეფექტიურობას.

2. ანტიოქსიდანტები- მისი გაერთიანებული გამოყენება ცხიმის ოქსიდაციური დამძაღვის თავიდან ასაშრებლად. BHT, BHA ან ეთოქსიკინი გამოიყენება 0.25 ფუნტი ყოველ ტონა საღებზე, რათა საკვებს შეუნარჩუმოს ამძარების საწინააღმდეგო მდგრადობა.

3. ქვიშის მარცვალი-მიეკუთვნება მტკიცედ უხსნად ან ნაწილობრივ ხსნად მასალათა რიცხვს, რომელიც გამოიყენება ფრინველთა კვებაში. ხამანწკა, მოლუსკი ან ნიჟარებისგან დამზადებული კირქვა, ნაჭუჭები, ლიმესტონი, ხრეში და გრანიტის პროდუქტები გამოიყენება მაშინ, როცა ფრინველი მოიხმარს მთლიან მარცვალს ან დაუმუშავებელ ბოჭკოვან (ან უჯრედანა) კომბინირებულ საკვებს.

4. ქსანტოფილი-ან კაროტინოიდის დანამატები არის ისეთი პროდუქტები, რომლებიც ფრინველებში აწარმოებენ ნისკარტის მუქ ყვითელ ფერს, კანის, ფეხების და კვერცხის ყვითელ გულს. ბევრ მომხმარებელს სჯერა, რომ ბროილერის წვივის, კანის, კვერცხის

გულის მუქი ყვითელი ფერი მიუთითებს მის მაღალ ხარისხზე. ამგვარად, ბევრი მწარმოებელი ამატებს ფრინველის ულუფას იმ ინგრედიენტებს, რომლებიც შეიცავენ ქსანტოფილს. იონჯის საკვები, ყვითელი სიმინდი ძირითადი წყაროებია რომელსაც იყენებენ. სათანადოდ გამხმარი წყალმცენარეები, გულყვითელა და სხვა წარმოადგენენ ქსანტოფილის მდიდარ წყაროს.

## II. ფრინველთა ულუფის სახეობები

ფრინველთა საკვების სხვადასხვა ფორმულაციები არის გამოყენებული კომერციული საკვების დამუშავების დროს. რამოდენიმე ძირითადი სახის საკვები არის მოყვანილი ქვემოთ.

### ა. სტარტერები და პრესტარტერები.

1. ძირითადად ეძლევათ პირველ 2-3 კვირის წიწილებს და 2-4 კვირის ინდაურის ჭუკებს.
2. შეიცავს საკვები ნივთიერებების გაზრდილ დონეებს; შეიცავს დაახლოებით 20-28 % ნედლ ცილას ბროილერი წიწილებისთვის და ინდაურის ჭუკებისთვის. ლეგორნის ტიპის ვარია წიწილები ჩვეულებრივ იწყებენ 18 % -ანი ნედლი ცილების შემცველობის ულუფას და ამ სახის კვებაზე რჩებიან 6 კვირის ზემოთ ასაკამდე.
3. შესაძლებელია შეიცავდეს ზრდის ხელშემწყობ ანტიბიოტიკს, იმისათვის რომ შემცირებული იქნას ადრეული სიკვდილიანობა და ინიცირებული იქნეს უფრო სწრაფი ზრდა.
4. შეიძლება შეიცავდეს შესაფერის კოკციდიოსტატს, რომელიც დამატებულია მწარმოებლის მიერ რეკომენდირებული დოზის მიხედვით.
5. საკვებად ხშირად ეძლევა დაფუძნული სახით.

### ბ. ბროილერის ულუფა.

1. საკვებად ეძლევათ მეხორციული ტიპის ფრინველებს.
2. განცალკევებულად არის ფორმულირებული მამლებისა და დედლებისათვის ან შერეულ ჯგუფებისათვის.
3. კალორიულობის გაზრდის მიზნით შეიძლება შეიცავდეს 3-5 % ცხიმს, რაც უზრუნველყოფს ცილის შემცველობის დარეგულირებას ცხიმის დამატებით და

ოპტიმალური რაოდენობის ცილებს : კალორიული თანაფარდობის ხელშეწყობის მიზნით.

4. განმტკიცებულია ზრდის ხელშეწყობი ანტიბიოტიკით და შესაძლებელია შეიცავდეს კოკციდიოსტატს.

5. ძირითადად ორი სახეობის:

ა. ბროილერის ზრდის ხელშეწყობი ულუფები შექმნილია 3-დან 6 კვირის წიწილებისთვის; შეიცავს 20-22% ნედლ ცილებს.

ბ. ზრდასრული ბროილერის ულუფები შექმნილია 6 კვირიდან აღნიშნულ ასაკამდე საკვებად; შეიცავს 18-20 % ნედლ ცილას.

გ. მზარდი და დასრულებული ფაზები შეიძლება შედგებოდეს ერთი ან მეტი ულუფისაგან ( ეს არის მზარდი ულუფა 1,რასაც მოსდევს მზარდი ულუფა 2 და დამამთავრებელი ულუფა 1 და სხვა).

6. შეიძლება მიეცეთ დაფშვნილი ან დაგრანულელებული ფორმით.

გ. მზარდი ინდაურის და დამამთავრებელი ულუფები.

1. საკვებად ეძლევათ როგორც სრულყოფილი საკვები მეხორცული ტიპის ფრინველებს.

2. ბროილერის ულუფის მაგვარია.

ა. ინდაურებისა მამლებისა და დედლების ზრდის ტემპს შორის დიდი განსხვავების გამო გამოიყენება განსხვავებული საკვები.

ბ. დედლები გაყიდულია 14 კვირის ასაკში, მაშინ როცა მამლები გაყიდული არიან სხეულის გაცილებით უფრო დიდი წონით 19-20 კვირის ასაკში.

3. ძირითადი ტიპები - რეკომენდირებული საკვები ნივთიერების შემადგენლობა.

ა. 4-8 კვირის ფრინველი 25-26 % ნედლი ცილა.

ბ. 8- 12 კვირის ფრინველი 22-23 % ნედლი ცილა.

გ. 12- 16 კვირის ფრინველი 19-20 % ნედლი ცილა.

დ. 16-20 კვირის ფრინველი 16-17 % ნედლი ცილა.

ე. 20 კვირის ფრინველი 14-15 % ნედლი ცილა.

დ. ზრდის რაციონი და განმავითარებლები ლეგორნის ჯიშის წიწილებში.

1. შექმნილია იმისათვის რომ საკვებად მიეცეს ჩასანაცვლებელ ჯიშს 6 კვირიდან სქესობრივ მომწიფებამდე.
2. შეიძლება იყოს ორი ტიპის:
  - ა. სრული საკვები, სალაფავი ან დაგრანულებული. ძირითადად უფრო დაბალი შემცველობაა ცილების.
  - ბ. სალაფავი კონცენტრატი შექმნილია რათა საკვებად მიეცეთ ცვალებადი რაოდენობის მარცვლეულით, რათა ფრინველის სკვები სრულფასოვნად შეიცავდეს საკვებ ნივთიერებების მოთხოვნილებებს.
3. კვერცხის დადების წინა პერიოდისთვის გათვლილი ულუფა (17 % ნედლი ცილა) გაზრდილი კალციუმით (2%) საკვებად უნდა მიეცეთ სქესობრივი მომწიფების დასაწყისში - 15-16 კვირის ასაკში, არა უმეტეს 5 % კვერცხის პროდუქცია (18-20 კვირის ასაკში). ულუფაში უფრო მაღალი ღირებულების კალციუმი ხელს უწყობს ძვლის ტვინის განვითარებას, რომელიც კალცის რეზერვუარს წარმოადგენს კვერცხის ნაჭუჭის წარმოქმნისთვის.
- ე. კვერცხის დებისთვის განკუთვნილი ულუფა ლეგორნის ტიპის ფრინველებისათვის.
  1. ფორმულირებულია იმისათვის რომ საკვებად მიეცეს კვერცხისმდებელ დედლებს კვერცხის წარმოების პროცესში.
  2. უნდა შეიცავდეს დაახლოებით 14-16 % ნედლ ცილას.
  3. შეიძლება იყოს ორი ტიპის.
    - ა. სრული ულუფა, შერეული ან გრანულოვანი.
    - ბ. კვერცხის დებისთვის განსაზღვრული ასაზელი კონცენტრატი საკვებად უნდა მიეცეთ სპეციალურად განსაზღვრული მარცვლეულისა და სოიოს დონეების მიხედვით.
  4. მარილი( ნატრიუმი) რომელსაც ეს საკვები შეიცავს შეიძლება შემცირდეს იმის ძალისხმევით რომ შემცირდეს სველი სკორე. თუმცა, ძალიან მცირე რაოდენობით მარილი (ნატრიუმი) ალაგზნებს დედლებს და/ან იწვევს ბუმბულის ცვენას.

5. „გალიაში დალილობა“ გამოწვეულია კალციუმის ნაკლებობით. თუ ეს გარემოება იჩენს თავს, მაშინ ულუფას უნდა დაემატოს კალციუმი, ფოსფორი და ვიტამინი D.

#### სიცხით გამოწვეული სტრესი.

როდესაც ამინდის ბიუროს თანამშრომლებიდან ნაწინასწარმეტყველებია სიცხე, მაშინ ფრინველთა დიეტოლოგმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ფრინველების მიერ საკვების მოხმარებას. გარემოს მაღალი ტემპერატურის დროს, საკვების მოხმარება კვერცხისმდებელ დედლებში იზრდება და ამით იზრდება, კვერცხის პროდუქტიულობა, მისი ზომა და წონაც. კომპენსაციის მიზნით, ფრინველთა დიეტოლოგმა ულუფაში უნდა გაზარდოს ენერგეტიკული დონე, ძირითადი ამინომჟავები ( არა ნედლი ცილები), კალციუმი, ფოსფორი და სხვა იმისათვის რომ, დედლების მიერ მოხმარებული ულუფა საკმარისად შეიცავდეს საკვებ ნივთიერებებს. მოერიდეთ, უჯრედანას და მაღალცილოვანი ინგრედიენტების შემცველი საკვების მიცემას ცხელი ამინდების განმავლობაში.

6. დედლები რომლებიც წიწილების გამოსაჩევი კვერცხის პროდუქტიულები არიან, უნდა იკვებებოდნენ უფრო მაღალხარისხოვანი საკვებით, რომლებიც გაჯერებული იქნება სპეციალური ვიტამინებით, რადგანაც ამით უზრუნველყოფილი იქნება წიწილების ნორმალური გამოჩეკა.

7. დედლებს, ცილებისა და ვიტამინების გაზრდილი დონით უნდა მიეცეთ საკვები სტრესისა და კვერცხის დების მკვეთრად შემცირებულ პერიოდში.

8. ბუმბულის ცვენის სტიმულირებისათვის, შესაძლებელია დედლებს მოეცეთ დაბალცილოვანი, დაბალ ენერგეტიკული, უჯრედანას მაღალი შემცველი, განსაკუთრებით მარცვლოვანი კულტურების ნახევრადპროდუქტები (ას არის პურის თავთავი ნახევრად დაფქვილი სიმინდთან არეული, მოერიდეთ სოიოს ჩენჩოების საკვებად მიცემას), რომლებიც გაჯერებულია მინერალებითა და ვიტამინებით.

ა. დედლებს თავისუფალი წვდომე უნდა ქონდეთ წყალთან და ულუფასთან, რადგანაც ბუმბულცვენის დროს შეიძლება შემცირდეს საკვების მოხმარება.

ბ. ბუმბულის ცვენის პერიოდისთვის განკუთვნილი ულუფა უნდა შეიცავდეს დაახლოებით 2 % კალციუმს და დაახლოებით 0.4 % ფოსფორს. მარლი შეიძლება ამოღებული იყოს ულუფიდან ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

ვ. მარცვლეულის ნაკრები.

1. საკვებად შეიძლება გამოყენებული იყოს სხვადასხვა მარცვლეული მანარევები და მარცვლეული სისტემები.

2. ჩვეულებრივ, საკვებად ეძლევათ მე-8 კვირიდან ზრდასრულობამდე.

### I. ფრინველების საკვები.

ფრინველთა კვებაში გამოყენებული საკვები ინგრედიენტები შეიძლება დაიყოს კომბინირებული საკვების ენერჯის კატეგორიებად, ცილოვან დანამატებად, მინერალურ და ვიტამინიზირებულ დანამატებად.

ა. კომბინირებული საკვების არჩევა.

ფრინველთა საკვები რაციონისთვის კომბინირებული საკვების არჩევის დროს, მხედველობაში უნდა მოვიღოთ რამოდენიმე ფაქტორი.

ა. უჯრედანას შემცველობა.

ბ. ცხიმის შემცველობა.

გ. ამინო მჟავების ბალანსი.

### ლიმესტონის დიდი ნაწილი კვერცხის მდებელ დედლებში

კვერცხის მდებელი დედლები უფრო მეტი რაოდენობით კალციუმს საჭიროებენ ვიდრე, ბროილერები. რადგანაც კვერცხის ნაჭუჭის წარმოება დაფუძვნიებულია კალციუმის გამოყენებაზე. დედლებისთვის განკუთვნილი ულუფის შემადგენლობა უნდა პასუხობდეს მათ მოთხოვნილებებს  $\text{CaCO}_3$ -ით.

2. მონელებადობა.

ა. ტენის შემცველობა.

ბ. ნაერთები.

გ. საკვების მომზადება ( მთლიანი ან დაფქვილი)

დ. ფერისა და შუქის ასახვა ქვიშის მარცვალზე.

1. ზრდის ინჰიბიტორების ან არასასურველი ქიმიური ნივთიერებებისა და პიგმენტების შემცველობა.

2. კომბინირებული საკვების ფასი და შესყიდვის ხელმისაწვდომობა.

ბ. ენერგეტიკული საკვები.

1. მარცვლეულები-სიმინდი ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი მარცვლეული კულტურაა, რომელიც გამოიყენება მეფრინველეობაში - ფრინველთა კვებაში გამოიყენება პურის თავთავი, ქერი და შვრია.

2. მარცვლეულის ნახევრადპროდუქტები - მასში შედის მთელი რიგი დაფქული შუალედური პროდუქტები (მაგალითად, სიმინდის გლუტენები და ქატოს საკვები, პურის თავთავის გადამუშავებით მიღებული ნახევრად პროდუქტები); ლუდის ან სპირტის გადამუშავების შემდგომი ნახევრადპროდუქტები.

3. მილასა-გამოიყენება როგორც ენერგიის საუკეთესო წყარო, მაგრამ ფაღარათის გამომწვევი არახელსაყრელი ეფექტიც აქვს და ამიტომ საჭიროა მისი შეზღუდული რაოდენობით გამოყენება, ულუფაში არა უმეტეს 2 %-ისა.

4. ბოსტნეულები და ცხოველური ცხიმები - ფართოდ გამოიყენება ენერგიის წყაროსთვის; ცხიმები აგრეთვე ამცირებს საკვების დამტვერიანებას, ზრდის მონელებადობას და აუმჯობესებს საკვების სტრუქტურას.

გ. ცილების დანამატები

1. მცენარეების ცილოვანი დანამატები.

ა. სოიოს ფქვილი - ფრინველთა საკვებში ფართოდაა გამოყენებული ,როგორც ცილოვანი დანამატი, რადგანაც ის შეიცავს ძირითად ამინომჟავებს, მაღალ შეთვისებად ცილებს და არაა ტოქსიკური და არ შეიცავს არასასურველ ნივთიერებებს.

ბ. ზამბის თესლის ფქვილი -მეფრინველეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვერცხის მდებელი ფრინველის კვებაში. გოსიპოლი მოიპოვება ზამბის თესლისგან წარმოებული საკვების დამსახურებით ვარდისფერი შეფერილობა არის ხოლმე ცილაში, ამიტომაც ძირითადად ის სოიოს ჩანაცვლებისთვის გამოიყენება 50 %-ით მზარდი ფრინველის ულუფაში.

გ. სელის თესლის საკვები -შესაძლებელია გამოყენებული იყოს შეზღუდულად, რადგანაც მან შეიძლება გამოიწვიოს დეარეა და შეამციროს ზრდის პროცესის ტემპი. სელის თესლის საკვების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 3-5 %-ს ფრინველის საკვებში.

დ. იონჯის საკვები და სიმინდის გლუტენ- საკვები ფართოდაა გამოყენებში, რადგანაც ორივე დიდი რაოდენობით შეიცავს კაროტენოიდებს, რაც იწვევს ყვითელი ფერის პიგმენტაციას კანზე. ორივე, შეიძლება გამოყენებული იყოს ლიმიტირებულად, ფრინველის საკვებში არა უმეტეს 10 %-ისა.

## 2. ცხოველური ცილების დანამატები

ა. თევზის ფქვილი - ხშირად გამოიყენება ფრინველის ულუფაში 2-5 %-ის ოდენობით და განუსაზღვრელი რაოდენობით შეიცავს სასურველი ამინო მჟავების წყაროებს. თუმცა, თევზის ფქვილი დიდი რაოდენობით შეიცავს ცხიმს, მაგრამ მისი დიდი რაოდენობით გამოყენება საკვებში თევზის სუნს აძლევს როგორც ხორცს, ისე კვერცხს. თევზის ფქვილი ძვირადღირებულიცაა და ამიტომ მისი მოხმარება შემცირებულია.

ბ. ხორცის პროდუქტები (ცხოველური ნახევრად პროდუქტები, სისხლის ფქვილი და სხვა) ხშირად ეკონომიურია თავისი ფასის მიხედვით, ამიტომ მათ შეუძლიათ შეცვალონ თანაბარი რაოდენობით სოიოს ფქვილი, დაახლოებით ცილების 10 %-ზე ზემოთ ფრინველის საკვებში. ამ სახის საკვებებიც კალციუმის და ფოსფორის არაჩვეულებრივ წყაროს წარმოადგენს.

## 3. სინთეზური ამინომჟავები და ამინომჟავების ანალოგები.

ა. სინთეზური ამინო მჟავების საკვების ხარისხი (ეს არის L- ლიზინი. HCl, L- ლიზინი. SO<sub>4</sub><sup>2-</sup>, DL-მეთიონინი, L-ტრეონინი)

ბ. ფრინველის საკვების სამივე ამინომჟავით დაბალანსებისთვის გამოიყენება სიმინდის და სოიოს ფქვილი.

დ. მინერალების დანამატები.

1. კალციუმი - ფრინველის საკვებში ჩვეულებრივ გამოიყენება დაფქვილი ლიმესტონი, დაფშვნილი ლოკოკინის ნიჟარა ან მისი ფქვილი, ძვლის ფქვილი, დიკალციუმ ფოსფატი, CaCO<sub>3</sub> და მონოკალციუმ ფოსფატი.

2. ფოსფორი - ფრინველის საკვებში ჩვეულებრივ გამოიყენება ხორცისა და ძვლის ფქვილი, დიკალციუმ ფოსფატი, მონოკალციუმ ფოსფატი და როკ ფოსფატი.

3. მარილი - ჩვეულებრივ ემატება ფრინველის საკვებს 0.2 – 0.5 %-თ. მარილის ზედმეტი რაოდენობა გაზრდის წყლის მოთხოვნილებას ფადარათს, ხოლო მცირე რაოდენობა ადაგზნებს და იწვევს ფუმბულის ცვენას. აგრეთვე, მარილის მცირე რაოდენობა წყვეტს კვერცხის პროდუქტიულობას.

ე. ვიტამინ დანამატები. თანამედროვე მეფრინველეობაში ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სახის ვიტამინები და პრემიქსები.

ვ. საკვების მომზადება

1. ფრინველთა საკვები უმეტესად მზადდება ქვემოთ მოცემული ფორმით.

ა. შერეული ბ. გრანულოვანი გ. დაფშვნილი.

**ბატი იხვისებრთა ოჯახის წარმომადგენელია.** მისი წონა 6 კგ-მდე აღწევს, სიგრძე 60-100 სმ. ბატები ძირითადად იკვებებიან ხმელეთზე ან წყალმარჩხში მხენარეთა ფოთლით, ყლორტებით, ბოლქვებით, თესლით, მოლუსკებით, მცირე ზომის კიბოსნაირებითა და სხვა.

შინაური ბატის წინაპარია გარეული რუხი ბატი გარეგნული და ანატომიური ნიშნების მიხედვით მათ შორის დიდი მსგავსებაა. წელიწადში ერთი ბატი ჩეკს 20-25 ჭუჭულს, რომლებიც გასუქების შემდეგ 10 კგ-მდე ხორცს იძლევიან.

ბატები გაზაფხულსა და შემოდგომაზე 30-40 კვერცხს დებს, ზოგიერთი ჯიშისა — 100-მდე. სანაშენედ გამოიყენება საშუალოდ 4-5 წელი, მაქსიმალურად 6 წლამდე. სახორცედ იკვლება 6 თვისა, როდესაც უკვე 3-4 კგ იწონის. ზრდასრული მამალი ბატების წონაა 5-6 კგ, მაქსიმალური 12 კგ-მდე, დედლისა 4-5 კგ, მაქსიმალური 10 კგ-მდე.

აქვს მაღალხარისხოვანი ხორცი და ქონი, აგრეთვე თივთიკი და ბუმბული. ქონი ნაკლავის 30-35%-ს შეადგენს, მას მაღალი საგემოვნო თვისებები აქვს, იყენებენ კულინარიაში, მედიცინაში.

**ადგილობრივი ბატი**

გავრცელებულია როგორც საქართველოს წყლით მდიდარ, ისე სტეპის მქონე რაიონებში. იგი ჩვენში გავრცელებულ ხოლმოგორულ ბატთან შედარებით

მცირეპროდუქტიულია. მასზედ ზოოტექნიკური მუშაობა არ წარმოებდა, არც საკმარისი მოვლა-შენახვის პირობები ჰქონდა, ამიტომ მისი პირობების გაუმჯობესება და ზოოტექნიკური სამუშაოების მიზნობრივი წარმოება მაღალეფექტური იქნება. იგი თეთრი, ნაცრისფერი და ჭრელია.

აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ადგილობრივი დედალი ბატის საშუალო ცოცხალი მასა 3,75, ხოლო მამლის 4,03 კგ-ია. დასავლეთ საქართველოში გავრცელებულისა კი, შესაბამისად, 3,34 და 3,69 კგ.

კვერცხმდებლობას 10-12 თვეში იწყებს და საშუალოდ 15-20 ცალს იძლევა. პირობების გაუმჯობესებისას პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად მატულობს.

ინდაური ტიპური მეხორცული ფრინველია და ზრდის განსაკუთრებული ინტენსიურობით გამოირჩევა, ინდაურს დიდი მოთხოვნილება აქვს ცხოველური წარმოშობის პროტეინზე, ვიტამინებზე, განსაკუთრებით A, E ვიტამინებზე. მას უნარი აქვს კარგად გამოიყენოს მწვანე საკვები და ორგანიზმში დააგროვოს ცხიმი.

საზრდო ნივთიერებებზე მოთხოვნილების სიდიდე დამოკიდებულია ინდაურის ჯიშურ და ინდივიდუალურ თავისებურებებზე, პროდუქტიულობის დონეზე, ასაკზე, შენახვის ტექნოლოგიაზე, ულუფის ძირითად კომპონენტთა შემადგენლობასა და ხარისხზე.

კვერცხმდებელი ინდაურისათვის განკუთვნილ კომბინირებულ საკვებში რეკომენდებულია საზრდო ნივთიერებათა ასეთი შემცველობა — მიმოცვლის ენერგია 1,13-1,17 მჯ, ნედლი პროტეინი 16-17%, ნედლი უჯრედანა 5-6%, ნედლი ცხიმი 3,5-4,3%.

ნედლიცხიმის რაოდენობა თუ ინდაურის მოშენება ხდება მეხორცული მიმართულებით შეიძლება გაიზარდოს 5-6% მდე. ამ დროს ინდაურის ხორცი უფრო ნაზი და წვნიანი ხდება.

სანაშენე ინდაურის კომბინირებულ საკვებში B და E ვიტამინების უზრუნველსაყოფად, სასურველია შედიოდეს ახალი მარცვალი, მეტი რაოდენობით ხორბალი და სიმინდი,

ნაკლები ქერი. ცხოველური საკვებიდან უმჯობესია თევზის ფქვილი და რძის პროდუქტები.

კომბინირებულ საკვებში რთავენ ჰიდროლიზურ საფუარს და ბალახის ფქვილს კომბინირებული საკვები 16-17% პროტეინს უნდა შეიცავდეს და დაბალანსებული უნდა იყოს ამინომჟავებით, პროტეინის 20-25% ცხოველური წარმოშობის უნდა იყოს. მისი ნაკლებობისას შეიძლება გამოვიყენოთ ტოსტირებული სოიოს შროტი, ლიზინის, მეთიონინის და სხვა ამინომჟავათა პრეპარატები.

ინდაური მგრძნობიარეა მინერალური ნივთიერებების მიმართ. კალციუმის წყარო მის ულუფაში კირქვა, ნიჟარა და ცარცია. ყველა მინერალური საკვები ინდაურს სრულფასოვან კომბინირებულ საკვებში ეძლევა.

ზაფხულში გარემოს მაღალი ტემპერატურის დროს (28<sup>0</sup>-ზე ზევით) დღეში დამატებით ფრთაზე ეძლევა 3-4 გ ნიჟარა, რომელიც ან კომბინირებულ საკვებს ეყრება ზევიდან ან ცალკე საკვებურიდან ეძლევა.

სუფრის მარილის ნორმაზე დაბლა მიცემა იწვევს კვერცხდების შემცირებას, ხოლო სიჭარბე კი მოწამვლას.

ინდაურის საკვებში რთავენ 5-10% ბალახის ფქვილს, რომლის ერთი კილოგრამი 200-250 მგ კაროტინულია. ასეთი ფქვილი არა მარტო კაროტინის არამედ E და B ჯგუფის ვიტამინების კარგი წყაროა. B ჯგუფის ვიტამინების კარგი წყაროა საკვები საფუარი, რომელიც თუ ულტრაიისფერი სხივებით დასხივდა, D ვიტამინსაც შეიცავს. საფუარს ულუფაში რთავენ 5-6%-ის რაოდენობით.

ეს ამ ვიტამინებზე მოთხოვნილების 25%-ს ფარავს. სხვა ფრინველებთან შედარებით ინდაურის მოთხოვნილება ვიტამინებზე განსაკუთრებით მაღალია. ამიტომ საკვებნარევი თუნდაც მაღალხარისხოვანი კომპონენტებით იყოს დაბალანსებული, ვიტამინებზე მოთხოვნილებას დაახლოებით 50%-ით აკმაყოფილებს. ამიტომ სრულად დასაკმაყოფილებლად კომბინირებულ საკვებში, ვიტამინების შემცველი პრემიქსი

შეაქვთ, სადაც რეკომენდებულია ვიტამინების მაღალი დოზა: E ვიტამინისა 33 გ/ტ, B2 — 22 გ/ტ, B5 -44 გ/ტ.

არასპეციალიზირებულ მეურნეობებსა და მცირე მეინდაურეობის ფერმებში შეიძლება გამოყენებული იყოს კვების კომბინირებული ტიპი. ამ დროს იყენებენ პურეულისა და პარკოსანთა მარცვლის ღერღილს, ბალახის ფქვილისა და მინერალური საკვებისაგან შედგენილ არასრულფასოვან საკვებნარევს.

ამასთან საკვების ნორმის ნახევარს აძლევენ მშრალად, მეორე ნახევარს კი შეურევენ საკუთარი წარმოების ცილოვანივიტამინოვან, ნახშირწყლოვან და წვნიან საკვებს, როგორცაა მოხდილი რძე, შრატი, მოხარშული ხორცის ნარჩენები, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი, თაღამი, სტაფილო, სილოსი, მარცვლოვანთა და პარკოსანთა ნორჩი ბალახი, კვების ამ ტიპის დროს ძნელია ულუფა დაბალანსდეს მალიმიტირებელი საზრდო ნივთიერებებით, მაგრამ შესაძლოა მივიღოთ დამაკმაყოფილებელი შედეგი.

ამისათვის კი უნდა გავითვალისწინოთ ინდაურის მოთხოვნილება საზრდო ნივთიერებებზე იხ. ცხრილი

**კვერცხმდებელი ინდაურის მოთხოვნილება ძირითად საზრდო ნივთიერებაზე (ფრთაში დღეში)**

კვერცხდების % და მეტი	მიმოცვლის ენერჯია (მჯ)	ნედლი პროტეინი (გ)	კალციუმი (გ)	ფოსფორი (გ)	ნატრიუმი (გ)
71-80	3,75	53	6,50	2,3	1,5
70-61	3,58	49,6	5,90	2,2	1,4
60-51	3,40	45,9	5,50	2,0	1,4
50-40	3,25	42,3	4,90	1,9	1,3

მამალი ინდაურის ულუფაში შემავალი პროტეინი მაღალხარისხოვანი, ამინომჟავებით უნდა იყოს დაბალანსებული ამასთან მისი 30% ცხოველური წარმოშობისა უნდა იყოს. მწარმოებელი მაღალ აქტიურობას ამჟღავნებს მაშინ, როცა კომბინირებული საკვების ცხოველური ცილა თევზის ფქვილითა და მშრალი მოხდილი რძითაა წარმოდგენილი.

სპერმაპროდუქციის ხარისხზე უარყოფით გავლენას ახდენს კალციუმისა და ფოსფორის მაღალი შემცველობა, ამიტომ მწარმოებელს არ უნდა ეძლეოდეს კვერცხმდებელი ინდაურის კომბინირებული საკვები.

სპერმაპროდუქციის ხარისხზე დადებითად მოქმედებს ცხიმში ხსნადი ვიტამინების მაღალი დონე. 1 ტ კომბინირებულ საკვებზე ამატებენ 20-25 მილ. ი.ე. A ვიტამინს, 2-2,5 მილ. ი.ე. D და 30-40გ E ვიტამინს. სპერმაპროდუქციის ხარისხზე მოქმედებს ლინოლის მჟავა, რომელიც მოზარდეულის ულუფაში 1,2-1,4%, ხოლო ზრდასრული მამრის ულუფაში 1,5% უნდა შედიოდეს.

მისი ნაკლებობა იწვევს სათესლის განუვითარებლობას, სპერმის რაოდენობისა და ხარისხის შემცირებას, განაყოფიერების უნარის დაქვეითებას და მწარმოებლის მწყობრიდან ნაადრევ გამოსვლას.

ინდაურებს ძალიან უყვართ ნიგოზი, რომელიც დიდი რაოდენობით შეიცავს მცენარეულ ცხიმს. ინდაურის წიგოებით კვების შემთხვევაში მიიღება მაღალი საგემოვნო თვისებების მქონე ხორცი. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ინდაურს საკვები და წყალი ეძლევა ნებაზე. ინდაური დღეში საშუალოდ ღებულობს 260-500 გ კომბინირებულ საკვებს.

წლის დროის მიხედვით ინდაურის სამაგალითო ულუფა მოცემულია ცხრილში

ინდაურის სამაგალითო ულუფა (გ დღეში ფრთაზე)

საკვები	შემოდგომა	ზამთარი	გაზაფხული	ზაფხული
მარცვალი	150	150	150	150
ხორბლის ქატი	30	30	20	20
-----, შრატი	10	9	20	20
ძვალხორცის ან თევზის ფქვილი	5	3	7	7
ბალახის ფქვილი	20	20	-	-
წვნიანი საკვები	130	1985	150	-
მ.შ. სტაფილო	30	25	30	-
ბალახი	10	-	100	200
ცარცი, ნიჟარა	7	7	11	9
მარილი	1	1	1	1

ინდაურის ჭუკი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე წიწილა, ამიტომ მის ულუფაში მეტი პროტეინი და ვიტამინები უნდა შედიოდეს. ამას გარდა ინდაურის ხორცი ქათმისაგან განსხვავებით არგინინის, ლიზინის, ტრიპტოფანის და იზოლეიცინის მაღალი შემცველობით გამოირჩევა, რის გამოც ულუფაც ამ ამინომჟავებს მეტი რაოდენობით უნდა შეიცავდეს.

ჭუკისათვის განკუთვნილი კომბინირებული საკვების კვებადობა და ცალკეულ საზრდო ნივთიერებათა შემცველობა განპირობებულია მისი დანიშნულებით, (სანაშენე, სახორცე), ასაკით, ჯიშით, კროსით.

შესაბამისად არსებობს ცალკეული ასაკობრივი პერიოდისა და მისი ხანგრძლივობის მიხედვით განსხვავებული კვებადობის მქონე ულუფით კვების სხვადასხვა ვარიანტი. სანაშენე დედალს 120 დღემდე, ხოლო მამალს 150 დღემდე ისეთივე ულუფით ზრდიან, როგორც სახორცე ჭუკს. ამის შემდეგ კი იყენებენ სარემონტო მოზარდისათვის განკუთვნილ საკვებს.

სუქების პერიოდში (61-120 დღე) იმის გამო, რომ ჭუკის კუნთოვანი ქსოვილის ზრდა ნელდება, ულუფაში პროტეინის დონე მცირდება (22%-მდე), მიმოცვლის ენერგია კი იზრდება (1,19 მჯ-მდე). მამლის გასასუქებლად კი (121-დან 150 დღემდე) 1,22 მჯ-მდე.

სუქების დროს ჭუკის ულუფაში რთავენ 4-5% პირველი ხარისხის ცხიმს, რაც აუმჯობესებს ტანხორცის სასაქონლო ელფერს. ჭუკის საკვები უნდა დაბალანსდეს ამინომჟავებით.

ინდაურის ჭუკის საკვებად გამოიყენება ახალი საკვები, რომლის მჟავიანობა 3-4<sup>0</sup>-ს არ უნდა აღემატებოდეს.

ინდაურის ჭუკის მხედველობა მხოლოდ 5-6 დღის შემდეგაა ნორმალური, ამიტომ რეკომენდებულია საკვებური მთლიანად გაივსოს საკვებით, რომ მოზარდული თვალი ადვილად ხვდებოდეს. თუ მოზარდული შენობაში იზრდება მადის გასაუმჯობესებლად საკვებნარევს ზემოდან დღეში 1-2-ჯერ წვრილად დაჭრილი მწვანე ბალახი მოეყაროს იმ რაოდენობით, რომ 1-2 საათის განმავლობაში შეჭამოს. სეირანული შენახვის დროს მწვანე საკვების დამატება საკვებურში საჭირო არ არის.

ინდაურის სრულფასოვანი კომბინირებული საკვების რეცეპტი (%)

ომპონენტები	მოზარდი, ასაკი, კვირა				ზრდასრული ინდაური
	1-4	5-13	14-17	18-30	
1	2	3	4	5	6
სიმინდი	39	45	43	32	56,8
ხორბალი	-	9,5	10	10	12,5
ქერი	-	-	13,5	34	-
სოიოს შროტი	12	9	6	-	-
მზესუმზირის შროტი (40-45%)	17	11	1,1	3	9
საკვები საფუარი (40-45%)	5	5	6	4	5
თევზის ფქვილი (51-55%)	10,4	7,3	5,6	3	3
ძვალხორცის ფქვილი (36-40%)	7	5	3	1	3
ბალახის ფქვილი	2	3	5	7,7	5
ცარცი, კირქვა, ნიჟარა	0,6	1,9	2,7	2,7	3
ძელის ფქვილი	-	-	-	1,1	0,2
მშრალი მოხდილი რძე	5	-	-	-	-
საკვები ცხიმი	1	2,3	3,0	-	-
სუფრის მარილი	-	-	0,2	0,5	0,5
პრემიქსი	1	1	1	1	1
100 გ კ/საკვები შეიცავს %					
მიმოცვლის ენერგია კკალ/მგ	290/1,22	300/1,25	300/1,25	270/1,13	281,2/1,18
ნედლი პროტეინი	28,1	22,1	20,0	14,2	16,1
ნედლი ცხიმი	4,9	5,9	6,2	2,9	3,5
ნედლი უჯრედანა	4,9	4,3	4,6	5,0	4,2
კალციუმი	1,7	1,7	1,7	1,7	2,8
ფოსფორი	1,3	0,9	0,8	0,7	0,7
ნატრიუმი	0,39	0,27	0,30	0,31	0,30
ლიზინი	1,540	1,126	0,978	0,620	0,620
მეთიონინს + ცისტინი	0,930	0,720	0,629	0,447	0,500
1ტ კ/საკვებს ემატება გ,					
ლიზინი	-	640	920	1410	1000
მეთიონინი	700	-	810	600	700

ჭუკის საკვებად იყენებენ მოხარშულ კვერცხს, თვითნამჟავ რძეს, ხაჭოს. ინდაურის ჭუკის კვების სრულფასოვნება შეიძლება შემოწმდეს სკინტლის კონსისტენციით და ფერით. ჯანმრთელი მოზარდულისა და ინდაურის სკინტლი მკვრივია, მოშავო, შარდმჟავას მცირეოდენი თეთრი ნადებით.

სკინტლის ცომისებური კონსისტენცია და ყვითელი ფერი მიუთითებს ულუფაში ნახშირწყლების სიჭარბეზე, შარდმჟავას დიდი რაოდენობა, თხიერება და ლორწოვანი მოწითალო ზოლები — კომბინირებულ საკვებში, ცხოველური პროტეინის

სიჭარბეს, თხიერი მომწვანო შეფერილობის სკინტლი ფრინველის დაავადების ან არაკვებითი ხასიათის მიზეზით გამოწვეული კუჭნაწლავის მოშლილობას.

საზრდო ნივთიერებების კონცენტრაციის ნორმებს იხვისათვის ადგენენ ასაკის მიხედვით. 1-8 კვირის ასაკის ჭუჭულის ულუფაში ნედლმა უჯრედანამ უნდა შეადგინოს არა უმეტეს 6%-ისა, ხოლო სარემონტო მოზარდის და მოზრდილი იხვისათვის — 7-10%.

ჭუჭულს კვებავენ გრანულირებული კომბინირებული საკვებით. 1-დან 30 კვირის ასაკში გრანულის დიამეტრი უნდა იყოს 2-3 მმ (4 მმ სიგრძის). 21-დღიდან გამოზრდის შემდგომი მთლიანი პერიოდისათვის, გრანულის ზომა დიამეტრის მიხედვით უნდა გადიდდეს 5-6 მმ-მდე და სიგრძით — 8-10 მმ-მდე.

გრანულირებული საკვებით ფრინველის კვების შემთხვევაში, იხვი აუცილებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხრემით. ხრემის კუნთოვან კუჭში ყოფნის ხანგრძლივობა დაახლოებით 7-10 დღეა.

100 ფრთისათვის ერთი კვირით საკმარისია 1 კგ გრანიტის ფხვნილი ან კვარციტი. პირველი ასაკის ჭუჭულისათვის ხრემის ნაწილაკების ზომა უნდა იყოს 1-3 მმ, მეორე ასაკის — 4-5 მმ, მოზრდილი ჭუჭულისათვის — 10 მმ-მდე.

ხრემი მუდმივად უნდა იმყოფებოდეს სპეციალურ საკვებურში. მისი უქონლობის შემთხვევაში, იხვის ულუფის საზრდო ნივთიერებების მონელების კოეფიციენტი ეცემა 5-8%-ით.

სამრეწველო მეიხვეობის მეურნეობის პირობებში, როგორც მოზრდილ იხვებს ისე მოზარდს კვებავენ ავტომატური საკვებურიდან სრულფასოვანი საკვებით, რომლებიც იმავდროულად უზრუნველყოფილი არიან ახალი წყლით და ხრემით.

#### IV კვების პროგრამები

ა. ბროილერები.

1. ბროილების წიწილები ძირითადად არჩევითი საკვებით შეიძლება იკვებოს 42-დან 56 დღის განმავლობაში, 4-5 ფუნტის საშუალო წონაზე.
2. საკვების კონვერცია ჩვეულებისამებრ დაახლოებით 2.0 და კვება ყველაზე ძვირადღირებული საკითხია, რაც 60-70 % -ს წარმოადგენს მთელი ბროილების წარმოების ღირებულების.
3. შემოთავაზებული ბროილერის ულუფა შედგება კვების სამი პროგრამისაგან : დამწყები, მოზარდი და დამასრულებელი. ცილების მოთხოვნილება იცვლება ასაკის მიხედვით, ამგვარად საკვების მრავალი ულუფა არის ჩვეულებრივ გამოყენებული. სამ საფეხურიან კვების პროგრამაში დამწყები კვება გამოიყენება 2-3 კვირის განმავლობაში, მოზარდების დაახლოებით 2 კვირიდან დამამთავრებელი ეტაპი მოიცავს კვების დანარჩენ პერიოდს.
4. ბროილერების ულუფა ხშირად შეიცავს კოკციდიოსტატს კონტროლისთვის და ანტიბიოტიკს, როგორც ზრდის მასტიმულირებელს.

## 15.დეკორატიული და ეგზოტიკური ფრინველის კვება ( სირაქლემა, ხოხობი, გნოლი, მტრედი)

### სირაქლემა-

ბევრი ადამიანი ფიქრობს რომ, სირაქლემა იკვებება მხოლოდ ვეგეტარიანული საკვებით , მაგრამ ეს ასე არ არის. ისინი ნაწილობრივ მოიხმარენ მცენარეულ საკვებს და არა მთლიანად. ისინი იკვებებიან ზოგოერთი სახის მცენარეებითა და ხვლიკებითაც. ის სირაქლემები, რომლებიც იზრდებიან ფერმაში, მათ მიეცემათ განსხვავებული სახის საკვები. მთავარია მათი საკვები შეიცავდეს საყუათო ნივთიერებებს, რათა სირაქლემების ხორცი იყოს რაც შეიძლება გემრიელი ადამიანისათვის.

სირაქლემის კვებაში გამოიყენება ბევრი სხვადასხვა სახის კვების პროგრამა. ამ პროგრამების გამოყენება იძლევა განსხვავებულ შედეგს. საერთოდ, სირაქლემას ხორცი ცნობილია თავისი გემოთი და ნაკლებ ცხიმოვანობით, შეიცავს ნაკლებ კალორიებს და ამიტომაც ძალიან იზიდავს ბევრ მომხმარებელს.

ფერმაში სირაქლემების ულუფას ამატებენ სათანადო რაოდენობის დანამატებს, რასაც შეუძლია მისი სწრაფად ზრდა. მწვანე მასას ემატება ხორცის გარკვეული რაოდენობა, შეიძლება გამოყენებული იყოს გრანულოვანი საკვებიც.

გამოწუნებული წიწილა შეიძლება ჩვეულებრივი საკვები იყოს სირაქლემისთვის, ვიტამინები და მინერალ პრემიქსები შეიძლება დაემატოს ულუფას არა ნაკლებ ერთი კვირის განმავლობაში და ისინი ავსებენ სირაქლემას ორგანიზმს კალციის საჭირო რაოდენობით.

სირაქლემას კვებაში გამოიყენება სხვადასხვა ფესვები, ფოთლები, ყვავილები. ულუფა შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს წელიწადის სახვადასხვა სეზონის და მდებარეობის მიხედვით.

სირაქლემები კი არ ჭამენ, ისინი მოვენ მინდორზე ყოფნის დროს. ისინი ზოგიერთ ცხოველზე მეტ საკვებს მოიხმარენ. ჭამენ ასევე სხვადასხვა მღრნელებს და ნაირნაირ მწერებს. მათ არა აქვთ კბილები და ნისკარტში მოქცეულ საკვებს მომენტალურად ყლაპავენ. ისინი კენკროვანებსაც მიირთმევენ სეზონურად და ზოგჯერ, მათთვის ხელმისაწვდომ თესლებსაც მიირთმევენ.

სირაქლემები მოიხმარენ გარკვეული რაოდენობით წყალს. მოხმარებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია მიღებული საკვების რაოდენობაზე. დაგრილების პერიოდში მდედრები უფრო მეტ საკვებს მოიხმარენ ვიდრე მამრები.

სირაქლემებს საკვების მიღებიდან 36 საათის განმავლობაში, თუ კარგად არიან ნაკვები, შეუძლიათ არ მიიღონ საკვები. სირაქლემებს სამკამეროანი კუჭი აქვთ.

**ბოხობი**-ისევე როგორც ყველა დეკორატიული ფრინველი და ფრინველთა სხვა ჯიშები, საჭიროებს სათანადო რაოდენობით საკვებს, რომლებიც შეიცავს ორგანიზმისთვის აუცილებელ საზრდო ნივთიერებებს, რაც საუკეთესო იქნება მათი

განვითარებისა და ზრდისათვის. არასწორმა კვებამ შეიძლება შეანელოს ზრდა და სხეულის ოპტიმალური წონის მატება, რაც თვალსაჩინოდ აისახება ხობების გარეგნობაზე.

აღსანიშნავია რომ, დეკორატიული ფრინველების კვებაზე და მის საკვებ მოთხოვნილებებზე იმფორმაცია საკმაოდ შეზღუდულია. ის, რაც ძირიადად უნდა ვიცოდეთ ხობების შესახებ, ეს არის, რომ ისინი უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ ვიტამინებით, მინერალებით და ცილოვანი მოთხოვნილებებით.

ყველაზე მარტივი მეთოდი ხობის კვებაში, არის კომერციულად არეული საკვების შექმნა, რაც განსაზღვრულია ფრინველთა კვებაზე. ხობების კვებისთვის საჭირო საკვების არჩევისას, ან თუნდაც თქვენს მიერ დამზადებული ხობის საკვები, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს რომ, ხობების საკვები მსგავსია ინდაურის საკვების. თუ თქვენ ვერ იპოვეთ ხობის საკვები ზოო მაღაზიაში მაშინ თქვენ შეგიძლიათ მისი ფორმულირება მოახდინოთ ინდაურის საკვების მიხედვით.

ხობის საუკეთესო საკვები უნდა შეიცავდეს შერეულ ინგრედიენტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საჭირო რაოდენობის ცილოვან მოთხოვნილებებს ზრდის სხვადასხვა სტადიაში მყოფი ხობებისთვის.

0 დან 4 კვირის ასაკის ხობის წიწილების საკვები უნდა შეიცავდეს 28 %-იან ცილოვან შემადგენლობას. 4 დან 9 კვირის ხობების საკვები კი 24 %-იან ცილოვან საკვებს. უფრო ასაკოვან ხობებში შესაძლებელია 18 %.

თუ თქვენ თვითონ ამზადებთ ხობის საკვებს, უნდა დარწმუნდეთ რომ ხობის საკვები შეიცავს შერეულ მარცვლებს და ნედლ საკვებ ინგრედიენტებს, რომლებიც უზრუნველყოფილი იქნება საზრდო ნივთიერებებით, როგორცაა: ვიტამინი A, D, E, K და B კომპლექსის ვიტამინები, მიკროელემენტები, ნატრიუმი, კალციუმი, თრეონინი, ტრიპტოფანი და ლიზინი. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ხობის საკვებით შეიძლება გამოკვებოთ დეკორატიული ფრინველები და გნოლი. თქვენ ასევე შეგიძლიათ სურვილის მიხედვით აირჩიოთ საკვები სარემონტო ხობების ულუფაც,

**მტრედის-მაღალი ხარისხის საკვები უნდა შეიცავდეს საფლორს, რომელშიც**

არეული იქნება ქვიშის მარცვლები და დაფშვნილი ლოკოკინას ნიჟარები. მდედრი მტრედის საკვები შეიძლება იყიდოს ზოო მაღაზიაში. საუკეთესო, გარკვეული რაოდენობის ახალი საკვები მტრედებს უნდა მიეცეთ დილით რასაც მთელი დღის განმავლობაში აკენკავენ და უნდა შეჭამონ მზის ჩასვლამდე. ახალი საკვებით ისევ უზრუნველყოფილი უნდა იყონ მომდევნო დილითაც. თუ თქვენმა მტრედებმა ბევრი საკვები დატოვეს მზის ჩასვლამდე, ისინი ზედმეტად არიან გამოკვებილი. მტრედებს ესაჭიროებათ მხოლოდ ცოტა რაოდენობით ქვიშის მარცვლები. შეიძლება დაუჭრათ პატარა ნაწილებად და ისე მისცეთ : სტაფილო, ბროკოლი, ბარდა, მწვანე ბაბუაწვერა, ყვავილოვანი კომბოსტო სალათა, ისპანახი. წყალი მუდამ დიდი რაოდენობით და ახალი უნდა ქონდეთ. კალციუმ გლუკონატი უნდა დაემატოს საკვებს, რადგანაც ის უზრუნველყოფს ჯანმრთელი კვერცხის დებას.

-

